კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
KORNELI KEKELIDZE
GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

ქართული ხელნაწერი წიგნის მომხატველ ოსტატთა შემოქმედება (X-XIX სს.)

THE WORK OF PAINTERS OF THE GEORGIAN MANUSCRIPT BOOK (X-XIX CC.)

ელენე მაჭავარიანი
ELENE MACHAVARIANI

ია გაჩეჩილაძე
IA GACHECHILADZE

ქეთევან ტატიშვილი
KETEVAN TATISHVILI

ნათია ხიზანიშვილი
NATIA KHIZANISHVILI

თბილისი
TBILISI
2022

წიგნი გამოიცა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების კონკურსში მოპოვებული გრანტის (FR-19-9031) ფარგლებში.
The book is published with the support of the Fundamental Research State Grant (FR-19-9031) program of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia.

ტექსტი
ელენე მაჭავარიანი
ია გაჩეჩილაძე
ქეთევან ტატიშვილი
ნათია ხიზანიშვილი

რედაქტორი
ქეთევან ტატიშვილი

თარგმანი
მაია ქავთარია

დიზაინი
დათო მოსიაშვილი

ფოტო
ვასილ თარგამაძე
დიმიტრი გურგენიძე
მირიან კილაძე

TEXT
Elene Machavariani
Ia Gachechiladze
Ketevan Tatishvili
Natia Khizanishvili

EDITOR
Ketevan Tatishvili

TRANSLATION
Maia Kavtaria

DESIGN
Dato Mosiashvili

PHOTO
Vasil Targamadze
Dimitri Gurgenidze
Mirian Kiladze

ISBN 978-9941-9783-1-9

© კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2022
© KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS, 2022

მომხატველთა სახელების მოხსენიება მათი თავმდაბლობისა და მოკრძალების გამო ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში იშვიათია. ძირითადად, ცნობილია გადამწერთა ანდერძები, რომლებშიც თხრობა ხშირად მიმდინარეობს მომგებლის პირით. დამკვეთი წინა პლანზე იყო წამოწეული, რადგანაც მის გემოვნებასა და შეძლებაზე იყო დამოკიდებული ხელნაწერის ლამაზად წერა თუ შემკობა.

ხელნაწერთა კოლოფონებში მხოლოდ რამდენიმე მომხატველის სახელია მითითებული, მაგალითად: ანდერძ-მინაწერებიდან ცნობილია ჯრუჭი I ოთხთავის მომხატველი თევდორე (H 1660, 940წ.); XIII საუკუნის ერთ-ერთ ოთხთავში (A 496) მათეს სახარების დამაგვირგვინებელი თავსამკაულის გასწვრივ მათე მხატვარია მოხსენიებული; თამარ მეფის მიერ კონსტანტინეპოლში დაკვეთილი ვანის სახარების მომხატველი მიქაელ კორესელია (A 1335 XII-XIII სს.); XIV საუკუნის ოთხთავის ანდერძში მომხატველად დასახელებულია ავგაროზ ბანდაისძე და ა. შ.

გადამწერი ხელნაწერის მოხატულობასაც ასრულებდა. გადამწერი-კალიგრაფი რომ მხატვრობაშიც განსწავლული იყო, ამას ადასტურებს კალიგრაფისა და მომხატველის ავგაროზ ბანდაისძის ანდერძი XIV საუკუნის „პარაკლიტონში“A 575.

შუა საუკუნეების ხელით გადაწერილი წიგნის შექმნაში მრავალი ოსტატი იღებდა მონაწილეობას. ხელნაწერი წიგნის შექმნა ან, როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, „წიგნის შემზადება“, მეტად რთული პროცესი იყო. იგი დახელოვნებულ ოსტატთა ერთობლივი შრომის შედეგი იყო. თითოეული ოსტატი ანდერძ-მინაწერებში შესაბამისი ეპითეტით მოიხსენიება. ეტრატის ანუ საწერი მასალის შემქმნელს „ეტრატაჲ“ ეწოდებოდა, გადამწერს – მწერალი, ამკინძავს – „მმოსველი“, ყდის მომჭედელს – „ოქრომქანდაკებელი“ ან ოქრომჭედელი, ქაღალდის დამამზადებელს – „მლესავი“.

რაც შეეხება მხატვრის ეპითეტებს, რამდენიმე შეიძლება დავასახელოთ. მხატვრის სახელწოდებები დროთა განმავლობაში იცვლებოდა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ხელნაწერი წიგნის გამფორმებელი თავის თავს იშვიათად მოიხსენიებდა. როგორც ჩანს, მოკრძალებისა თუ თავმდაბლობის გამო ისინი თავიანთ სახელებს ხშირად მიფარვით გვამცნობდნენ – ორნამენტულ ხვეულებში აქსოვდნენ ან საიდუმლო დამწერლობით გამოსახავდნენ. მაგალითად, ჯრუჭის I ოთხთავის (H 1660, 936-940 ნნ.) თავფურცელზე ჯვრის გამოსახულების ზემოთ (1v) მოთავსებულია ასომთავრულით შესრულებული ორი მინაწერი თევდორე „კამარათამწერალისა“, რომელთაგან ერთი (მარჯვენა მხარეს) კრიპტოგრამულად არის დაწერილი და იკითხება სარკეში. „კამარათამწერალი“ მხატვარ თევდორეს ეწოდება იმიტომ, რომ მის მიერ შესრულებული მახარებელთა გამოსახულებანი და განკურნების სცენები კამაროვან ჩარჩოებშია მოთავსებული.

„წერა“ ზმნა ადრეულ ხანაში ფართო ცნების აღმნიშვნელი იყო. ტაძრის მომხატველებსაც „ტაძრის მწერალნი“ ეწოდებოდათ (სვანური მრავალთავი A 19, X ს). საინტერესოა, რომ ფერებით ხატვას დღესაც შემორჩა ტერმინი „ფერწერა“.

ჯრუჭი II ოთხთავში (XII ს. H 1667) ერთ-ერთ მინიატიურაზე (180v) ქრისტეს სავარძელზე მხატვრის, მიქაელის, წარწერა („ქრისტე, შეიწყალე მიქაელ და დაიცევ“) ნუსხურით, ტექსტის მელნით, მცირე ზომის ასოებით შესრულებული, ძნელად გასარჩევია ორნამენტისაგან. ს. ბარნაველი წარწერაში მოხსენიებულ მიქაელს ხელნაწერის მოხატულობის ერთი ნაწილის შემსრულებლად მიიჩნევს [ბარნაველი 1958: 637].

XIII ს. ოთხთავში A 496 მათე მახარებლის თავსამკაულის გასწვრივ სტილიზებული მთავრული ასოებით წარწერაა შესრულებული: „მათე მხატვარი“.

თამარ მეფისეული ვანის ოთხთავის (XII-XIII სს. A 1335) ბოლოს ბერძენი მომხატველის მიქაელ კორესელის ანდერძია ბერძნულად, სადაც იგი „ოქროგთმწერლად“ მოიხსენიება: „ქ. ოქროთი მოიწერა ეს წიგნი მიქაელ ოქროგთმწერლის კორესელის მიერ“ (A 1335, 275v).

იენაშის ოთხთავში (XIII ს. დაცულია მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში) იოანეს სახარების გრეხილ ორნამენტში ფერადი ასოებით ჩაქსოვილ ანდერძში იონა მოიხსენიება, როგორც „მოქმედი“ ანუ, როგორც სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს, „მქმნელი“ („შემქმნელი“) („ქრისტე, ძეო და სიტყუაო ღმრთისაო, შეუნდენ ფრიად ცნობილსა ამისსა მოქმედსა იონას“ (191r)). მოქმედის ტერმინით გადამწერიც და მომჭედველიც იწოდებოდა, მაგ.: დავით კურაპალატის ჯვრის ოსტატის წარწერაში ვკითხულობთ: „ასათ, ამის მოქმედი“ [მაჭავარიანი 2012:151-152].

XIV ს. ოთხთავის (H 2125) მომხატველის ავგაროზ ბანდაისძის ანდერძი მოთავსებულია ერთ-ერთი კამარის ქვემოთ (3v): „ესე ოთხნი მახარებელნი და ზემოდთ კამარანი დაიხატნეს ჴელითა ავგაროზ ბანდაჲსძისაჲთა, შენდობა ყავთ“ (2v).

XV ს. ოთხთავის (A 845) მახარებელთა გამოსახულებების შემსრულებული ანანია მიუთითებს: „ამისა მხატვარსა ანანიას შეუნდვნეს ღმერთმან“ (მათე მახარებლის მინიატიურის ზურგის მხარეს ნუსხურით, 9v).

მოგვიანო ხანაში მხატვართან ერთად იხმარება ტერმინი „ჴელოანი“, მაგალითად, ალექსი მესხიშვილი – გადამწერი და მომხატავი – საკუთარ თავს უწოდებს „ჴელოან მხატურის მღვდლის ძეს“ (იგულისხმება გრიგოლ მხატვარი).

XVII-XIX საუკუნეების საქართველოში ჩამოყალიბებულია დახელოვნებულ კალიგრაფთა საგვარეულო დინასტიები [ბერიძე 1967] (ბედისმწერლიშვილების, თუმანიშვილების, გაბაშვილების, მესხიშვილების, მიქაძეების). ამ საგვარეულოს წევრებს შორის შთამომავლობით გადადიოდა კალიგრაფიული ხელოვნება, ტექსტების მხატვრული გაფორმებისა და ასევე ისტორიული საბუთების შედგენისა და შესრულების ტრადიცია. ისინი, ძირითადად, სასულიერო პირები იყვნენ. მუშაობდნენ ასევე მდივანმწიგნობრებად ქართველ მეფეთა კარზე, ხელნაწერების გარდა ადგენდნენ და წერდნენ ისტორიულ საბუთებსაც. ამ დინასტიების წარმომადგენლები ცნობილი მხატვრებიც იყვნენ. მათ მიერ შესრულებული ხელნაწერი ტექსტები გამოირჩეოდა არა მარტო დახვეწილი კალიგრაფიული ხელოვნე-

ბით, არამედ გვერდების მხატვრული გაფორმებითაც. ტექსტს ამკობდნენ თავსამკაულებით, მთავრული ასოებით, მინიატიურებით, რომლებიც მაღალ მხატვრულ დონეზე იყო შესრულებული.

კალიგრაფ-მომხატველთა საგვარეულო დინასტიებიდან მრავალი ხელოვანი შეიძლება დავასახელოთ: ბედისმწერლიშვილები – იესე, ნათანაელი; გაბაშვილები – ზაქარია, ოსე, იოანე; თუმანიშვილები – ეგნატი, იესე, დავითი; მესხიშვილები – გრიგოლი, ალექსი, დავითი, სოლომონი, გიორგი, მიხეილი, ტარასი; [გაჩეჩილაძე 2011. ქუთათელაძე, 1959:17-20]; მიქაძეები – გაბრიელი, ნიკოლოზი, ზაქარია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მესხიშვილები ანჩისხატის დეკანოზები იყვნენ, ხოლო მიქაძეები – სიონის ტაძრისა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მამიდან შვილზე გადასული „ხელოვანება“ ადრეული ასაკიდან მჟღავნდებოდა. ალექსი მესხიშვილმა 17 წლის ასაკში გადაწერა ჟამნი (S 1096) [ჯაჭახიძე 2019:297-310].

ხელნაწერი წიგნის შექმნის რთულ პროცესში ხელოვან-ოსტატთა შორის გადამწერისა და მომხატველის მჭიდრო ურთიერთკავშირი უნდა აღინიშნოს. ზოგჯერ გადამწერი შეიძლება წიგნის მომხატველიც იყოს [მაჭავარიანი 1975:15-33].

აღსანიშნავია, რომ მოხატული ქართული ხელნაწერი წიგნების შექმნაში გადამწერს დიდი როლი ეკუთვნის [მაჭავარიანი 1995:229-23]. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება იმაში, რომ მომგებლის მოთხოვნილებების შესაბამისად, გადამწერი მოხატული ხელნაწერის არქიტექტონიკას ქმნის. მხატვრული ანსამბლის შემადგენელი ელემენტების ჩამოყალიბებაში, კერძოდ, მათი ფორმატის, ტექსტთან ურთიერთობის, შემადგენელი ელემენტების ადგილის განსაზღვრაში გადამწერს დიდი როლი ენიჭება. გარდა ამისა, იგი განსწავლული იყო იკონოგრაფიული სქემების შერჩევაში. მრავალი მინიატიურით დასურათებულ ხელნაწერებში, როცა მინიატიურები ტექსტში იყო ჩართული შინაარსის შესაბამის ადგილებში, გადამწერს უნდა განესაზღვრა კომპოზიცია განთავსდებოდა ჰორიზონტალურად თუ ვერტიკალურად.

გადამწერის მხატვრად მიჩნევა მეტად შრომატევადი სამუშაოს შედეგია. რა თქმა უნდა, არის შემთხვევები, როდესაც კოლოფო-

ნები პირდაპირ გვაწვდის ცნობას იმის შესახებ, რომ გადამწერი და მხატვარი ერთი და იგივე ადამიანია (მაგ., იენაშის ოთხთავში იონა ერთ შემთხვევაში დასახელებულია როგორც გადამწერი, მეორე შემთხვევაში კი, როგორც მხატვარი. ავგაროზ ბანდაისძე, როგორც ანდერძებიდანაა ცნობილი, გადამწერიცაა და მხატვარიც. მან გადაწერა პარაკლიტონი (A 575) და მოხატა გიორგი თაბაურის მიერ გადაწერილი ოთხთავი (H 2125) კამარებითა და მახარებელთა გამოსახულებებით და ა.შ). თუმცა გადამწერისა და მხატვრის იდენტიფიკაციის საშუალებას, ძირითადად, საილუსტრაციო მასალა იძლევა. ეს კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როცა ხელნაწერის მხატვრობა (ორნამენტები და მინიატიურები) მტკიცედაა დაკავშირებული ტექსტთან ან როცა გადამწერის ანდერძი მხატვრულად უკავშირდება შემკულობას. ზოგჯერ გვერდის მხატვრული კომპოზიცია – თავსამკაულები, საზედაო ასოები და ტექსტი – ერთიანობაშია გააზრებული: ორნამენტები ტექსტის არეშია შეჭრილი, სტრიქონები შემოწერენ მათ საერთო მონახაზს. ხშირად ტექსტში ცალკეული სიტყვები და სტრიქონები დაწერილია იმავე საღებავით, რომლითაც ნახატია შეფერილი. ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ გადამწერი ტექსტის მორთულობას თავად ასრულებს (მაგ.: მოქვის სახარება, ლარგვისის ზატიკი და ა.შ.) [მაჭავარიანი 2012:155-175]. როცა ცნობილია გადამწერის ანდერძი, ზემოაღნიშნული ნიშნების საფუძველზე, ორიგინალებზე მუშაობის შედეგად, შესაძლებელია გამოვლინდეს, გადამწერი მხატვარიც არის, თუ არა.

გადამწერ-მომხატველთა შორის გამოირჩევიან მხატვარ-დეკორატორები და მხატვარ-მინიატიურისტები. პირველ შემთხვევაში, ისინი ასრულებენ ორნამენტულ შემკულობას, მეორე შემთხვევაში, მინიატიურების შემსრულებლები არიან. გადამწერ-დეკორატორი ანდერძს ასრულებს ტექსტის ხელითა და ტექსტის მელნით და უკავშირებს ორნამენტულ ნახატს, რომლის კონტურებიც ასევე ტექსტის მელნითვეა შესრულებული. XIII ს. ხელნაწერის (A 136) თავფურცელზე ჯვრის ქვემოთ გრიგოლის ანდერძია: „ლოცვა ყავ ფრიად ცოდვილისა გლახ გრიგოლისათჳს“. მარტვილის ოთხთავის XI ს. ნუსხურით გადაწერილ ტექსტში გადამწერის, არსენის, ანდერძი –

“არსენი, უფალო, შეიწყალე“ – უკავშირდება პოსტამენტზე შედგმულ მოხატულ საზედაო ასო „დონს“ (170r), რომელიც მდიდრულად შემოსილ ხელს უჭირავს. იენაშის ხელნაწერში ფსალმუნის ტექსტი (იხ. ფსალ.103), რომელშიც ლაპარაკია ვეშაპზე, ჩაწერილია ვეშაპის გამოსახულებაშივე (125r), რომელიც ლუკას სახარების თავსამკაულში ნახევარწრიულ ზოლს ქმნის. იონა გადამწერმა მოხატვის პროცესში გაიაზრა შინაარსი და ვიზუალურად გამოხატა იგი. ანალოგიურ შემთხვევას ვხვდებით მოქვის ოთხთავში (Q 902, 1300 წ.), რომელშიც ოსტატმა ტექსტის შინაარსის შესაბამისად საზედაო ასოს მოხატულობა ვეშაპის მიერ იონას შთანთქმის სცენით გამოხატა (269v).

რაც შეეხება გადამწერ-მინიატიურისტებს, ე.ი. როცა გადამწერი მინიატიურებს ასრულებს, გამოვარჩევთ 1300 წლით დათარიღებული მოქვის ოთხთავის (Q 902) ოსტატ ეფრემს, ლარგვისის ზატიკის (A 25) ოსტატ ბარნაბას, ჯრუჭი II (H 1667) ხელნაწერის გადამწერს და ერთ-ერთ მომხატველს მიქაელს, XVII საუკუნის ვეფხისტყაოსნის (H 599) გადამწერს და მომხატველს მამუკა თავაქარაშვილს, რომელმაც თავისი პორტრეტი რამდენიმე მინიატიურაზე გამოხატა.

ამრიგად, ხელნაწერის მხატვრული და პალეოგრაფიული თავისებურებების შესწავლის საფუძველზე, გაირკვა რა შუა საუკუნეების წიგნის შემსრულებელთა – გადამწერსა და მხატვარს – შორის შრომის განაწილების საკითხი, საშუალება მოგვეცა მთელ რიგ შემთხვევაში მხატვარი და გადამწერი ერთ პიროვნებად მიგვეჩნია. გადამწერისა და მხატვრის იდენტიფიკაციის შედეგად კი ქართველ ოსტატთა გალერეას შეემატა მრავალი, დღემდე უცნობი მხატვრის სახელი.

ავგაროზ ბანდაისძე, ლარგვისის მონასტრის მოღვაწე

კალიგრაფი, მომხატველი, 1348-1365 წწ.

ავგაროზს გიორგი თაბაურთან ერთად გადაწერილი აქვს პარაკლიტონი A 575 (187r). ავგაროზს ეკუთვნის 1r-156v გვერდები. ხელნაწერი გადაწერილია ლარგვისის მონასტერში (154v). შეიცავს 250 ფურცელს, 33,5X23,5 სმ; დაწერილია ეტრატზე ნუსხურით.

ავგაროზის მიერ მოხატულია თავსამკაული, რომელიც აგვირგვინებს დასაწყისს. იგი П-ს ფორმისაა ტექსტის მთელ სიგანეზე. თავსამკაულს ავსებს მცენარეული ორნამენტი, რომელიც ტექსტის მელნითაა შესრულებული. თავსამკაულის ჩარჩო სინგურითაა შემოვლებული.

ავგაროზის შედგენილია ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე „ძეგლი ერისთავთა“. შ. მესხიას აზრით, მარი ბროსეს არქივში აღმოჩენილი ორიგინალი ავგაროზის დაწერილია და მის მიერაა შესრულებული ამ ძეგლში ჩართული მისი თანამედროვე ქსნის ერისთავის ვირსელ III-ის (იოანე ერისთავის შვილის) პორტრეტი.

ანდერძი: (A 575): „ღირს ვიქმენ მე, არა ღირსი მწერალი ბანდაისძე, აღწერად წმიდისა ამის წიგნისა,... ვიწყე წერად დიდსა სიგლახაკესა და ეტრატის სიძვრესა და შფოთსა და უცალობასა შინა... ოდეს ვიწყე წერად, ყრმა ვიყავ და აქა მიმჯცოვნებულმან სრულ-ვყავ“ (154v). ერთერთ ანდერძში (155r) მიუთითებს, რომ „წყალობითა ღვთისათა“ მან მოძღვრის ათი ხელოვანება შეითვისა, მათ შორის, წერისა და მხატვრობის ჯელიც (ანდერძის ვრცელი ტექსტი იხ. ვ. ბერიძე, გვ.15).

A-II$_2$, გვ.176-191.

ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბილისი, 1967, გვ.15-16.

* * *

გიორგი თაბაურის გადაწერილ (76r) ოთხთავში H 2125 ავგაროზ ბანდაისძეს შესრულებული აქვს მოხატულობა (ხელნაწერს შეუერ-

თდა H 2122 ოთხთავის ტექსტის 12 ფურცელი და ორი მახარებლის, ლუკასა და მათეს, მინიატიურები).

ხელნაწერი შეიცავს 154 ფურცელს, 28,4 X 19 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით.

ავგაროზის შესრულებულია სამი კამარა (2r-v, 3v), თავსამკაულები (4r, 6r, 44v, 47r, 81v, 85r, 134r), მახარებელთა გამოსახულებანი (43v, 46v, 84v, 133v) და საზედაო ასოები.

წერის მანერა არ არის პროფესიულ დონეზე შესრულებული. ყურადღებას იპყრობს მახარებელთა ექსპრესიულად გადიდებული სახეები და ხელები, ნუშისმაგვარი თვალები. ნახატობა დამუშავებულია მსხვილი ხაზებით. კოლორიტში გამოყენებულია ყვითელი, სინგური, მონაცრისფრო ფერები. საღებავი თხელ ფენადაა დაფერილი. მინიატიურების ფონი ეტრატისაა. მხატვრობა ხალხური მიმართულების ხელნაწერთა ჯგუფს მიეკუთვნება.

ანდერძი: „ესე ოთხნი მახარებელნი და ზემოჲთ კამარანი დაიხატნეს ჴელითა ავგაროზ ბანდაჲსძისაჲთ, შენდობა ყავთ“ (2v). ანდერძი მიწერილია მათე მახარებლის მინიატიურის ქვემოთ.

H-V, გვ.79-80.

ვ. ბერიძე, გვ.16.

აზარია სუმბატიძე

კალიგრაფი, მომხატველი, XVI ს.

აზარიას შესრულებულია სახარება H 86 (146v).

ხელნაწერი შეიცავს 206 ფურცელს, 20,3X16, 2 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით, ტექსტი ნაკლულია. იწყება ლუკას სახარებით.

ხელნაწერი მოხატულია ლუკასა და იოანეს სახარებების დამაგვირგვინებელი თავსამკაულებით: ლუკასთან თავსამკაული (146v) Π-ს ფორმისაა, ხოლო იოანესთან (204r) გრეხილი ორნამენტული ზოლია. თავსამკაულები აგვირგვინებენ ტექსტის მარცხენა სვეტს. ნახატობა გამოყვანილია შავ ფონზე სინგურითა და დაუფერავი ქაღალდის ფერით.

ანდერძი: „წმიდაო ლუკაჲ, მეოხ მეყავ წინაშე ღმრთისა მე, სუმბატიძეს აზარიას“ (146v).

H – I, გვ.66-67.

ვ. ბერიძე, გვ.207-208.

ათანასე

კალიგრაფი, მომხატველი, X ს.

ათანასეს შესრულებულია სვინაქსარი A 840 (179r). ტექსტი გიორგი მთაწმიდელის რედაქციისაა. ხელნაწერი შეიცავს 195 ფურცელს, 29X22 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით. ხელნაწერი შემკულია მხატვრული საზედაო ასოებით. მათი მოხატულობა შესრულებულია ტექსტის მელნით. ორმაგი კონტური დასერილია სამკუთხედებითა და მართხკუთხედებით და შეფერილია წითელი და მწვანე საღებავების მონაცვლეობით.

ანდერძი: „დასრულდა განგებაჲ თუეთა წელიწადისათაჲ ჴელითა გლახაკისა და ფრიად ცოდვილისა ათანასესითა“ (179r).

თ. ჟორდანია ტ. III, გვ.51.

ვ. ბერიძე, გვ.19-20.

აკაკი

კალიგრაფი, მომხატველი, 1504 წ., მუშაობდა სამცხის ათაბაგის კარზე.

აკაკის შესრულებულია ოთხთავი Q 920 (253v). მომგებელი: ყვარყვარე დიდისა და დედისიმედის ასული დედოფალთ-დედოფალი თამარი (253v). ხელნაწერი შეიცავს 264 ფურცელს, 15,2X10,5 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით. მთარგმნელია გიორგი მთაწმიდელი (251r).

ხელნაწერი მოხატულია თავსამკაულებით, მახარებელთა მინიატიურებითა და საზედაო ასოებით. მახარებელთა მინიატიურები, როგორც ჩანს, სხვა ოსტატის შესრულებულია. თავსამკაული სწორკუთხაა (12r, 81r, 125r, 195r). ნახატობა ფოთლოვან მოტივებთან დაკავშირებული წრეებია. საზედაო ასოები თავსამკაულებთან მჭიდრო კავშირშია. იოანეს სახარების ტექსტის დასაწყისი „ჯარის“

გარდა ისინი ჩამოზრდილნი არიან დაწერილი სვეტის მთელ სიგრძეზე. მათი კონფიგურაციაც შექმნილია ფოთლოვანი მოტივებით. კოლორიტში სჭარბობს ოქროსთან შეხამებული ლურჯი ფერი.

ანდერძი: „ამისსა მწერალსა აკაკის შეუნდოს ღმერთმან“ (253v).

Q-II, გვ.347-349.

3. ბერიძე, გვ.20.

N. Kavtaria, The Atabag Court and the Georgian Miniature Painting of the 15th-16th centuries, in *Le Sympozium International* Le Livre. La Romanie. L'Europe, Bucharest, 2012, p.178-190.

დ. კლდიაშვილი, ჯაყელთა კიდევ ერთი საგვარეულო მატიანე ქუთაისის ისტორიული მუზეუმიდან, საერთაშორისო კონფერენციის „ტაო-კლარჯეთი“ მასალები, თბილისი, 2010, გვ.216-233.

ამბროსი

კალიგრაფი, მომხატველი, XVIII ს.

ამბროსის შესრულებულია „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ A 338 (გვ.177). ხელნაწერი შეიცავს 250 ფურცელს, 33X9,5 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერი შემკულია იოანე დამასკელის მინიატიურით (1v) და მოხატულია თავსამკაულით (გვ.2).

თავსამკაულის გეომეტრიული ორნამენტი ოქროს ფონზეა შესრულებული. იოანე დამასკელი ფეხზე დგას ეკლესიის მოდელით ხელში. მინიატიურა ჩარჩოს გარეშეა. კოლორიტში ლურჯი და აგურისფერი საღებავებია გამოყენებული.

ანდერძი: „უფალო, შეიწყალე ცოდვილი ამბროსი“ (გვ.189).

A –I_4, გვ.49-50.

ანანია

მომხატველი, XV ს., სამცხის ათაბაგების კარზე მოღვაწე.

ანანიას მოხატულია ოთხთავი A 845 (გადაწერილია შავზაქარიას მიერ შავ მთაზე XI საუკუნეში).

ორი მახარებელი მათე და მარკოზი (9v, 93v) ხელნაწერში გვიან, XV საუკუნეშია ჩართული. შესრულებულია ქაღალდზე. მახარებლები მერხის წინ მჯდომარე პოზაში არიან მდიდრულ არქიტექტურულ ფონზე. გამოირჩევიან წაგრძელებული პროპორციებით. ჭარბად არის გამოყენებული სინგური. სახეები ფაქიზადაა შესრულებული. წერის მანერა ცხოველხატულია. საღებავები გაუმჭვირვალეა. კოლორიტში სჭარბობს სინგური.

ანდერძი: „ამისა მხატვარსა ანანიას შეუნდვნეს ღმერთმან“ (მათე მახარებლის მინიატიურის ზურგის მხარეს ნუსხურით, 9v).

Амиранашвили Ш., Грузинская миниатюра, Москва, 1966, ст. 33.

თ. ჟორდანია ტ.III, გვ.62.

ვ. ბერიძე, გვ.22-23.

N. Kavtaria, The Atabag Court and the Georgian Miniature Painting of the 15th – 16th centuries, in Le Sympozium International Le Livre. La Romanie. Bucharest, 2012, p.178-190.

ანდრია

კალიგრაფი, მომხატველი, XVI – XVII სს.

ანდრიას შესრულებულია კრებული S 4930. ხელნაწერი შეიცავს 531 ფურცელს, 24X18 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერის მოხატულობას წარმოადგენს თავსამკაული (179v) და მოხატული საზედაო ასოები.

ანდერძები შესრულებულია კრიპტოგრამულად: „ქრისტე, შეიწყალე ანდრია“ (358r, 460r).

S-VI, გვ.180-186.

ანნა, თავადის ავთანდილ ამილახვრის ქნეინა

კალიგრაფი, მომხატველი, 1825 წ.

ანნას შესრულებულია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ S 1727 (133v). ხელნაწერი შეიცავს 135 ფურცელს, 31x20 სმ., დაწერილია ქაღალდზე მხედრულით.

ხელნაწერი შემკულია მრავალი თავსამკაულით (1r, 3r, 7r, 12v, 13v, 23r, 25r და ა. შ.). თავსამკაულები ან სწორხაზოვანი ზოლია ან Π-ს ფორმა აქვს. ნახატი წარმოადგენს სტილიზებულ მცენარეულობას და შეფერილია მუქი მწვანე, შინდისფერი და ყვითელი საღებავებით.

ანდერძი: „აღვსწერე მე, თავადის ავთანდილ ამილახოროვის კნეინა ანნამ ესე ვეფხისტყაოსანი ძისა ჩემის თავადის ალექსანდრესათვის. ანნა“ (133v).

S-III, გვ.153-154.

ანტონ ხუციევი

კალიგრაფი, მომხატველი, 1822-1824 წწ.

ანტონის შესრულებულია შაჰყულიანი დავითის „ეკლესიის ცხოვრება“ H 776 (1 r); გადაწერილია ხიზაბავრაში (1r). ხელნაწერი შეიცავს 340 ფურცელს, 34,5X22,5 სმ., დაწერილია ქაღალდზე მხედრულით.

ტექსტის თითოეული გვერდი ჩასმულია ლითოგრაფიულად შესრულებულ ჩარჩოში. კიდეებზეც ლითოგრაფიულად შესრულებული ყვავილოვანი ორნამენტებით გამოხატულია მარგინალური ნიშნები. თავსამკაულები (1r, 3r, 6r, 22r, 168r, 171r) შესრულებულია ტექსტის მელნით გრაფიკულად. გამოყენებულია მცენარეული ორნამენტი მოყავისფრო საღებავით ოდნავ შეფერილი. დასაწყისში ანდერძი ჩაწერილია თაღოვან ჩარჩოში; კაპიტელზე დაყრდნობილი თაღედი კუთხეებში გუმბათოვანი ეკლესიის მოდელითაა აღნიშნული ან თავსამკაულები სწორკუთხა ფორმისაა (3r და 168v) ტექსტის მთელ სიგანეზე ან ოთხკუთხაა ცენტრში ამოკვეთილი ცარიელი სივრცით (6r, 22r, 171r) თავზე ყელიყელგადაჭდობილი ფრინველებით გამოხატული.

ანდერძი თაღოვან ჩარჩოშია ჩაწერილი: „აღიწერა ხელითა ხიზაბავრელი ტერ ანტონ ხუციოვის“ (1r).

H-II, გვ.163-164.

არსენი

კალიგრაფი, მომხატველი, 1050 წ.

არსენის შესრულებულია მარტვილის ოთხთავის S 391 მეორე – ნუსხურით ნაწერი ტექსტი, კერძოდ, ლუკას და იოანეს სახარებები. მომგებელი ივანე ფარჯანიანი (145r, 152r, 165r, 170r, 193v). ხელნაწერი შეიცავს 193 ფურცელს, 23X19. გადაწერილია ეტრატზე. ტექსტის პირველი ნაწილი 141 ფურცლამდე დაწერილია X საუკუნეში ასომთავრულით. ხელნაწერის დასაწყისში წარმოდგენილი მათე და იოანე მახარებლების მინიატიურებიც X საუკუნითაა დათარიღებული.

არსენის მიერ შესრულებულია მოხატული მთავრული ასოები. მათი მოხატულობა შექმნილია გეომეტრიული, წნული ან სტილიზებული მცენარეული მოტივებით. კოლორიტი შედგება მწვანე, ყვითელი და ყავისფერი საღებავებით.

მთავრული „დონის" მოხაზულობა მდიდრული სამოსით დაფარულ ხელს უჭირავს (170r), რომლის ქვემოთ არსენის ანდერძია მიწერილი: „არსენი, უფალო, შეიწყალე".

S-I, გვ.489-490.

ვ. ბერიძე, გვ.128-129.

არსენი

კალიგრაფი, მომხატველი, XI ს.

არსენის შესრულებულია იოანე სინელის „კლემაქსი" A 285 (210r). ხელნაწერი შეიცავს 266 ფურცელს, 21,4X14 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით.

ხელნაწერი მოხატულია თავსამკაულით (115v) და საზედაო ასოთი. თავსამკაული სწორხაზოვანი ზოლია, რომელიც შედგენილია ფოთლოვანი ორნამენტით შევსებული წრეებისგან და იკავებს ტექსტის მთელ სიგანეს. ასომთავრულით სინგურით შესრულებული დასათაურება იწყება მოხატული საზედაო ასოთი (115v).

ტექსტში გვხვდება მონოგრამებიც (109r, 157v, 185r და სხვ.). კოლორიტში გამოირჩევა მწვანე და შინდისფერი საღებავები. მხატვრობა შესრულებულია ეტრატის ფონზე.

ანდერძი: „ქრისტე, შეიწყალე არსენი“ (206r).
A-I_3, გვ.164-165.

არსენი

კალიგრაფი, მომხატველი, XII ს.

არსენის შესრულებულია ოთხთავი H 1707 (192r). მომგებელია ვარდან ავლეველი. ხელნაწერი შეიცავს 212 ფურცელს, 23X18სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით.

ხელნაწერი შემკულია სამი კამარით (1v, 2v, 3v), თავსამკაულებით (9r, 56r, 93r, 105r), მახარებელთა გამოსახულებებით (8v, 55v, 92v, 149v) და საზედაო ასოებით.

არსენის მიერ შესრულებულია ორნამენტული შემკულობა, ხოლო მახარებელთა გამოსახულებანი სხვა, პროფესიონალი ოსტატის ნახელავია. თავსამკაულები Π-ს ფორმისაა. აგვირგვინებენ ტექსტის მარცხენა სვეტს. შექმნილი არიან წრეებისა და მათი დამაკავშირებელი მცენარეული ორნამენტებისგან. კამარების ზედანიც მცენარეული მოტივებითაა შევსებული.

საზედაო ასოები მხოლოდ სახარების ტექსტის დასაწყისშია. მათი არქიტექტონიკა იქმნება ადამიანთა გამოსახულებებით. იოანეს სახარების დასაწყისში ასო „პარი“ სიუჟეტური ინიციალია. ასო „პარის“ კონფიგურაციას ვხვდებით საუკუნეების მანძილზე (იხ. XII ს. გელათის ოთხთავი Q 908, მატენადარანში დაცული XIII ს. ქართული ოთხთავი და XVI საუკუნის ოთხთავი A 401). რაც შეეხება „წილის“, „დონის“, „ვინის“ მოხაზულობებს, ისინი ასევე განმეორებული არიან XVI საუკუნის A 401 ოთხთავში.

ანდერძი: „აღმაწერია წმიდაჲ ესე ოთხთავი მლოცველსა მათსა უნდოსა არსენის“ (192r).

H-IV, გვ.136-137.

ვ. ბერიძე, გვ.23-24.

აღათონ ბერი

კალიგრაფი, მომხატველი, 1791 წ.

აღათონის შესრულებულია მცირე სჯულისკანონი A 12 (გვ.120).

ხელნაწერი შეიცავს 101 ფურცელს, 21,5X 17სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით. მთარგმნელი ეფთვიმე ათონელი (გვ.120). ხელნაწერს დასაწყისში ამკობს თავსამკაული (გვ.1). იგი სწორხაზოვანი ფორმისაა, ტექსტის მთელ სიგანეზე განთავსებული. თავსამკაულს ყვავილოვან-ფოთლოვანი ორნამენტი ავსებს.

ანდერძი: „წმიდაო მამაო ევთიმი, ქრისტეს წინაშე მეც მომიხსენე მჩხაპავი ამისი, ყოვლად სულით გლახაკი ბერი აღათონ“ (გვ.120).

A-I$_1$, გვ.46-47.

ბარბარა მაჭავარიანი

კალიგრაფი,მომხატველი, XIX ს.

ბარბარას შესრულებულია კრებული H 500 (16 r-v და 103v). ხელნაწერი შეიცავს 120 ფურცელს, 10,5X9 სმ. დაწერილია ქაღალდზე მხედრულით.

ხელნაწერის თითოეული გვერდი ჩასმულია ყვავილოვანი ან გეომეტრიული მოტივებით შედგენილ ჩარჩოში, რომელიც შესრულებულია ყავისფერი საღებავით ქაღალდის ფონზე. როგორც ჩანს, ყდაში ჩასმის დროს კიდეები ჩამოჭრილია.

ანდერძი: „ყოვლად წმიდაო დედოფალო, შეეწიე და შეიწყალე დამწერი ამა თარგმნისა ცოდვილი და მხევალი შენი მაჭავარიანის ასული ბარბარა“ (103v).

H-I, გვ.361-362.

ბარნაბა

კალიგრაფი, მომხატველი, XV ს.

ბარნაბას შესრულებულია ზატიკი A 25 (18r), მომგებელი ქსნის ერისთავი შალვა (1r, 18r, 19r, 134v).

ხელნაწერი შეიცავს 338 გვერდს, 25, 8 X20 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით.

ხელნაწერის შემკულობას წარმოადგენს თავსამკაული ტექსტის დასაწყისში და მინიატიურები. ნაწილი მინიატიურებისა ჩართუ-

ლია ტექსტში. ისინი გვერდის ნახევარს იკავებენ. თავსამკაული კიდეებშემოკეცილი სწორკუთხა ზოლია. იგი შექმნილია ეტრატის ფონზე ლურჯ-წითელი ზოლებით, შექმნილია ლენტისებრი მოტივი.

ხელნაწერში 7 მინიატიურაა განთავსებული: 1. თომას ურწმუნოება (18r), 2.მენელსაცხებლე დედანი და იოსებ არიმათიელი (37v), 3. განრღვეულის განკურნება (59v), 4. ქრისტე და სამარიტელი ქალი (86v), 5. შობითგან ბრმის განკურნება (120v), 6. ამაღლება (134v), 7. ნიკეის კრება (146r).

განმარტებითი წარწერები შესრულებულია სინგურით, ასომთავრულით. მინიატიურების კოლორიტისათვის დამახასიათებელია მუქი ლურჯი ფონი. სამოსელი შესრულებულია ლურჯი, წითელი, ყავისფერი საღებავებით. შარავანდედები ყვითელი ფერისაა. საფერწერო ტექნიკა მრავალშრიანია.

ანდერძი: „უცბად მჩხრეკელსა ბარნაბას შეუნდვენ, უფალო ღმერთო, ფრიად ცოდვილსა“ (18r).

A-I$_1$, გვ.86-88.

ვ. ბერიძე, გვ.33-34.

ი. ჭიჭინაძე, ლარგვისის ზატიკის მხატვრული გაფორმება, თბილისი, 2018.

ხახვიაშვილი ც., ლარგვისის ზატიკში ასახული ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრება, მრავალთავი, 24, თბილისი, 2015, გვ.187-205.

ხევსურიანი ლ., ზატიკის ორი ძველი ქართული რედაქცია, ქრისტიანული არქეოლოგიური ძიებანი, I, თბილისი, 2008, გვ.223-348.

ბასილი მალუშისძე, ეტრატაᲐ

კალიგრაფი. მომხატველი, 1028-1031 წწ.

ბასილი წარმოშობით სამხრეთ საქართველოდან იყო. იგი ზაქარია მამამთავრის ანდერძში (A 648, 72r) მოხსენიებულია სულიერ შვილად. ბასილი მუშაობდა კონსტანტინოპოლში, ხორას მონასტერში (ამჟამად კახრიე ჯამი) და ზაქარიას დავალებით ასრულებდა ხელნაწერებს. ბასილი ანდერძებში მოხსენიებულია როგორც“უც-

ბად მჩხრეკალი“ (A 1, 75r), როგორც „უცბად მწერალი“ (A 96, 72v), „ეტრატაჲ“-ს ეპითეტით (A 648, 72r ; A 96, 72v). როგორც ჩანს, იგი ეტრატის – საწერი მასალის დამამზადებელიც იყო.

ბასილის მიერ კონსტანტინოპოლში შესრულებულია 4 ხელნაწერი: გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებანი (A 1), ორი მცირე სჯულისკანონი (A 96, S143) და სვინაქსარი (A 648). ათონის ღვთისმშობლის სახელობის ივერიის მონასტერში „გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებანის“ (A 92) გადაწერაში მიიღო მონაწილეობა ერთ-ერთი გადამწერის ზაქარია მირდატის ძის გარდაცვალების გამო. მცირე სჯულისკანონი A 96 დაკვეთილია გრიგოლ მთაწმიდელის მიერ, დანარჩენი 4 ხელნაწერი ზაქარია, სვინგელოზის, მამამთავრის მიერაა დაკვეთილი. ბასილის მიერ შესრულებულ ხელნაწერთა მონაცემები ასახულია სქემაში.

სვინაქსარი (A 648) მოხატულია წმინდანთა გამოსახულებებითა და ქრისტეს ცხოვრების ამსახველი კომპოზიციებით. ბასილის მიერ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს დანარჩენ ხელნაწერებში თავსამკაულები. თავსამკაულები სწორხაზოვანი ან ასო П-ს ფორმისაა. ისინი შემკული არიან მცენარეული მოტივებით დაკავშირებული წრეებით. შინდისფერ ან ოქროსფერ ფონზე ნახატობა ულტრამარინითაა, ძირითადად, გამოყვანილი. ათონზე შესრულებულ ხელნაწერში თავსამკაული ჯვრის სახის ორნამენტებითაა შევსებული. სვინაქსარში (A 648) ბასილის მიერ შესრულებულია მხატვრული საზედაო ასოები მთელ გვერდზე წარმოდგენილ ანდერძში (ანდერძი დაწერილია ბასილის მიერ. ანდერძის ტექსტი მომგებლის პირითაა გადმოცემული).

A 648 სვინაქსარი შეიცავს 72 ფურცელს (შემორჩენილია ხელნაწერის ერთი მეექვსედი), 27 X21 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით.

თ. ჟორდანია ტ.II, გვ.132.

Алибегашвили Г., Художественный принцип иллюстрирования грузинской рукописной книги XI – начала XIII веков, Тбилиси, 1973.

ელ. მაჭავარიანი, ქართული ხელნაწერები (დამწერლობისა და შემკულობის საკითხები), თბილისი, 2012, გვ.241.

* * *

გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებანი (A 1) შეიცავს 454 ფურცელს, 28,5X21 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით. ანდერძი შემორჩენილია 1739 წელს გადაწერილ ხელნაწერში A 16.

A –I_1, გვ.7-17.

ვ. ბერიძე, გვ.34-36.

* * *

A 92 გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებანი შეიცავს 430 ფურცელს, 26,5X21 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით.

A –I, გვ.326-332.

ვ. ბერიძე, გვ.88.

* * *

A 96 მცირე სჯულისკანონი შეიცავს 132 ფურცელს, 21 X16,5. დაწერილია ეტრატზე ნუსხურით.

A –I, გვ.393-396.

ვ. ბერიძე, გვ.36-37.

S 143 მცირე სჯულისკანონი შეიცავს 204 ფურცელს, 19 X15 დაწერილია ეტრატზე ნუსხურით.

S –I, გვ.152-154.

ბასილი მალუშისძის მიერ შესრულებულ ხელნაწერთა მონაცემები

N	მთარგმნელი	გადამწერი	წელი	გადაწერის ადგილი	დამკვეთი
A 92 გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებანი	ეფთვიმე 106v 144v 165v 182v 196r	ზაქარია მირდატის ძე 106v 165v 182v 255r ზაქარია, არსენი და ბასილი 284vბასილი 360v	[1028]	მთაწმიდა, ღვთისმშობლის მონასტერი 284v	ზაქარია მამამთავარი 284v 360v
A 648 სვინაქსარი	[ეფთვიმე]	ბასილი ეტრატაჲ 72r	1030 72r	კონსტანტინეპოლი [ხორას მონასტერი]72r	ზაქარია ვალაშკერტელი 10r, ზაქარია „ივერიელი“ 71r
A 1 გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებანი	ეფთვიმე 75r 95r 124v 149r 175v და სხვ.	ბასილი უცბად მჩხრეკალი 75r 95r 124v 149r 175v 257r 373v 496v 552v 700v 794v	1031 (იხ. A 16, 279r)	კონსტანტინეპოლი [ხორას მონასტერი]	ზაქარია მამამთავარი, ბანელი, სვინგელოზი 75r 95r 124v 149r 175v257r 373v 496v 552v 700v 794v
A 96 მცირე სჯულისკანონი	ეფთვიმე 99v	ბასილი უცბად მწერალი, ეტრ(ა)ტაჲ 72v; ბასილი ეტრ(ა)ტაჲ მალუშისძე 182v	1031 182v	კონსტანტინეპოლი [ხორას მონასტერი] 182v	გრიგოლ მთაწმიდელი 99v 182v
S 143 მცირე სჯულისკანონი	ეფთვიმე 9r 133v 163v	ბასილი 176v	-	კონსტანტინეპოლი [ხორას მონასტერი]	წმიდა ზაქარია მამამთავარი, ვალაშკერტელი 94r

ბეგთაბეგი, მდივანი

კალიგრაფი, მომხატველი, 1680 წ.

ბეგთაბეგის მიერ შესრულებულია შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ H 54 (262r-263r). მომგებელია მეფე გიორგი XI (262r-263r).

ხელნაწერი შეიცავს 263 ფურცელს, 44,5X30 სმ., დაწერილია ქაღალდზე იშვიათი სილამაზის მხედრულით.

ხელნაწერის თითოეული გვერდი შემკულია ორნამენტული აშიებით. ფართო აშიები გვერდს სამი მხრიდან უვლის, ხოლო ყუის მხარეს ვიწრო ზოლის სახითაა. „ვეფსისტყაოსნის“ სხვა ხელნაწერებისგან განსხვავებით, სადაც აშიები ცალკეა დამზადებული და შემდეგ შეწებებულია ტექსტის გვერდებთან, ბეგთაბეგისეულ ხელნაწერში აშია და ტექსტი ერთ საერთო ფურცელზეა შესრულებული. ერთმანეთისგან ტექსტი და აშია გამოყოფილია ფერადხაზოვანი ზოლებით.

აშიები მდიდრულად შემკულია ყვავილოვან-ფოთლოვან მოტივებში ჩართული ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებებით. თითოეული გვერდი ერთმანეთისგან განსხვავებული მოტივებითაა შემკული. დეკორი ოქრომელნითაა შესრულებული, რაც ხელნაწერს საზეიმო ხასიათს ანიჭებს. უნდა აღინიშნოს, რომ ბეგთაბეგი თანიაშვილად არის მიჩნეული, ხოლო შ. ამირანაშვილთან მარტიროზაშვილად.

ანდერძი: „სახელითა ღმრთისათა აღვასრულე... მე ფრიად ცოდვილმან და სახელით ოდენ მდივანმან და საქმითა ყოველთა მწიგნობართა უნარჩავესმან ბეგთაბეგ“ (263r).

H –I, გვ.42-45.

ვ. ბერიძე, გვ.97-99.

ვეფხისტყაოსანი. ხელნაწერი მემკვიდრეობა, ბ. კუდავას რედაქტორობით, თბილისი, 2013.

ბედისმწერლიშვილები

ბედისმწერლიშვილების გვარის წარმომადგენლები, კერძოდ, იესე და ნათანაელი, კალიგრაფ-მომხატველები იყვნენ, ხოლო ფარემუზი – კალიგრაფი (ვ. ბერიძის მითითებით, ისინი ძმები უნდა ყოფილიყვნენ). დამკვეთნი იყვნენ ვახტანგ VI-ის ოჯახთან დაახლოებული პირები, კერძოდ, ყაფლანიშვილ-ორბელიანთა გვარის წევრები. ბედისმწერლიშვილის გვარის წარმომადგენლები ისტორიული დოკუმენტების გადამწერებიც იყვნენ.

ბედისმწერლიშვილი იესე, მთავარდიაკონი

კალიგრაფი, მომხატველი, 1669-1673 წწ.

იესეს შესრულებულია კრებული A 179 (244r). ხელნაწერი შეიცავს 289 ფურცელს, 20X14 სმ., დაწერილია ცისფერ ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერი მოხატულია საბა განწმედილის მინიტიურით (253r). საბა წარმოდგენილია ფეხზე მდგომი. მინიატიურა იკავებს მთელ გვერდს. შესრულებულია გრაფიკულად შავი საღებავით. საბას ხელში ჯვარი უჭირავს. განმარტებითი წარწერაა მხედრულით „საბა ღირსი".

A-I$_2$, გვ.289-291.

ვ. ბერიძე, გვ.39.

იესეს შესრულებულია ქვეშის სახარება A517 1673 წელს (311v-312r). მომგებლები არიან მოლარეთუხუცესი ასლან ბარათიან-ორბელიშვილი და მისი მეუღლე დიასამიძის ასული თამარ. მათ მიერ ხელნაწერი შეწირულია ფიტარეთის ღვთისმშობლის ეკლესიისთვის (273v-274v).

ხელნაწერი შეიცავს 316 ფურცელს, 13X9,6 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერი შემკულია 10 კამარით (3r-6v) და სამი თავსამკაულით (35r, 117r, 164r). ისინი შევსებულია ყვავილოვანი ორნამენტით. ხელ-

ნაწერს დართული აქვს 15 მინიატიურა, რომლებიც მთელ გვერდს იკავებენ. 15 მინიატიურა და ჭედური ყდა, როგორც ჩანს, სომეხი ოსტატის შესრულებულია.

ანდერძი: „ქრისტე, შეიწყალე მწერალი იესე, ამინ“ (159v).

A II_2, გვ.87-89.

3. ბერიძე, გვ.39.

იესეს შესრულებულია ოთხთავი S 1247 (70v). მომგებელია მდივანბეგი ვახტანგ ორბელი (113v, 229v). ხელნაწერი შეიცავს 262 ფურცელს, 13,5 X10 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით. ხელნაწერი მოხატულია თავსამკაულებით (1r, 71r, 146r, 183r). ტექსტის თითოეული გვერდი ჩართულია ფერადხაზოვან ჩარჩოში. თავსამკაულები სწორკუთხა ფორმისაა. ისინი იკავებენ ტექსტის მთელ სიგანეს და ტექსტთან ერთად ფერადხაზოვან ჩარჩოში არიან გაერთიანებული, მხატვრობას ქმნიან ფოთლოვანი ორნამენტები, რომლებიც შესრულებულია მწვანე და წითელი საღებავებით.

ანდერძი: „ღმერთო, შეიწყალე ამა წიგნის მწერალი იესე, ამინ“ (70v).

S-II, გვ.119-120.

3. ბერიძე, გვ.39.

იესეს შესრულებულია ფარემუზ ბედისმწერლიშვილთან ერთად კურთხევანი H 1742 (316r) ქართლის მთავარეპისკოპოსის ნიკოლოზ ჩხეიძის დაკვეთით 1664 წელს.

ხელნაწერი შეიცავს 334 ფურცელს, 21,5X16 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერის პირველი გვერდი ფერადხაზოვან ჩარჩოშია მოთავსებული. ხელნაწერი მოხატულია თავსამკაულით (1r), რომელიც წარმოადგენს სტილიზებული მცენარეული მოტივებით შედგენილ კვანძოვანი ხლართებით დაკავშირებულ ოვალთა მწკრივს. ნახატი მწვანე და ყავისფერი საღებავების მონაცვლეობითაა შექმნილი. ზოგიერთი ადგილი შინდისფერითაა დაფერილი, ფონი ლურჯია.

ანდერძი: „ამისსა მწერალსაჲ ფარემუზს და იესეს შეუნდოს ღმერთმან“ (316v).

H-IV, გვ.174-176.

3. ბერიძე, გვ.39.

იესეს ფარემუზთან ერთად გადაწერილი აქვს „მარხვანი“ Q 663 (140v-141r). ხელნაწერში ფარემუზის გადაწერილია მხოლოდ 3 ფურცელი გვ.315-316.

Q-II, გვ.141.

იესეს შესრულებულია Ad-1689 საბუთი – ქართლის კათალიკოზის წყალობის სიგელი, მაღალაძეებისთვის ბოძებული.

ბედისმწერლიშვილი ნათანაელი

მდივანბეგი, კალიგრაფი, მომხატველი, 1674 – 1691წწ.

ნათანაელის მიერ შესრულებულია ჟამნი H 1755 (125v). მომგებელი ვახტანგ ორბელიშვილი (ყაფლანის მესამე ვაჟი), სულხან-საბა ორბელიანის მამა. ვახტანგ ორბელიანს ცოლად ჰყავდა ზაალ ერისთავის ასული თამარი. მათი ერთ-ერთი შვილი იყო სულხან-საბა ორბელიანი. ხელნაწერი შეიცავს 125 ფურცელს, 13X9 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით. ხელნაწერი შემკულია მინიატიურებით: ღვთისმშობლის შობა (52r), წმინდანები: ბარბარე, საბა, ნიკოლოზი (57v), შობა (60r), ნათლისღება (65r), ხარება (69r), იოანე ნათლისმცემლის მიცვალება (71v), წმ. პეტრე და პავლე ეკლესიის მოდელით ხელში (74r), ფერისცვალება (76v), ღვთისმშობლის მიცვალება (78v), წმ. ანტიფა (86v). მინიატიურები ჩართულია ვარაყიან ჩარჩოში. ასომთავრულით და ნუსხურით შესრულებულია განმარტებითი წარწერები; მინიატიურები ძლიერ დაზიანებულია. სქელი საღებავები ბევრ ადგილას ატკეცილია.

ანდერძი: „მე, ყოვლად ცოდვილმან... ბედისმწერლიშვილმან ნათანაელ წმიდაჲ ესე და შემკობილი ჟამნი... აღვასრულე ბრძანებითა ბატონის ვახტანგისითა ცოდვათა მათთა შესანდობელად და სადღეგრძელოთ“ (125v).

H-IV, გვ.185-186.

3. ბერიძე, გვ.40.

ნათანაელის შესულებულია ფსალმუნი H 16 (191v). 1691 წ. დამკვეთი ლუარსაბ მეფის თანამეცხედრე რევაზ ერისთავის ასული

მარიამი (211v). ხელნაწერი შეიცავს 212 ფურცელს, 9,8X7,5 სმ., დაწერილია ნუსხურით. ხელნაწერი დასაწყისში შემკულია თავსამკაულით, რომელიც სპარსულ სტილშია შესრულებული. ოქროსფერ ფონზე ფაქიზი ხაზებით გამოხატულია ყვავილოვანი ორნამენტი. ტექსტის ყოველი გვერდი ჩართულია ფერადხაზოვან ჩარჩოში.

ანდერძი: „ჴელ ვჰყავ მე, ყოველთა კაცთა უნარჩევესმან ბაღდადიძემან ბედისმწერლიშვილმან მღვდელმან ნათანაელ წმიდა ესე დავითი აღწერად...“ (191v).

H-I, გვ,10-11.

ვ.ბერიძე, გვ.40.

გაბაშვილები

გაბაშვილთა გვარის წარმომადგენლები XVIII საუკუნის ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები არიან. შეიძლება დავასახელოთ ზაქარია და მისი შვილები: იოანე, იოსები, ოსე და ბესარიონი (ბესიკი-პოეტი), ასევე ოსეს ვაჟი იოანე. ზაქარია, ოსე და იოანე დახელოვნებული კალიგრაფები და მომხატველებიც არიან.

გაბაშვილი (გაბაონი) ზაქარია, მოძღვარი

კალიგრაფი, მომხატველი, 1707-1783 წწ.

ზაქარიას შესრულებულია ჟამთა წირვა Q 331 (113v-114r). ხელნაწერი შეიცავს 160 ფურცელს, 28X18 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერი მოხატულია მღვდელთმთავრების – იოანე ოქროპირის (15v), ბასილი დიდის (70 v) და გრიგოლ ღვთისმეტყველის (101 v) – გამოსახულებებით. ფიგურებს მთელი გვერდი უკავიათ. მათი სამოსი მორთულია ოქროსფერი ქაღალდის ამობურცული აპლიკაციებით. ჩარჩოს გასდევს რელიეფური ღილაკები.

ანდერძი: „ზახარია ყოვლად უღირსმან ხუცეს-მოძღვარმა... გაბაონმან... აღვსწერენ წმიდანი ესე ჟამნი...“ (113v).

Q –I, გვ.349-350.

ვ. ბერიძე, გვ.53.

გაბაშვილი (გაბაონი) ოსე, მოძღვრის ზაქარიას ძე, დეკანოზი

კალიგრაფი, მომხატველი, 1822 წ.

ოსეს შესრულებულია „სწავლანი კეთილმსახურებანის“ A 301 პირველი ნაწილი (1r-104v). დამკვეთია იმერთა დედოფალი ანნა, ორბე-

ლიანთა ასული (104v). ხელნაწერი შეიცავს 239 ფურცელს, 20X16,5სმ., დაწერილია ქაღალდზე მხედრულით.

ხელნაწერი შემკულია ოსეს შესრულებული კოსმა და დამიანეს გამოსახულებებით (1v). მინიატიურა მთელ გვერდს იკავებს.

ანდერძი: „აღუწერე მე, ზაქარია მოძღურის ძემან, პროთოიერმან ოსე გაბაონმან“ (104v).

A-I$_4$, გვ.3-9.

ვ. ბერიძე, გვ.53.

ოსეს შესრულებულია მეტაფრასი (1815წ.) H 1425 (139v). ხელნაწერი შეიცავს 140 ფურცელს, 32X 22 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით. შესრულებულია საჩხერეში.

ხელნაწერის დეკორი გამოხატულია ფურცლის თავისუფალ არეზე ჩიტისა (13r) და ცხოველთა (5v) გამოსახულებებით. ისინი შესრულებულია გრაფიკულად შავი მელნით. აბზაცების დასაწყისი აღნიშნულია დიდი ზომის მოხატული მთავრული ასოებით, მაგ.: ტექსტის დასაწყისში ასო „დონის“ წრეში ჩახატულია ადამიანის სახე.

ანდერძი: „აღვსწერე წმიდაჲ ესე მეტაფრასი... მე, ზაქარია მოძღურის ძემან, გაბაონმან ოსე, დეკანოსმან...“ (139 v).

H-III, გვ.362-364.

გაბაშვილი იოანე ოსეს ძე, ჯუარის მონასტრის დეკანოზი

კალიგრაფი, მომხატველი, 1749 წ.

იოანეს შესრულებულია ტიბიკონის A 122 ერთი ნაწილი 7r-76r (76r). დამკვეთია კათალიკოსი ანტონ I. ხელნაწერი შეიცავს 418 ფურცელს, 28,5X21 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერი მოხატულია ბოლოსამკაულებით: 7v, 13v, 14r, 16r და ა.შ.

ანდერძი: „განსრულდა...ბრძანებითა საქართველოს პატრიარქისა ანტონისათა, ხელითა ჩემ უღვაწისა ჯუარის მონასტრის დეკანოზის იოანესითა...“ (76r).

A-I$_2$, გვ.100-101.

გაბრიელი

კალიგრაფი, მომხატველი, X ს.

გაბრიელის შესრულებულია ოთხთავი S 405 (45v).ხელნაწერი შეიცავს 162 ფურცელს, 28,5X23,2 სმ., დაწერილია ეტრატზე ასომთავრულით.

ხელნაწერი შემკულია თავსამკაულებით (46r, 116r) და საზედაო ასოებით. თავსამკაულები Π – ს ფორმისაა. ნახატობას ქმნის ყვავილოვანი განშტოებებით დაკავშირებული წრეები. საზედაო ასოები შემკულია ფოთლოვანი მოტივებით. მსგავსი მოტივები გამოყენებულია ქარაგმებისთვის. საზედაო ასო ზოგჯერ შედგმულია პოსტამენტზე (41v, 115v, 132v). კოლორიტული გამა შედგენილია შინდისფერი და ლურჯი საღებავებით. ორნამენტული ფონი ოქროთია დაფერილი სინგურის სარჩულზე.

ანდერძი: „წმიდაო მახარებელო მარკოზ, მეოხ მეყავ წინაშე ქრისტესა. ლოცვა ყავთ, მონანო ქრისტესნო, გაბრიელისთჳს“ (45v).

აღნიშნულ ოთხთავს შეუერთდა გაბრიელის მიერვე შესრულებული A 359, რომელიც მსგავსი მოხატულობის საზედაო ასოებითაა შემკული.

S-I, გვ.507-508.

ვ. ბერიძე, გვ.57.

გაბრიელი

კალიგრაფი, მომხატველი, X ს.

გაბრიელის შესრულებულია წყაროსთავის ოთხთავი A 98 (67v). ხელნაწერი შეიცავს 216 ფურცელს, 22x19 სმ., დაწერილია ეტრატზე ასომთავრულით.

ხელნაწერი შემკულია 8 კამარით (5r-8v) და მახარებელთა მინიატიურებით (3v-4r). კამარების არქიტექტონიკა წარმოადგენს სვეტებზე დაყრდნობილ ორ ან სამთაღოვან ზედანს. თაღედების საფუძვლებიდან ამოზრდილია მცენარეულობა ბროწეულებით. მახარებლები წარმოდგენილი არიან წყვილ-წყვილად ორ გაშლილ ფურცელზე ხელნაწერის დასაწყისში. მახარებლები ფეხზე დგანან

ფრონტალურ პოზაში წიგნებით ხელში. შესრულების მანერა გრაფიკულია ტექსტის მელნით და აქა-იქ შეფერადებული ყვითელი, წითელი და მონაცრისფრო-მწვანე საღებავებით. ფონი შეუფერავი ეტრატია.

ანდერძი: „უფალო იესუ ქრისტე, შეიწყალე მონაჲ შენი გაბრიელ“ (67v).

A-I, გვ.448-449.

ვ. ბერიძე, გვ.55.

გაბრიელ პატარაი

კალიგრაფი, მომხატველი, X ს.

გაბრიელის შესრულებულია პარხლის მრავალთავი A 95 (590v-591r) პარხალში. ხელნაწერი შეიცავს 655 ფურცელს, 45,5 X33,5 სმ. დაწერილია ეტრატზე ნუსხურით. ხელნაწერი შეიცავს შუშანიკისა და აბო თბილელის მარტვილობებს. ხელნაწერის დედანი გაბრიელ პატარაიმ მოიძია იშხნის მონასტერში.

ხელნაწერი შემკულია დიდი ზომის მხატვრული მთავრული ასოებით.

ანდერძი: „სული გაბრიელ პატარაჲსა მოიჴსენეთ წმიდათა ლოცვათა თქუენთა“ (590v-591r).

A-I$_1$, გვ.361-393.

ვ. ბერიძე, გვ.59-60.

გაბრიელი

კალიგრაფი, მომხატველი, XIII ს.

გაბრიელის შესრულებულია იოანე ოქროპირის ჟამისწირვა (გრაგნილი) A 922. გრაგნილის ტექსტი დაწერილია ეტრატზე ნუსხურით ორივე მხარეს (იგი სამკეფიანია).

გრაგნილი მოხატულია ტექსტის დასაწყისში იოანე ოქროპირის – ავტორის გამოსახულებით და საზედაო ასოებით. იოანე ოქროპირის მინიატიურა თავსამკაულის როლს ასრულებს. იგი ფეხზე დგას

გრაგნილით ხელში და ჩართულია დეკორატიულ ჩარჩოში, რომელიც შედგება წნული ორნამენტისაგან. დიდი საზედაო ასოები მოხატულია ტექსტის მარცხენა მხარეს თავისუფალ არეზე. მცენარეული განშტოებებისაგან შედგენილი საზედაო ასოების შემკულობაში ჩართულია ჩიტების, ცხოველების გამოსახულებანი, ადამიანთა სახეები და ერთ შემთხვევაში – მშვილდოსანი. მხატვრობა ტექსტის მელნითაა შესრულებული. შეფერადებულია სინგურით.

ანდერძი: „ამათსა მჩხაბავსა გაბრიელსა შეუნდენ ღმერთმან, ამინ“ (ანდერძი მოთავსებულია გრაგნილის ტექსტის დასაწყისში).

თ. ჟორდანია ტ. III, გვ.195.

ლ. ოსეფაშვილი, წმიდა ბასილი დიდის ჟამისწირვის გრაგნილის მხატვრულ-დეკორატიული გაფორმება, თბილისი, 2017.

გაბრიელი

კალიგრაფი, მომხატველი XV ს.

გაბრიელის შესრულებულია ოთხთავი A 580 (121v). ხელნაწერი შეიცავს 427 ფურცელს, 9,5X6,5 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერი შემკულია მახარებელთა მინიატიურებით (მარკოზი 103v, ლუკა 185v, იოანე 310v) და თავსამკაულებით (104v, 105r, 107r, 186r, 190r, 312r).

ანდერძი: „ღმერთო, მიშუელე სულითა საბრალოსა გაბრიელს, ამენ“ (121v).

A-II$_2$, გვ.208-209.

გაბრიელი

კალიგრაფი, მომხატველი, 1639 წ.

გაბრიელის მიერ შესრულებულია ოთხთავი A 514 (162r). ტფილელი მთავარეპისკოპოსის ელისე საგინაშვილის შეკვეთით (162r). ხელნაწერი შეიცავს 163 ფურცელს, 28,5X20 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით. ტექსტი ყოველ გვერდზე ჩართულია ფერადხა-

ზოვან ჩარჩოში. ხელნაწერი მოხატულია თავსამკაულებით (2r, 7r, 31r, 64r), ხოლო მინიატიურები სხვა უცნობი ოსტატის მიერაა შესრულებული.

ანდერძი: „აღვწერენ წმიდანი ესე სახარებანი ფრიად ცოდვილმან და კეთილისა საქმისა არა ღირსმან გაბრიელ“ (162r).

A-II$_2$, გვ.46-47.

გაბრიელი

კალიგრაფი, მომხატველი, XVII-XVIII სს.

გაბრიელის შესრულებულია ჟამისწირვა A 123 (96r). ხელნაწერი შეიცავს 122 ფურცელს, 195X15 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერის თითოეული სვეტი ჩასმულია ფერადხაზოვან ჩარჩოში. ხელნაწერი შემკულია თავსართებით (1r, 54r, 80r), ბოლოსამკაულებით (12r, 107v) და მინიატიურებით. მინიატიურებზე გამოსახული არიან მღვდელმთავრები: იოანე ოქროპირი (12v), ბასილი დიდი (53v) და გრიგოლ ღვთისმეტყველი (79v). მღვდელმთავრები ფეხზე დგანან არქიტექტურის ფონზე. მათ ხელში უჭირავთ ასომთავრულით ნაწერი გაშლილი წიგნები. მინიატიურის ზედა მხარე ოქროთია დაფერილი, ქვედა – მწვანე საღებავით. ძირითადად, გამოყენებულია მონაცრისფრო და მოღვინისფრო ფერები.

ანდერძი: „ქრისტე, შეიწყალე ამისი მწერალი გაბრიელი“ (96r).

A-I$_2$, გვ.101-103.

გაბრიელ საგინაშვილი, მღვდელ-მონაზონი,
დავით გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის ბერი

კალიგრაფი, მომხატველი, 1719 წ.

გაბრიელის შესრულებულია ოთხთავი Q 85 (171v). ხელნაწერი შეიცავს 182 ფურცელს, 14X9,5. დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით. ხელნაწერი გადაწერილია დავით გარეჯას იოანე ნათლისმცემლის მონასტერში (171v). მომგებლები მამა ხარიტონი და ბესარიონ ორბელისძე (171v).

ხელნაწერი მოხატულია მახარებელთა გამოსახულებებით: მათე (2v), მარკოზი (40v), ლუკა (71v), იოანე (120v).

ანდერძი: „მე, ყოველთა მონაზონთა უცოდვილესმან და უღირსსა მღდელობისასა გაბრიელს საგინაშვილს... აღვწერე წმიდაჲ ესე სულთა განმანათლებელი სახარებაჲ“ (171v).

Q-I, გვ.98.

ვ. ბერიძე, გვ.199.

გაბრიელ ხუცეს-მონაზონი

კალიგრაფი, მომხატველი, 1793 წ.

გაბრიელის შესრულებულია „მარგალიტი“ Q 725 გარეჯის ნათლისმცემლის მონასტერში (158v). ხელნაწერი შეიცავს 158 ფურცელს, 16,5X11სმ., დაწერილია ქაღალდზე მხედრულით.

ხელნაწერი მოხატულია აყვავებული ჯვრის გამოსახულებით თავფურცელზე (1v) და საზედაო ასოებით. ქვედა წაგრძელებული მკლავით ჯვარი შესრულებულია გრაფიკულად ტექსტის მელნით. ორი საზედაო ასო ტექსტის დასაწყისშია შავი და სინგურით მოხატული.

ანდერძი: „ღმერთო, შეიწყალე უღირსი ხუცეს-მონაზონი გაბრიელ“ (158v).

Q-II, გვ.184-185.

გაბრიელი, მღვდელ-მონაზონი

კალიგრაფი, მომხატველი, XVIII ს.

გაბრიელის შესრულებულია „წამებული გარეჯელი მამები“ A770 (16v). ხელნაწერი შეიცავს 15 გვერდს, 20X18 სმ., დაწერილია ცისფერ ქაღალდზე მხედრულით.

ხელნაწერის დასაწყისში თაღოვანი მოჩარჩოების ქვეშ გამოხატული არიან გარეჯელი მამები (1v), რომლებიც შაჰ-აბასმა აწამა. წინა პლანზე წარმოდგენილია სამი წვეროსანი ბერი მთელი ტანით. მათ უკან 11 ბერია განთავსებული თავსაბურავების ზედა ნაწილითა

და ყვითელი ფერის შარავანდედებით. ფიგურები შეფერადებულია ყავისფერი და შავი საღებავებით.

ანდერძი: „ესე შესხმა წმიდათა ღირსთა მოწამეთა გარესჯის უდაბნოში... მე, მღვდელ-მონაზონმა პატარა გაბრიილ, დავაწერინე და ნათლისმცემლის მონასტრისათჳს შემიწირავს“ (163v). ანდერძი, როგორც ჩანს, დამკვეთისაა.

თ. ჟორდანია ტ. II, გვ.217.

გასპარ ბაღდასარაშვილი, მუშრიბი (მწიგნობარი)

კალიგრაფი, მომხატველი, 1671 წ.

გასპარის შესრულებულია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ A 737 (269r). ანდერძში გასპარს მითითებული აქვს, რომ გადაწერის დროს ღვთის წყალობით მას შეეძინა ვაჟი დავითი.

ხელნაწერი შეიცავს 269 ფურცელს, 34,2X23სმ., დაწერილია ქაღალდზე მხედრულით.

ტექსტის თითოეული გვერდი მოთავსებულია ფერადხაზოვან ჩარჩოში. მოხატულია ხელნაწერის პირველი გვერდი. ტექსტს აგვირგვინებს Π-ს ფორმის თავსამკაული, ხოლო თვით ტექსტი მოფენილია წვრილ-წვრილი ფაქიზად შესრულებული ფერადოვანი ყვავილებით. თავსამკაული შესრულებულია სპარსულ სტილში, რაზედაც მიუთითებს კოლორიტი (ულტრამარინისა და ოქროს შეხამება), გაუმჭვირვალე საღებავები და საფერწერო ტექნიკა.

თ. ჟორდანია ტ. II, გვ.198-202.

გერონტი

კალიგრაფი, მომხატველი, XVIII-XIX სს.

გერონტის შესრულებულია ღვთისმშობლის დაუჯდომელი A 1083 (66r).

ხელნაწერი შეიცავს 70 ფურცელს, 8,4X7,2 სმ., დაწერილია ქაღალდზე მხედრულით. ხელნაწერის თითოეული გვერდი ჩართულია ყვავილოვან ორნამენტულ აშიაში. ხელნაწერში ორჯერ არის გამო-

სახული ღვთისმშობელი. თავფურცელზე (2v) იგი მთელ გვერდს იკავებს. ღვთისმშობელი არქიტექტურის ფონზე მთელი ტანითაა გამოსახული ვედრების პოზაში. თვით ხელნაწერში (22v) ღვთისმშობელი ტექსტის დასაწყიშია წარმოდგენილი. გამოსახულებანი ცისფერ ფონზე შინდისფერი და აგურისფერი საღებავითაა აღნიშნული.

გადამწერისა და მხატვრის გერონტის სახელი ირკვევა 66r-ზე ღვთისმშობლის გამოსახულების ქვემოთ მინაწერის მიხედვით.

A-IV, გვ.45-46.

გიორგი

მომხატველი, 968 წ.

გიორგის მიერ მოხატულია იოვანე საფარელის მიერ გადაწერილი ხელნაწერი „იოანე ოქროპირის ცხოვრება“ H 2124 968 წელს ხარიტონის ლავრაში. მომგებელი ხუცესი მიქელ ფანასკერტელი. ხელნაწერი შეწირულია სინის მთას (255r, 256r). ხელნაწერის პირველ გვერდზე საზედაო ასოები შესრულებულია გადამწერის იოვანე საფარელის მიერ.

იოანე ოქროპირის, როგორც ავტორის, გამოსახულება ხელნაწერის თავფურცელზეა წარმოდგენილი (1v). იოანე ოქროპირი წარმოდგენილია ფეხზე მდგომი მარცხენა ხელში წიგნით ხელში, ხოლო მარჯვენა ხელი მაკურთხებელია. ნახატობა ყავისფერი მელნითაა შესრულებული და აქა-იქ შეფერადებულია სინგურით.

ანდერძი: იოანე ოქროპირის მინიატიურის ქვემოთ იოვანე საფარელის მინაწერია ასომთავრულით: „წმიდაო იოვანე, შეიწყალე გიორგი“ (1v). როგორც ჩანს, გადამწერი მიმართავს იოანე ოქროპირს.

H-V, გვ.77-79.

გიორგი ჩიჯაური

კალიგრაფი, მომხატველი, X ს.

გიორგის მიერ შესრულებულია ე.წ. კალის ლექციონარი (ჩამოტანილია სვანეთიდან) Q 1653. ხელნაწერი შეიცავს 236 ფურცელს,

32X29 სმ., დაწერილია ეტრატზე ასომთავრულით. მომგებელია მიქაელი (94r).

ხელნაწერი შემკულია თავსამკაულით (94r), რომელიც ტექსტის მარჯვენა სვეტშია ჩართული. თავსამკაული სამ ზოლადაა დაყოფილი. ზედა ორ ხაზს ქმნიან ტეხილი ორნამენტული მოტივები, სადაც წარმოდგენილია ფრინველთა გამოსახულებანი, ხოლო ქვედა ზოლი ლომისა და მგლის შერკინებას გამოხატავს. ნახატობა შესრულებულია გრაფიკულად ტექსტის მელნით და შეფერილია სინგურით. ჩიტების გამოსახულებანი ამკობენ მთავრულ ასოებს. ერთ-ერთი მათგანი ჩახაზულია ასო „დონის“ წრიულ მოხაზულობაში.

ანდერძები: „უფალო, შეიწყალე მჩხრეკალი გიორგი“ (91r, ტექსტის ხელით, სინგურით);

„... დაესრულა კანონი საზამთროჲ ჴელითა ჭიქაურისაჲთა“ (94r).

გიორგი ხუცეს-მონაზონი

კალიგრაფი, მომხატველი 1083 წ.

გიორგის შესრულებულია კრებული A 584 (229r). ხელნაწერი შეიცავს 265 ფურცელს, 15X10 სმ., დაწერილია ეტრატსა და ქაღალდზე ნუსხურით. მთარგმნელები ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელები.

ხელნაწერის კიდეებზე 231v-233v გამოსახულია სინგურითა და ტექსტის მელნით შემკული ჯვრები.

ტარასი არქიმანდრიტს (მესხიშვილს) შეუწირავს ხელნაწერი ქვათახევის ღვთისმშობლის მონასტრის ბიბლიოთეკისათვის (249r).

ანდერძი: „... აღვწერე... მე, უღირსმან გიორგი ხუცესმონაზონმან“ (229v).

A-II$_2$, გვ.212-216.

გიორგი დოდისი, ხუცეს-მონაზონი

კალიგრაფი, მომხატველი, 1156 წ.

გიორგის შესრულებულია სვინაქსარი H 1661 (338v) იერუსალიმის

ჯვრის მონასტერში. ხელნაწერი შეიცავს 340 ფურცელს, 25X18 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით.

ხელნაწერი შემკულია ჯვრის გამოსახულებით (3v) და თავსამკაულით (4v). ჯვრის გამოსახულება იკავებს მთელ გვერდს. იგი შედგმულია კვარცხლბეკზე და ჩასმულია ჩარჩოში. ჯვარს ქმნის ორნამენტული წნული ნახატობა შესრულებული ტექსტის ყავისფერი მელნით. აქა-იქ გამოსჭვივის სინგურის წერტილები. თავსამკაული სწორხაზოვანი ზოლია. იგი შეიცავს ეტრატის ფონზე სინგურით შექმნილ ყვავილოვან ნახატობას.

ანდერძი: „დაიწერა... ჴელითა უცბად მჩხრეკალისა ფრიად უღირსისა ხუცეს მონაზონისა გიორგი დოდისითა“ (338v).

H-IV, გვ.82-86.

ვ. ბერიძე, გვ.71-72.

გიორგი ბერი

კალიგრაფი, მომხატველი, 1213-1216 წწ.

გიორგის შესრულებულია ოთხთავი H 1791 (151v). გადაწერილია სირიაში კილიკიელი სომხების მიერ ანტიოქიის 1216 წელს მეორედ აღების შემდგომ.

ხელნაწერი შეიცავს 153 ფურცელს, 21X15სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით.

ხელნაწერი მოხატულია ორი თავსამკაულით (21r, 153r). პირველი მათგანი Π-ს ფორმისაა და იკავებს თითქმის ნახევარ გვერდს. ნახატობა შექმნილია სტილიზებული მცენარეული მოტივით დაკავშირებული წრეების რიგით. ცენტრში ჯვარია აღმართული. მეორე თავსამკაული მოთავსებულია დაწერილი სვეტის მარცხენა მხარეს. კოლორიტში გვხვდება შინდისფერი, სინგური და შავი საღებავები. მთავრული ასოები შექმნილია წვრილი ღეროებით და სტილიზებული ყვავილოვანი მოტივებით. მათში ზოგჯერ ფრინველთა გამოსახულებებია ჩართული.

ანდერძი: „ლოცვა ყავთ გიორგი ბერისათჳს“ (151v).

H-IV, გვ.218.

ვ. ბერიძე, გვ.69.

გიორგი ბუხისძე

კალიგრაფი, მომხატველი, XIII ს.

გიორგის მიერ შესრულებულია A 138 ოთხთავი. ხელნაწერი სულ შეიცავს 257 ფურცელს, 24,5X19 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით.

შემკულია თავსამკაულებითა და საზედაო ასოებით. თავსამკაულები (3r, 63r, 105r, 175r) აგვირგვინებენ სახარების ტექსტებს, მათ გვერდის თითქმის ნახევარი უკავიათ. ნახატი შექმნილია მცენარეული ხვეულებით, რომლებიც შეჭრილია ტექსტში. საზედაო ასოები სახარების ტექსტის დასაწყისშია. ისინი გაერთიანებული არიან შესაბამის თავსამკაულთან და გვერდის თავისუფალ არეზე არიან ჩამოზრდილნი. საზედაო ასოები რთული აგებულებისაა. ნახატი შესრულებულია ეტრატის ფონზე და შეფერილია ცისფერი და სინგური საღებავებით.

ანდერძი: „ბუხისძესა გიორგის შეუნდვნეს ღმერთმან“ (62v).

A-I_2, გვ.162-163.

გიორგი დვალი

კალიგრაფი, მომხატველი, XIIIს.

გიორგის შესრულებულია ე.წ. ლაბეჭინის ოთხთავი (ლეჩხუმი) A 1563 (243v). ხელნაწერი შეიცავს 275 ფურცელს, 22X18,5 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით.

ხელნაწერი მოხატულია მახარებელთა გამოსახულებებით: მათე (3v), მარკოზი (71v), ლუკა (117v) და იოანე (191v).

მახარებლები მათე, მარკოზ და ლუკა გამოსახული არიან სამუშაო პროცესში მერხის წინ მჯდომარე პოზაში. იოანე მახარებელი ბუნების ფონზეა პროხორესთან ერთად.

ანდერძი: „დაიწერნეს ჴელითა დვალ გიორგისითა, შეუნდვნეს ღმერთმან მწირსა და ცოდვილს“ (243v).

A-V, გვ.77-79.
3. ბერიძე, გვ.83-84.

გიორგი ხუცი

კალიგრაფი, მომხატველი, XIII ს.

გიორგის მიერ გადაწერილია ორი ოთხთავი H 1870 (98v) და A 18 (185r). ოთხთავი H 1870 შეიცავს 98 ფურცელს, 24,5X18,5 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით. ხელნაწერი შემკულია თავსამკაულებით, რომლებიც გიორგის მიერაა შესრულებული, ხოლო მინიატურა იოანე მახარებლისა (163r) – უცნობი პროფესიონალი ოსტატის მიერ.

ოთხთავი A 18 შეიცავს 211 ფურცელს, 22 X16,2 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით. მათეს (1v), მარკოზის (62v), ლუკას (94v) მინიატიურები და თავსამკაულები (2r, 63r, 95r, 186r) შესრულებულია გიორგი ხუცის მიერ. გიორგის მიერ შესრულებული მახარებელთა მინიატიურები კომპოზიციური გადაწყვეტით მეტად საინტერესოა. ისინი ბაძავენ H 1870 ოთხთავის პროფესიონალი ოსტატის მიერ შესრულებულს: მოთავსებულნი არიან ეტრატის ფონზე ჩარჩოს გარეშე. ნახატებზე სავარძელი და სამუშაო მაგიდა გაერთიანებულია ხის ვიწრო ზოლებით. განმარტებითი წარწერები ასომთავრულით სინგურითაა შესრულებული.

გიორგის მიერ მოხატული თავსამკაულები ორივე ხელნაწერში ტექსტის მარცხენა სვეტს აგვირგვინებენ. სწორკუთხა ფორმის თავსამკაულები შექმნილია ვაზისებრი მოტივით. გამოსახულებანი ეტრატის ფონზე გამოყვანილია ტექსტის მელნით და აქა-იქ შეფერილია სინგურით. სინგურითაა შესრულებული სათაური და საზედაო ასოები. A 18 ოთხთავის ბოლოს დართულია 10 კამარა (207r-211 v), რომლებიც სხვა ოსტატის მიერაა შესრულებული.

გიორგის ანდერძები:

H 1870: „გიორგი ამის წიგნისა აღმწერელი“ (98v).

H-IV, გვ.252.

A 18: „დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ განმანათლებელი ყოვლისა სოფლისაჲ ჴელითა გიორგი ხუცისაჲთა“ (185 r).

A-I_1, გვ.58.

3. ბერიძე, გვ.74.

გიორგი მგალობელი

კალიგრაფი, მომხატველი, XV ს.

გიორგის შესრულებულია კონდაკი H 510. კონდაკი წარმოადგენს გრაგნილს, რომელიც 6 კეფისგან (ნაწილისგან) შედგება, 330X20,7სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით.

გრაგნილი დასაწყისში შემკულია გუმბათოვანი თავსამკაულით, რომელშიც ჩახატულია ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის გამოსახულებანი მთელი ტანით.

გრაგნილის სათაურის ზემოთ გიორგის ანდერძია: „ამის მწერალსა გიორგი მგალობელს... შეუნდოს ღმერთმან“.

H-II, გვ.7-8.

ლ. ოსეფაშვილი, წმიდა ბასილი დიდის ჟამისწირვის გრაგნილის მხატვრულ-დეკორატიული გაფორმება, თბილისი, 2017.

გიორგი მწერალი

კალიგრაფი, მომხატველი, XV-XVI სს.

გიორგის შესრულებულია ოთხთავი A 1691 (51r). ხელნაწერი შეიცავს 226 ფურცელს, 20X14,5 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერი შემკულია მახარებელთა გამოსახულებებით (2v, 53v, 88v, 149v). იოანე მახარებელი პროხორესთან ერთადაა გამოსახული ბუნების ფონზე, დანარჩენი სამი მახარებელი სამუშაო მერხის წინ მჯდომარე პოზაშია. მათე მახარებლის წინაშე გამოსახულია ანგელოზი, რომელიც სამუშაო მერხის სადგამზე დამაგრებულ წიგნზე მიუთითებს. ილუსტრაციები შესრულებულია ცისფერი, ღვინისფერი, ყვითელი და ნარინჯისფერი საღებავებით. კონტურის მონახაზები სქელია. თავების დასაწყისში თავსამკაულების მოსახატავად თავისუფალი ადგილებია დატოვებული.

ანდერძი: „გიორგის მწერალსა შეუნდვნეს ღმერთმან, ამინ“ (51r).

A-V, გვ.162-163.

ვ. ბერიძე, გვ.72.

გიორგი

კალიგრაფი, მომხატველი, XVI ს.

გიორგის შესრულებულია გულანი A 1526 (209v). ხელნაწერი შეიცავს 281 ფურცელს, 26X17 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით. მომგებელი გიორგი გურიელი.

ხელნაწერი შემკულია თავსამკაულებით: 1v, 166v, 175r, 209r). სამი თავსამკაული აღდგენილ ფურცლებზეა მიხატული: 142r, 265r, 270r.

გვხვდება ასო Π-ს ფორმის თავსამკაული (1r), ბოლოსამკაულები (289r, 290r).

ანდერძი: „ქრისტე, შეიწყალე ამისი მწერალი გიორგი“ (209v).

A-V, გვ.63.

გიორგი დეკანოზი

კალიგრაფი, მომხატველი, XVII ს.

გიორგი დეკანოზის შესრულებულია კრებული S 1163. შეიცავს 167 ფურცელს, 15,4X10,4 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

თავსამკაულები: 4v, 37r, 41r, 76r, 116r, 130r, 137r, 167v.

თავსამკაულები სწორხაზოვანი, ასო Π-ს ფორმისა ან სწორკუთხედია.

ანდერძი: „ღმერთო, შეიწყალე გიორგი, ამინ“ (4 v).

S-II, გვ.61-63.

გიორგი

კალიგრაფი, მომხატველი, XVIII ს.

გიორგის შესრულებულია გულანი H 1714 (286r). მომგებლები არიან მამია და გიორგი გურიელები (173v, 286r). ხელნაწერი შეიცავს 719 ფურცელს, 18,5X15 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერი შემკულია თავსამკაულით (1v) და მრავალრიცხოვანი მინიატიურებით, რომლებიც საკმაოდ დაზიანებულია. ხელმეორედ ყდაში ჩასმის დროს მათი კიდეები შემოჭრილია. მინიატიურები შესრულებულია ტექსტის მელნით. კოლორიტში სჭარბობს ნარინჯისფერი, წითელი, ნაცრისფერი.

ანდერძი: „ქრისტე ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი ამისი მუშაკი გიორგი“ (286r).

H-IV, გვ.145-148.

გიორგი გიორგის ძე, მდივანი

კალიგრაფი, მომხატველი, XVIII-XIX სს.

გიორგის შესრულებულია პარაკლიტონი Q 63 (134v). მომგებლები გრიგოლ დადიანი და მისი თანამეცხედრე მეფის ასული ნინო (134v). გადაწერილია თაკვერში (ლეჩხუმში). ხელნაწერი შეიცავს 136 ფურცელს, 22,5X19 სმ. დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერი მოხატულია 8 თავსამკაულით. ზოგი თავსამკაული ტექსტის ორივე სვეტს აგვირგვინებს (1r, 37v, 88r), ნაწილი მარჯვენა (20v, 52v, 70r, 104v) ან მარცხენა სვეტს (120r). მოხატულობა ყვავილოვანი მოტივებითაა შექმნილი. ჩახვეული სათაურები ასომთავრულით სინგურითაა შესრულებული. რამდენიმე საზედაო ასო სწორკუთხა ჩარჩოშია ჩართული თავების დასაწყისში, რამდენიმე ასო მხატვრულადაა გაფორმებული (37v, 88r, 120r).

ანდერძი: „აღიწერა წიგნი ესე... ჴელითა მდივანი გიორგის ძე მდივანი გიორგისათა“ (134v).

Q-I, გვ.82-83.

ვ. ბერიძე, გვ.70.

გიორგის გადაწერილია ასევე „ტიმოთე გაბაშვილის მიმოსვლა“ H1014 ოდიშში (110r). მომგებელია გრიგოლ დადიანი (110r). ხელნაწერი შეიცავს 110 ფურცელს, 23, 5 X19 სმ., დაწერილია ქაღალდზე მხედრულით.

ხელნაწერი შეიცავს მეფეებისა და ფილოსოფოსების გამოსახულებებს. მეფეები (მირიან მეფე (94v), ვახტანგ გორგასალი (95r), ბა-

გრატ კურაპალატი (96r)) ფეხზე დგანან ხელებაპყრობილნი გვირგვინით თავზე. წარწერები მხედრულითა და ასევე რუსული მთავრული ასოებითაა შესრულებული. ფილოსოფოსებიდან წარმოდგენილი არიან არისტოტელე (105v) და პლატონი (106r). ისინი წელს ზემოთ არიან გამოსახულნი. პლატონს თავზე დაფნის გვირგვინი ადგას.

ანდერძი: „აღიწერა ჴელითა მდივანი გიორგის ძე მდივანი გიორგისათა“ (110r).

H-III, გვ.11-12.

გიორგის შესრულებულია ვახტანგ VI-ის „სამართლის წიგნთა კრებული“ Q 703 (193r). ხელნაწერი შეიცავს 193 ფურცელს, 34X20,7 სმ.,დაწერილია ქაღალდზე მხედრულით.

ხელნაწერი შემკულია თავსამკაულებით (1r, 96v, 111v, 114r, 119v და ა.შ.), ბოლოსამკაულებით (8v, 132v, 165r) და საზედაო ასოებით. თავსამკაულები ფოთლოვანი ორნამენტითაა შექმნილი. საზედაო ასოებში გამოირჩევა ასო „დონი“ ყელიყელგადაჭდობილი გედების გამოსახულებებით (127v).

ანდერძი: „დაიწერა ჴელითა მდივანი გიორგისძე, მდივანი გიორგი პროთონოთარისათა“ (193r).

Q-II, გვ.171-172.

გრიგოლი

მომხატველი, XI ს.

გრიგოლის მოხატულია იოანე ოქროპირის „მათეს სახარების თარგმანება“ A 136 (1v); გადამწერი ხუცესმონაზონი ეგნატი, რომელმაც ხელნაწერი წყაროსთავის ეკლესიას შესწირა (392r). ხელნაწერი შეიცავს 394 ფურცელს, 36X24 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით.

ხელნაწერი შემკულია თავფურცელზე ჯვრის გამოსახულებითა (1v) და თავსამკაულით ტექსტის დასაწყისში (2r). ჯვარი ქვედა წაგრძელებული მკლავით შედგმულია კვარცხლბეკზე, ზედა სამი მკლავი სწორკუთხა ფორმისაა. ჯვარი ჩართულია ჩარჩოში. სვე-

ტებზე დაყრდნობილია სწორკუთხა ზედანი, რომელიც თაღოვანი მოხაზულობისაა შიდა მხარეს.

თავსამკაული Π-ს ფორმისაა, ტექსტის მთელ სიგანეზე გაშლილი. ჩარჩო და თავსამკაული შედგება ვაზისებრი ორნამენტისაგან. შესრულებულია გრაფიკულად ტექსტის ყავისფერი მელნით ეტრატის ფონზე და აქა-იქ შეფერილია სინგურით.

ანდერძი: „ლოცვა ყავ ფრიად ცოდვილისა გლახ გრიგოლისათჳს“ (1v).

ანდერძი მიწერილია ჯვრის გამოსახულების ქვემოთ ტექსტის მელნით.

A-I$_2$, გვ.159-160.

გრიგოლი

კალიგრაფი, მომხატველი, XV ს.

გრიგოლის შესრულებულია „საკითხავნი დღესასწაულთანი“ H 1760 (225v) პეტრიწონში. მომგებელია მახარებელი, ოქროჲყმაჲს ძე (225r). გრიგოლის გადაწერილია ხელნაწერის 225 ფურცელი. ხელნაწერი შეიცავს 365 ფურცელს, 29,5X20,5 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერი შემკულია ვიწრო ორნამენტული ზოლით თავების დასაწყისში (7r, 11v, 18r, 134v, 147v, 158r, 183v, 192v). ზოგიერთი მათგანი ბოლოსამკაულის როლსაც ასრულებს. ვაზისებრი მოტივი გამოყვანილია შეუფერავი ქაღალდის საშუალებით შავ და უმეტესად სინგურის ფონზე.

ანდერძი: „დაიწერნეს ესე დღესასწაულთა საკითხავნი... ჴელითა მდაბლისა გრიგოლისითა“ (225r).

H-IV, გვ.189-195.

ვ. ბერიძე, გვ.76.

გრიგოლი

კალიგრაფი, მომხატველი, 1538 წ.

გრიგოლის შესრულებულია მარხვანი H 1698 (131v) აწყურის მონა-

სტერში. მომგებელია ქაიხოსრო ფანასკერტელი-ციციშვილი. ხელნაწერი შეიცავს 193 ფურცელს, 40X27 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერი მოხატულია თავსამკაულით (1r), რომელიც ძალიან დაზიანებულია და საზედაო ასოებით. თავსამკაული Π-ს ფორმისაა. შექმნილია სიმეტრიულად განლაგებული ვარდულებით. შესრულებულია ეტრატის ფონზე გრაფიკულად შავი მელნით და აქა-იქ შეფერადებულია სინგურითა და მომწვანო-მოყვითალო საღებავებით. ვარდულებს გარს უვლის გრეხილი ან ყვავილოვანი მოტივებით შექმნილი ზოლები. საზედაო ასოები რთული აგებულებისაა. ისინი დანაკვთულია სინგურის კონტურებით.

ანდერძი: „დაიწერა ჴელითა ფრიად ცოდვილისა გრიგოლისითა სამცხეს, აწყურისა ღმრთისმშობლისა სამკვდრებელსა“ (131v).

H-IV, გვ.122-123.

ვ. ბერიძე, გვ.76.

დავითი

კალიგრაფი, მომხატველი, XI ს.

დავითის შესრულებულია იოანე ოქროპირის „მათეს სახარების თარგმანება“ A-88 (112v). დამკვეთი მთავარმამაჲ ბასილი (243r). ხელნაწერი შეიცავს 512 ფურცელს, 42,5X31სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით.

ხელნაწერი შემკულია ბოლოსამკაულებით (29r, 328r, 351v, 368r და ა.შ.) და მოხატული მთავრული ასოებით.

ანდერძი: „ქრისტე, შეიწყალე დავით“ (112v).

A-I_1, გვ.310-314.

დავით აბაშიძე

კალიგრაფი, მომხატველი, 1810 წ.

დავითის შესრულებულია „იბაკონი ღმრთისმშობლისანი“ A 907.

ხელნაწერი შეიცავს 69 ფურცელს, 10,7X8 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერი შემკულია მრავალი მინიატიურით. ისინი სახარების ტექსტის შინაარსს ასახავენ.

ანდერძი „მე, დავით აბაშიძემ, დავსწერე ნამდვილიდამ გარდმოწერით“ (59v).

თ, ჟორდანია ტ.III, გვ.162.

დიმიტრი, მღვდელი

კალიგრაფი, მომხატველი, XV ს.

დიმიტრის შესრულებულია ოთხთავი H 2903 (131r), ხელნაწერი შეიცავს 232 ფურცელს, 8,5X7 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით.

ხელნაწერი შემკულია კამარებით (3r-6r), თავსამკაულებით (1r, 56r, 97r), თავბოლოსამკაულით (161v) და ბოლოსამკაულით (54v). კამარები შესრულებულია გრაფიკულად. ზედანი ნალისებური თაღედია. თავსამკაულები აგვირგვინებენ ტექსტის მარცხენა სვეტს. მათი შესრულების ტექნიკა სპარსული ხელნაწერებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს იმეორებს.

ანდერძი: „გავაკეთე წმიდა და სულთა განმანათლებელი ოთხთავი ესე მე, მწერალმან მღვდელმან დიმიტრი“ (131r).

H-VI, გვ.277-278.

დოსითე

კალიგრაფი, მომხატველი, X-XI სს.

დოსითეს შესრულებულია კრებული A 397 (111v). ხელნაწერი შეიცავს 224 ფურცელს, 26X19,5 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით.

ხელნაწერი შემკულია თავსამკაულებით (43r, 111r, 166r, 199r) და საზედაო ასოებით. ორნამენტული ნახატი წარმოადგენს სტილიზებულ მცენარეულ მოტივს. კონტურები შესრულებულია ტექსტის მელნით და შეფერილია მწვანე ფერითა და სინგურით. საზედაო ასოები ასევე გრფიკულადაა შესრულებული სინგურითა და ტექსტის მელნით.

ანდერძი: „ჴელითა ფრიად ცოდვილისა დოსითესითა“ (165v).

A-I$_4$, გვ.178-183.

ელისაბედი, თავად იოანე ჯანდიერის ასული, რამაზ რუსიშვილის ცნეინა

კალიგრაფი, მომხატველი, 1853 წ.

ელისაბედის შესრულებულია კრებული „მამათა ცხოვრებანი“ H 286 (გვ.421).

ხელნაწერი შეიცავს 212 ფურცელს, 34X21 სმ., დაწერილია ქაღალდზე მხედრულით.

ხელნაწერი შემკულია თავსამკაულით (გვ.193).

ანდერძი: „აღიწერა ესე წმიდათ მამათ-ცხოვრება ...ჴელითა თავადის ჯანდიეროვის იოანეს ასულის, ცნეინა რამაზ რუსი[ე]ვის ელისაბედისათა“ (გვ.421).

H-I, გვ.208-212.

ეფთვიმე

კალიგრაფი, მომხატველი, 978-988 წწ.

ეფთვიმეს შესრულებულია მიქაელთან ერთად მიქაელ მოდრეკილის საგალობელთა კრებულის S 425 ერთი ნაწილი. კერძოდ, 137r-171v გვერდები ეფთვიმეს ეკუთვნის. ხელნაწერი შეიცავს 272 ფურცელს, 37,5X29,5 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით.

ეფთვიმეს მიერ შემკულია მის მიერ გადაწერილი ტექსტი საზედაო ასოებითა და თავსამკაულებით (41v, 56v, 167r). საფერწერო ტექნიკით ეფთვიმეს მხატვრობა ჩამოუვარდება მიქაელისას. ტექსტი არ არის ნევმირებული ე.ი. არ შეიცავს სანოტო ნიშნებს.

ანდერძი: „უფალო, შეიწყალე ეფთჳმე ცოდვილი მწარედ“ (269r-ს ქვემო კიდეზე ასომთავრულით არის მიწერილი).

S-I, გვ.544-567.

პავლე ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954.

ეფთვიმე

კალიგრაფი, მომხატველი, X ს.

ეფთვიმეს შესრულებულია „საწელიწდო სახარება“ H 1704 (6v). ხელნაწერი შეიცავს 183 ფურცელს, 15X12 სმ., დაწერილია ეტრატზე ასომთავრულით.

ხელნაწერი მოხატულია საზედაო ასოებითა და თავსამკაულებით (38v, 84v, 132v). ერთ-ერთი თავსამკაული (38v) П-ს ფორმისაა, ხოლო დანარჩენი სწორკუთხა ორნამენტული ზოლის სახით გარს უვლის სათაურის ტექსტებს, ისინი ოქრომელნით მთავრული ასოებით არის შესრულებული. ნახატს ქმნის ერთმანეთთან დაკავშირებული ყვავილოვანი ორნამენტებით შევსებული წრეები. კონტური ლურჯი ფერისაა და აქა-იქ შეფერილია მწვანე საღებავით. ფონი სინგურის სარჩულზე დაფერილია ოქროთი.

ანდერძი: „ქრისტე, შეიწყალე ეფთჳმე“ (6v).

H-IV, გვ.128-129.

ეფთვიმე

კალიგრაფი, მომხატველი, XVIII ს.

ეფთვიმეს შესრულებულია „წმინდა მარინეს ცხოვრებისა და წამების ციკლი“ A 543 (189r). ხელნაწერი შეიცავს 195 ფურცელს, 6X7,8. დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერი მრავალი მინიატიურითაა დასურათებული:

9r, 13v, 14r, 17r, 24r, 26r, 28v, 29r, 34r, 35r, 39r, 43r, 45r, 51v, 53r, 56r, 59r, 66v, 82v, 83r-v, 84r, 87r, 90v, 93r, 96r, 99v,100r,101v,102r, 108r, 118v, 121r, 122v, 123r, 131v, 132r, 168v, 177v. მინიატიურები ჩართულია ტექსტში. ტექსტი და კომპოზიციები გაერთიანებულია წითელ-ხაზოვანი ჩარჩოთი. გამოსახულებანი მოთავსებულია ყვითელ ან მწვანე ფონზე. კოლორიტში ჭარბობს წითელი ფერი.

ანდერძი: „ამის აღმწერელს ეფთჳმის... შენდობასა მიბრძანებდით“ (189r).

A-II_2, გვ.132-134.

ეფრემი

კალიგრაფი, მომხატველი, XIII-XIV სს.

ეფრემის შესრულებულია ოთხთავი A 305 (38v). ხელნაწერი შეიცავს 122 ფურცელს, 23 X19 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით.

ხელნაწერი მოხატულია თავსამკაულით (116v), რომელიც სწორხაზოვანი ფორმისაა.

ანდერძი: „მადლო ოთხთავნისაო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი ეფრემ“ (38v).

A-I_4, გვ.15-16.

ეფრემი

კალიგრაფი, მომხატველი, 1300 წ.

ეფრემის შესრულებულია მოქვის ოთხთავი Q 902 (103r, 325v, 326v). მომგებელი დანიელ მოქვის მთავარეპისკოპოსი (326r). შესრულებულია მოქვში ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში. ტექსტი გიორგი მთაწმიდელის რედაქციისაა. ხელნაწერი შეიცავს 329 ფურცელს, 30x23,5 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით.

ხელნაწერი მოხატულია 10 კამარით (3r-7v), თავსამკაულებით (13r, 106r, 162r, 255r), მახარებელთა გამოსახულებებით (12v, 105v, 161v, 254v), ხუთასზე მეტი დიდი ზომის მოხატული მთავრული ასოთი და ქრისტეს ცხოვრების ამსახველი ტექსტში ჩართული 156 მინიატიურით. რამდენიმე მინიატიურას მთელი გვერდი უკავია. აღსანიშნავია, რომ ღვთისმშობლის გამოსახულება ტექსტის შინაარსის დამასურათებელი მინიატიურების გარდა, ოთხგზის (გენეალოგიაში, ლუკა მახარებელთან, მიძინების სცენაში და მომგებლის, დანიელ ეპისკოპოსის, წინაშე) გვხვდება. ეს აიხსნება იმით, რომ მოქვის ტაძარი ღვთისმშობლის სახელობისაა. მხატვრობის ტექნიკა მრავალშრიანია. კოლორიტში გამოირჩევა მარგალიტისფერი ცისფერი. მინიატიურები დახატულია ფურცლოვან ოქროზე, რის გამოც ამჟამად საღებავები მრავალ ადგილას ატკეცილია.

ანდერძი: „ქრისტე, ძეო და სიტყუაო ღმრთისაო, მილხინე ფრიად ცოდვილსა ეფრემს“ (103r).

Q-II, გვ.312-315.

Амиранашвили Ш., Грузинская миниатюра, Москва, 1966, ст.25.

ვ. ბერიძე, გვ.85-86.

ი. ჭიჭინაძე, მოქვის ოთხთავის გაფორმების მხატვრული პრინციპები, თბილისი, 2004.

ზაქარია მონაზონი

კალიგრაფი, მომხატველი, 1696 წ.

ზაქარიას შესრულებულია ოთხთავი H 1030 (303v). ხელნაწერი შეიცავს 336 ფურცელს, 9,5X7 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით. შესრულებულია დავით გარეჯის უდაბნოში იოანე ნათლისმცემლის მონასტერში (303v). თარგმნილია გიორგი მთაწმიდელის მიერ.

ხელნაწერი დასურათებულია მახარებელთა გამოსახულებებით: მათე (13v), მარკოზი(94v), ლუკა (150v), იოანე (240v).

ანდერძი: „დაიწერა წმიდანი ესე ოთხთავნი სულთაჲ განმანათლებელი... ჴელითა ფრიად ცოდვილისა და ყოვლად უღირსისა მონაზონისა ზაქარისითაჲ“ (303r-304r).

H-III, გვ.29-30.

ვ. ბერიძე, გვ.89-90.

ზაქარია გაგუნოვი

კალიგრაფი, მომხატველი, 1829 წ.

ზაქარიას შესრულებულია „ვეფხისტყაოსანი“ H 288 (104v). ხელნაწერი შეიცავს 106 ფურცელს, 31,6X20,4 სმ., დაწერილია ქაღალდზე მხედრულით.

ხელნაწერი მოხატულია მრავალი თავსამკულით. ისინი სწორხაზოვანი ფორმისაა. გამოყენებულია ფოთლოვანი მოტივები (3r, 28r, 31r, 33v, 34r, 39v, 41v, 48v, 51r), წნული (13r, 14r, 60r, 64r, 69v, 73v, 75r), გეომეტრიული ელემენტები (27r) ან ყვავილოვანი ორნამენტები (52r, 79v, 89v, 91v, 104r). ნახატობა გამოყვანილია ტექსტის მელნით და სინგურით.

ანდერძი: „განსრულდა, დიდება ღმერთსა, ამბავი ესე სამთა მეფეთა, რომელ არს ვეფხისტყაოსანი, ჴელითა დიაჩოქი ზაქარია გაგუნოვისათა“ (104r).

H-I, გვ.213.

ზოსიმე ვალელი

კალიგრაფი, მომხატველი, 1514 წ.

ზოსიმეს შესრულებულია ვალეს ოთხთავი A 401(171v). მომგებლები არიან სფჳრიდონ და მისი ძე იორამ (271v). ხელნაწერი შეიცავს 295 ფურცელს, 21,2X16 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერი შემკულია კამარებით (4v-7v), თავსამკაულებით (13r, 82r, 132r, 214r), საზედაო ასოებით. მახარებელთა გამოსახულებანი სხვა ოსტატის მიერაა შესრულებული. თავსამკაულები ტექსტის მთელ სიგანეზეა გამოხატული და წვრილი მცენარეული ორნამენტით ლურჯ ფონზე ოქრომელნითაა შესრულებული. საზედაო ასოები აგვირგვინებენ სახარების ტექსტს დასაწყისში. ისინი შედგებიან ადამიანთა ფიგურებისაგან. ისინი იმეორებენ ჯრუჭის II, ვანის, H1707, გელათის ოთხთავების ასოების კონფიგურაციას, მაგალითად, ასო „პარი“ XII ს. გელათის ოთხთავის იოანეს სახარების დასაწყისში წარმოდგენილ ანძაზე ასული ფიგურებით შედგენილ მოხაზულობას.

ანდერძი: „ზოსიმეს ვალელსა და მისთა მიცვალებულთა შეუნდოს ღმერთმან“ (271v).

A II_1, გვ.3-4.

ზოსიმე კოჭობაიძე

კალიგრაფი, მომხატველი, XVI ს.

ზოსიმეს შესრულებულია პარაკლიტონი A 1522 (167r). ხელნაწერი შეიცავს 375 ფურცელს, 30,5x21 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით. მომგებელია ქეთევან ბატონიშვილი (167r).

ხელნაწერს ახლავს ორი თავსამკაული. ისინი ლენტისებრი წნულითაა გამოხატული. პირველი ყავისფერი საღებავითაა მოხაზული,

მეორე წითელი და ყავისფერითაა შესრულებული (ხელნაწერის მინაწერში მოხსენიებულია ქაღალდის მლესავი პეტრე (167r)).

ანდერძი: „ამისსა მწერალსა კოჭობაიძეს ზოსიმეს შეუნდვნეს ღმერთმან“ (167r).

A-V, გვ.57-58.

ვ. ბერიძე, გვ.51.

ზოსიმე

კალიგრაფი, მომხატველი, XVI-XVII სს.

ზოსიმეს შესრულებულია პარაკლიტონი H 617 (34v). ხელნაწერი შეიცავს 92 ფურცელს, 27X20 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერი მოხატულია თავსამკაულებით. გრეხილი ორნამენტი გამოყვანილია სინგურითა და შავი მელნით ქაღალდის ფონზე.

ანდერძი ტექსტის ხელით: „უდებო ზოსიმე, გულსმოდგინე იყავ საქმესა ამას“ (34v).

H-II, გვ.93-94.

ზოსიმე ორბელისძე

კალიგრაფი, მომხატველი, 1727 წ.

ზოსიმეს (სულხან-საბას ძმა) შესრულებულია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი H 1035 (272r) მოსკოვში (267r, 272r). ხელნაწერი ძლიერ ნაკლულია, რესტავრირებული. ხელნაწერი შეიცავს 273 ფურცელს, 33 X22 სმ., დაწერილია ქაღალდზე მხედრულით.

ლექსიკონის თითოეული თავის დასაწყისი ასო ანბანური თანმიმდევრობით არის მხატვრულად გაფორმებული. ასოები შესრულებულია მხედრული დასახელებით. ასოები დიდი ზომისაა და გრაფიკულად შავი მელნითაა გამოხატული.

ანდერძი: „აღიწერა... ლექსიკონი ესე ჴელითა ორბელის.ძის ზოსიმესითა“ (272r).

H-III, გვ.33-34.

ზოსიმე ორბელიანის შესრულებულია აგრეთვე სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი Q 953 (272v) მოსკოვში 1728 წელს (272v). მომგებელი სახლთუხუცესი დიმიტრი ორბელიანი (საბას ძმა).

ხელნაწერი შეიცავს 282 ფურცელს, 30 X20 სმ., დაწერილია ქაღალდზე მხედრულით. ტექსტი ნაკლულია. ლექსიკონის თითოეული დასაწყისი ასო ანბანური თანმიმდევრობით გრაფიკულად სინგურით არის მოხატული, მაგალითად, ფრინველთა თავებით: „განი“, „ზენი“, ყვავილოვან-ფოთლოვანი ორნამენტით: „დონი“, „ე მერვე“, „თანი“, „ინი“, სიუჟეტური შინაარსისაა (ჯვარზე შემოხვეული გველი) „ენი“. რამდენიმე ასო არ არის მოხატული.

ანდერძი: „სრულ იქმნა სიტყჳს კონა ესე წიგნი, რომელ არს ლექსიკონი... ჴელითა... ზოსიმე ორბელიანისათა“(272v).

Q-II, გვ.360-361.

თევდორე კამარათამწერალი

მომხატველი, 936 წ.

ოთხთავი (ჯრუჭი I) H 1660 გადაწერილია 936 წელს გაბრიელ მღვდლის მიერ შატბერდის მონასტერში (291 r-v) გრიგოლ მირდატის ძის დაკვეთით (227v, 291v). ხელნაწერი მოხატულია ოთხი წლის შემდგომ თევდორეს მიერ. იგი თავის თავს ანდერძში უწოდებს „კამარათამწერალს“ (1v). ხელნაწერი შეიცავს 297 ფურცელს, 26X21 სმ., დაწერილია ეტრატზე ასომთავრულით.

ხელნაწერი მოხატულია თავფურცელზე გამოსახული კვადრიფოლიუმით (ოთხყურა ჯვრით (1v)), კამარებით (2r-5v), მახარებელთა გამოსახულებებით (6v, 92v, 144v, 227r) და 4 კომპოზიციით. მათესთან შემხვედრ ფურცელზე შეთავსებულია ღვთისმშობელი ყრმითურთ (7r), მარკოზთან – ბრმის განკურნება (93r), ლუკასთან – ეშმაკეულის განკურნება (143r) და იოანესთან – განრღვეულის განკურნება (228v). წერის მანერა გრაფიკულია. ფონი დაუფერავი ეტრატია, კოლორიტში გამოირჩევა ოქროსა და ყავისფერი საღებავები. ქრისტეს შარავანდედები ოქროთია დაფერილი. საღებავები აკვარელისებრია.

ანდერძები:

„ქრისტე, შეიწყალე ამათ კამარათა მწერალი თევდორე“ (1v, თავფურცელზე ოთხყურა ჯვრის გამოსახულების ზემოთ ასომთავრულითაა დაწერილი მარცხენა მხარეს);

„ქრისტე, შეიწყალე თევდორე“ (წარწერა თავფურცელზე იკითხება სარკეში მარჯვნიდან მარცხნივ).

H-IV, გვ.81-82.

ვ. ბერიძე, გვ.101-103.

ელ. მაჭავარიანი, გადამწერსა და მხატვარს შორის შრომის განაწილების საკითხისათვის მოხატული ხელნაწერის შექმნის დროს, ქართული ხელნაწერები (დამწერლობისა და შემკულობის საკითხები), თბილისი, 2012, გვ.155-175.

თეოდორე

კალიგრაფი, მომხატველი, XI ს.

თეოდორეს შესრულებულია კრებული A 142 (42r, 102r). მომგებელია გრიგოლ ერისთავთ-ერისთავი (102r). გადაწერილია საკვირველ მთაზე სვიმეონის სამყოფელში (53r-v). ხელნაწერი შეიცავს 266 ფურცელს, 19X12 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით.

ხელნაწერი შემკულია თავსამკაულით (102 r). იგი სწორხაზოვანი ზოლია. გამოყვანილია ვაზისებრი ორნამენტით, ეტრატის ფონზე ტექსტის მელნით, სინგურით, ხოლო ეკლოვანი შვერილები ჩასმულია მწვანე ფერის ჩარჩოში.

ანდერძი: „უფალო, შეიწყალე სული თეოდორესი“ (102r).

A-I_2, გვ.175-177.

თუმანიშვილები

თუმანიშვილთა საგვარეულოს წარმომადგენლები საქართველოს მეფეთა კარის მდივან-მწიგნობარნი იყვნენ. ცნობილი არიან კალიგრაფები და მხატვრები – ეგნატი ბაინდურის ძე და მისი შვილები იესე და დავითი.

თუმანიშვილი ეგნატი ბაინდურის ძე,
ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის კარის მდივანი

კალიგრაფი და მომხატველი, 1770 წ.

ეგნატის მიერ შესრულებულია ოთხთავი H 395 (6v). ხელნაწერი შეიცავს 235 ფურცელს, 27,5X 19 სმ., დაწერილია ქაღალდზე მხედრულით.

ხელნაწერი შემკულია თავბოლოსამკაულებით (72v, 115r, 180v, 228v).

ანდერძი: „ჴელ ვჰყავ წიგნსა ამას... იესო ქრისტესაგან ბრძანებულისა წმინდის სახარებისა აღწერად, მე, უღირსმან და კაცთა უნარჩევესმან თუმანიშვილმან... ეგნატიმ“ (6v).

H-I, გვ.297-298.

ვ. ბერიძე, გვ.111.

თუმანიშვილი იესე ეგნატის ძე, მდივანი

კალიგრაფი, მომხატველი, XIX ს.

იესეს მიერ შესრულებულია „ქილილა და დამანა“ H 387 (2r). ხელნაწერი შეიცავს 280 ფურცელს, 33X21 სმ., დაწერილია ქაღალდზე მხედრულით.

ხელნაწერი მოხატულია ბოლოსამკაულით (182v).

ანდერძი: „არამცირედი შრომა მიმიდია ამ წიგნის აღნუსხვითა... უმორჩილესი მონა და მოსამსახურე თავადი იესე თუმანოვი“ (2r).

H-I, გვ.286.

ვ. ბერიძე, გვ.111.

თუმანიშვილი დავით ეგნატის ძე, მდივანი

კალიგრაფი, მომხატველი, XIX ს.

დავითს მრავალი ხელნაწერი აქვს გადაწერილი და მოხატული. რამდენიმე ხელნაწერი გადაწერილი აქვს დავით რექტორთან (ალექსი მესხიშვილის ვაჟთან) ერთად. ჩვენ დავითის შესრულებულ რამდენიმე ხელნაწერს განვიხილავთ.

დავითის მიერ შესრულებულია „სამართლის წიგნები" H 382 (295r) თბილისში. ხელნაწერი შეიცავს 295 ფურცელს, 33,5X21 სმ., დაწერილია ქაღალდზე მხედრულით.

ხელნაწერი შემკულია საზედაო ასოებით, რომლებიც შედგებიან ცხოველთა, ფრინველთა და ადამიანთა გამოსახულებებისგან.

ანდერძი: „დაესრულა... ჴელითა.. მდივნის იგნატის ძის თავადის დავით თუმანოვისაგან" (295r).

H-I, გვ.281-283.

ვ. ბერიძე, გვ.111.

დავითის შესრულებულია კათალიკოს ანტონ I-ის „წყობილსიტყვაობა" H 383 (103r). ხელნაწერი შეიცავს 125 ფურცელს, 32X19, 6 სმ., დაწერილია ქაღალდზე მხედრულით.

ხელნაწერი შემკულია მრავალი თავბოლოსამკაულით.

ხელნაწერის თავფურცელზე წარმოდგენილია ანტონ I-ის გამოსახულება (4v), აგურისფერ ფონზე ნახევარი ტანით, იგი მაკურთხებელი მარჯვენით არის გამოსახული.

ანდერძი: „მე აღმწერელმან ამა წიგნისამან თავადმან დავით ეგნატი მდივნის ძემ დავხატე, რაოდენ ძალ-მედვა" (4v).

H-I, გვ.283-284.

დავითის შესრულებულია კრებული H 392 (27r) 1820 წელს. ხელნაწერი შეიცავს 60 ფურცელს, 27,5X20,6 სმ., დაწერილია ქაღალდზე მხედრულით.

ხელნაწერი დასურათებულია 7 მომაკვდინებელი ცოდვის გამოსახულებით:

1. ამპარტავნება (ფარშევანგი) 29r

2. ნათესავთ აღრევა 31r

3. ნაყროვანება 33r

4. მცონარება (სიზარმაცე) 35r

5. მრისხანება (ლომი) 37r

6. შური 39r

7. ანგარება (მგელი) 41v

იხ. თავსამკაულები 10r, 43v. ხელრთვა 43v.

ანდერძი: „სრულ იქმნა გამოკრებული ღვთისმეტყუელება... ჴელითა მდივნის ეგნატის ძის თავადის დავით თუმანოვისათა“ (27r).

H-I, გვ.292.

დავითის შესრულებულია მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“ H 384 (4v) 1824 წელს თბილისში. ხელნაწერი შეიცავს 113 ფურცელს, 32,5X20სმ., დაწერილია ქაღალდზე მხედრულით.

ხელნაწერი მოხატულია 33 საბრძოლო საჭურვლის გამოსახულებით ტექსტის დასაწყისში ერთ გვერდზე (2r). თითოეულ საჭურველს თავისი დასახელება ახლავს. ისინი გრაფიკულად შესრულებული არიან.

ხელნაწერი შემკულია თავსამკაულით (5r), რომელიც ყვავილოვანი ორნამენტებით არის შედგენილი. კონტურები შესრულებულია ტექსტის მელნით გრაფიკულად. ბოლოსამკაულები (53v, 66r, 85r, 105r, 113r) ასევე ყვავილოვანი ორნამენტებითაა წარმოდგენილი.

ხელნაწერს ახლავს შინაარსის დამასურათებელი მინიატიურები. თითოული კომპოზიცია მთელ გვერდს იკავებს. მინიატიურების ფონი მწვანე საღებავითაა დაფერილი, კოლორიტში ძირითადად აგურისფერია გამოყენებული.

მინიატიურებია: 1) მეფე აბესალომმა იხილა კედელზე გამოსახული ამირან-დარეჯანიანის ასული (6r), 2) ბადრი იამანისძისაგან შავის ჭაბუკის სიკვდილი (14r), 3)ამირან-დარეჯანიანისაგან ციხეს შეღწევა (15r).

ანდერძი: „... სრულ იქმნა ქალაქს ტფილისს... ჴელითა... მდივნის ეგნატის ძის თავადის დავით თუმანოვისათა“ (4r-v).

H-I, გვ.284.

ვ. ბერიძე, გვ.111.

დავითის შესრულებულია „ლეილმაჯნუნიანი“ H 397 (57v) თბილისში. ხელნაწერი შეიცავს 60 ფურცელს, 22X18 სმ., დაწერილია ქაღალდზე მხედრულით.

ხელნაწერი შემკულია თავბოლოსამკაულებით (1r, 5r, 7v, 13r, 57r, 59r) და მოხატულია მინიატიურებით.

ხელრთვა დავითისა იხ. 1v.

ანდერძი: „ჩემით დავხატე... მხატვრობისთვისცა რაიცა ძალ-მედუა, ის შრომა დავჰსდევ... ჴელითა ... თავადის დავით თუმანოვისათა“ (57v).

H-I, გვ.300.

იაკობი

კალიგრაფი, მომხატველი, XII-XIII სს.

იაკობის შესრულებულია ოთხთავი A 516 (316r-v). ხელნაწერი შეიცავს 316 ფურცელს, 24X17 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით. მომგებელია მანა დედოფალთ-დედოფალი მაჯატლის ძის ივანეს ასული და გლონისთავის ძის სარგისის მეუღლე (316v).

ხელნაწერი შემკულია მახარებელთა გამოსახულებებით (10v, 86v, 141v, 232v), რვა კამარით (3r-6v), თავსამკაულებით (7r, 11r, 87r, 142r, 230r, 232r, 297r), ბოლოსამკაულით (137v) და მოხატული საზედაო ასოებით.

კამარების სწორკუთხა ზედანი სტილიზებული ყვავილოვანი ორნამენტითაა შევსებული, კოლორიტში გამოირჩევა ლურჯი და აგურისფერი. მოხატული საზედაო ასოები შედგენილია ღეროებით და ნრეებით, შეფერადებულია ყვითელი, შინდისფერი და იასამნისფერი საღებავებით. თავსამკაულები П-ს ფორმისაა. ტექსტის მარცხენა სვეტს აგვირგვინებენ. მახარებლები მათე, მარკოზ და ლუკა სამუშაო პროცესში სამუშაო მერხის წინ მჯდომარენი არიან. იოანე პროხორესთან ერთად ბუნების ფონზეა. ფონი ოქროსია.

ანდერძი: „სრულ იქმნა წმიდაჲ ესე ოთხთავი ჴელითა ფრიად ცოდვილისა იაკობისითა“ (316v).

A-II$_2$, გვ.85-87.

იესე კარგარეთელი

კალიგრაფი, მომხატველი, XVII სს.

იესეს შესრულებულია სადღესასწაულო H 1018 (გვ.529).

ხელნაწერი შეიცავს 367 ფურცელს, 28X20 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერი შემკულია 10 თავსამკაულით. თავსამკაულები სწორხაზოვანი ან П-ს ფორმისაა (იხ. 12, 61, 91, 123, 159, 195, 230, 266, 271, 702 გვერდები). ისინი აგვირგვინებენ ტექსტის მარცხენა სვეტს. ნახატობა შექმნილია გრეხილი ან წნული ორნამენტული მოტივებით და შესრულებულია წითელი და შავი მელნით.

ანდერძი: „ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი ამისი მჩხრეკალი იესე კარგარეთელი“ (გვ.529).

H-III, გვ.16-17.

ვ. ბერიძე, გვ.139.

ივანე საფარელი

კალიგრაფი, მომხატველი, 968 წ.

ივანე საფარელის მიერ შესრულებულია „იოანე ოქროპირის ცხოვრება“ H 2124 (256r). გადაწერილია პალესტინაში ხარიტონწმინდის ლავრაში ხუცეს მიქელ ფანასკერტელის დაკვეთით და შეწირულია სინის მთას (255r-256v). ხელნაწერი შეიცავს 257 ფურცელს, 15X12 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით.

ხელნაწერის შემკულობას წარმოადგენს იოანე ოქროპირის გამოსახულება და მოხატული საზედაო ასოები. მინიატიურის ქვემოთ ივანეს მიერ შესრულებული მინაწერია: „წმიდაო, შეიწყალე გიორგი“. მინიატიურის მხატვრობა განსხვავდება საზედაო ასოებისგან. როგორც ჩანს, მინიატიურა გიორგის მიერაა შესრულებული.

ივანე საფარელის მიერ შესრულებული საზედაო ასოები თავების დასაწყისშია (2r, 5v). გეომეტრიული ხასიათის საზედაო ასოები მოგვაგონებენ იოანე ჯიბისძის სვინაქსარის, მიქაელ მოდრეკილის ხელნაწერთა მთავრულ ასოებს.

ანდერძი: „სრულ ჰყავ საქმე ესე ჴელითა ჩემ ცოდვილისა... ივანე საფარელისაჲთა“ (255r).

H-V, გვ.77-79.

ვ. ბერიძე, გვ.117-119.

ივანე ჯიბისძე

კალიგრაფი, მომხატველი, XI ს.

ივანეს მიერ შესრულებულია სვინაქსარი H 2211. გადაწერილია შავ მთაზე. მომგებელია მისი ბიძა დავით ჯიბისძე. ისინი საქართველოდან, შატბერდის მონასტრიდან იყვნენ გადასულნი შავ მთაზე (450v, 452v). ხელნაწერი შეიცავს 452 ფურცელს, 22X17 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით.

ხელნაწერი შემკულია 12 თავსამკაულით და საზედაო ასოებით. თავსამკაულები (30v, 59v, 88r, 132v, 173v, 186r, 211r, 231r, 268r, 296v, 326r, 357r) აგვირგვინებენ ტექსტის თავების დასაწყისს. ორი თავსამკაულის გარდა (211r და 326r), ყველა ბოლოსართის როლსაც ასრულებს. ყოველ თავსამკაულს სდევს სინგურით ასომთავრულით შესრულებული ვრცელი სათაური, რომელიც, თავის მხრივ, მოხატული საზედაო ასოთი იწყება. თავსამკაულები მცენარეული მოტივებისგანაა შექმნილი, საზედაო ასოები კი გეომეტრიული სახისაა. კოლორიტი შედგება მწვანე, წითელი, ლურჯი და შეუფერავი ეტრატისგან. ივანე აგრძელებს სამხრეთ საქართველოს სამწერლობო კერებში შემუშავებულ მხატვრულ ტრადიციას.

ანდერძი: „ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი ივანე“ (317r).

H-V, გვ.151.

იოანე – გერმანე

კალიგრაფი, მომხატველი, X ს.

იოანეს შესრულებულია კრებული A 35 (26v). ხელნაწერი შეიცავს 331 ფურცელს, 25,5X19,5 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით. ხელნაწერის მომგებელია ილარიონ იშხნელი (27v).

ხელნაწერი შემკულია საზედაო ასოებით. ასოს ტანი ზიგზაგებითაა დასერილი. წრიული მოხაზულობები ფარგლითაა შემოვლებული. ნახატობა ტექსტის მელნითაა და აქა-იქ შეფერილია მწვანე და შინდისფერი საღებავებით.

ანდერძი: „იოანე გერმანემ გადავწერე“ (26v).

A-I_1, გვ.104-109.

იოანე

კალიგრაფი, მომხატველი, XII ს.

იოანეს შესრულებულია ოთხთავი A 27 (191v). ხელნაწერი შეიცავს 210 ფურცელს, 21,5X16,5 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით.

ხელნაწერი შემკულია თავსამკაულებით (1v, 81v), დიდი ზომის ინიციალებით და მარკოზ მახარებლის მინიატიურით (47v). თავსამკაული დასაწყისში ასო Π-ს ფორმისაა, იგი წნული მოტივისაგან არის შედგენილი და შავი კონტურითაა შესრულებული. მეორე თავსამკაული დაუდევრად არის შესრულებული მწვანე ფონზე სინგურით. შედგენილია სტილიზებული მცენარეულობით. საზედაო ასოებს ორნამენტული ხვეულები ახლავთ. მახარებლის მინიატიურა დაზიანებულია. იგი სამუშაო მერხის წინ მჯდომარეა სამუშაო პროცესში.

A –I_1, გვ.91-92.

იოანე მელაითა

კალიგრაფი, მომხატველი, XII –XIII სს.

იოანეს მიერ შესრულებულია დაბა ახდილაში ოთხთავი H 1782 (170v). ხელნაწერი შეიცავს 261ფურცელს, 22,5X17 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით. ყდა მოჭედილია საბა სამკაულელის მიერ (175v).

ხელნაწერი შემკულია მახარებელთა გამოსახულებებით (3v, 58v, 104v, 174v). მათე, მარკოზ და ლუკა სხედან სამუშაო პროცესში სამუშაო მაგიდასთან, ხოლო იოანე პროხორესთან ერთად გამოსახულია

ბუნების ფონზე. სახარების ტექსტის დასაწყისში თავსამკაულები (4r, 59r, 105r, 174r) სწორხაზოვანი ორნამენტული ზოლებია, რომლებიც აგვირგვინებენ სახარების ერთ მარცხენა სვეტს. თავსამკაული ასევე ამკობს ევსებიოსის წერილს (1r). მახარებელთა მინიატიურები მოწითალო ფერებშია გადაწყვეტილი. წერის მანერა ცხოველხატულია. საღებავები სქელი, გაუმჭვირვალეა.

ანდერძი: „უფალო ღმერთო, მოიჯსენე წყალობით ამის მწერალი ფრიად ცოდვილი იოანე მელაძთა“ (170v).

H-IV, გვ.211-212.

ვ. ბერიძე, გვ.127-128.

იოანე

კალიგრაფი, მომხატველი, XIII ს.

იოანეს შესრულებულია იოანე ოქროპირის ჟამისწირვა A 194 (8v, 11v). ხელნაწერი შეიცავს 194 ფურცელს, 31,5X21,5 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით.

ხელნაწერი შემკულია თავსამკაულით (3r) და მინიატიურით (51v). თავსამკაული ასო Π-ს ფორმისაა. შედგენილია წნული მოტივით, რომელიც სინგურის ფონზე ეტრატის ფერითაა გამოხატული.

მინიატიურაზე გამოსახული არიან წმ. ბასილი და წმ. იოანე ოქროპირი. ისინი ფეხზე დგანან გრაგნილით ხელში. მათ შორის კვარცხლბეკზე შედგმული ჯვარია, რომელიც წნული ორნამენტითაა შედგენილი. იგი სამყურა ფორმისაა. ილუსტრაცია აქა-იქ შეფერადებულია სინგურით.

ანდერძი: „ამის მწერალსა იოანეს შეუნდვეს ღმერთმან“ (8v).

A-I$_2$, გვ.331-333.

იოანე

მომხატველი, 1560 წ.

იოანეს მოხატულია ტიპიკონი A 1353 (120v, 237r). ხელნაწერი შეიცავს 250 ფურცელს, 21,5x16 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით. გადაწერილია ზაქარიას მიერ (109r).

ხელნაწერის პირველ გვერდზე (1v) წითელი მელნით გრაფიკულად გამოხატულია ხელი, რომელსაც უჭირავს კალამი, 53r-ზე შესრულებულია პატარა ორნამენტი, ხოლო 76v-ს კიდეზე ქვემოთ ორი სახეა გამოხატული.

ანდერძი: „ქრისტე ღმერთო, შეიწყალე მხატვარი იოანე“ (120v).

A-IV, გვ.439-440.

იოანე პატარიძე

კალიგრაფი, მომხატველი, XVII ს.

იოანეს მიერ შესრულებულია ჟამნ-გულანი H 381 (85r, 108v). მომგებელი ფირან მხეიძე (203v). ხელნაწერი შეიცავს 559 ფურცელს, 21X14 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერი შემკულია მრავალი თავსამკაულით: 4v, 55v, 61v, 64v, 85r, 99r, 135r, 154r, 161v, 199r და ა.შ. ნაწილი სწორხაზოვან გრეხილ ორნამენტს მოიცავს, ნაწილი წნული ორნამენტისაა, ზოგს П-ებრი ფორმა აქვს. გრეხილი და წნული თავსამკაულები შესრულებულია შავი საღებავითა და სინგურით ქაღალდის ფონზე.

ანდერძი: „ამის უცებად მჩხრეკელს იოანეს პატარიძეს შეუნდოს ღმერთმან“ (108v).

H-I, გვ.280-281.

იოანე ავალიშვილი, ქვათახევის წინამძღვარი

კალიგრაფი, მომხატველი, 1609 წ.

იოანეს შესრულებულია „იბაკონი ღვთისმშობლისანი“ H 284 (137v-138r).

ხელნაწერი შეიცავს 138 ფურცელს, 9X6,5 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით. მომგებელია დედოფალთ-დედოფალი ქეთაონ (137v-138r).

ხელნაწერის ყოველ გვერდზე ტექსტი ფერადხაზოვან ჩარჩოშია. ტექსტის ბოლოს სტრიქონები სოლისებურად განლაგებულია და ჩარჩოებით მათ მოხაზულობას იმეორებს (იხ. 61v, 107v).

ანდერძი: „აღიწერა წმიდაჲ ესე წიგნი... ჴელითა ფრიად ცოდვილისა ქუათაჰევის წინამძღვრისა ავალისშვილისა იოანესითა“ (137r-138r).

H-I, გვ.200-201.

იოანე

კალიგრაფი, მომხატველი, XVII – XVIII სს.

იოანეს შესრულებულია ოთხთავი H 324 (362r). ხელნაწერი შეიცავს 381 ფურცელს, 6,4X4,5. დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერი მოხატულია თავსამკაულებით (1r, 2r, 93r, 147r, 300r). მათი მხატვრობა აღმოსავლურ სტილშია შესრულებული. ყვავილოვანი ორნამენტული მოტივები ფაქიზი ხაზებითაა აღნიშნული. კოლორიტში გამოყენებულია ოქროს და ფირუზისფერის შეხამება. საღებავები სქელია, გაუმჭვირვალე.

ანდერძი: „ქრისტე, შეიწყალე ცოდვილი იოანე“ (362r).

H-I, გვ.235-236.

იოანე მთავარდიაკონი

კალიგრაფი, მომხატველი, 1733 წ.

იოანეს შესრულებულია „ქართველ წმინდანთა ცხოვრება“ A 170 (49r, 217v, 250v) თბილისის სიონის ტაძარში. ხელნაწერი შეიცავს 251 ფურცელს. 29X20,5 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერი შემკულია თავსამკაულით (1r). დასაწყისი გვერდი ჩართულია ფერადხაზოვან ჩარჩოში.

ანდერძი: „ღმერთო, შეიწყალე... მთავარდიაკონი იოანე“ (250v).

A-I$_2$, გვ.258-266.

ვ. ბერიძე, გვ.129-130.

იოანეს მიერ შესრულებულია 1739 წელს სადღესასწაულო A 409 (423v). ხელნაწერი შეიცავს 427 ფურცელს, 20,5X15,5 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერი მოხატულია ტექსტის დასაწყისში თავსამკაულით (1r) ტექსტის სვეტების გასწვრივ. თავსამკაული ტექსტთან ერთად ჩა-

რთულია ფერადხაზოვან ჩარჩოში. ნახატობა ოქროთია დაფერილი. მთავრული ასო „თანი“ მეორე აბზაცის დასაწყისში არღვევს ჩარჩოს ფარგლებს და მარცხენა მხარეს თავისუფალ არეზეა გასული.

ანდერძი: „დაესრულა .... ჴელითა მთავარდიაკონის იოანესითა“ (423v).

A-II$_1$, გვ.20-28.

იოანე ბერი

კალიგრაფი, მომხატველი, 1791 წ.

იოანეს შესრულებულია საგალობლები A 1363 (29v). ხელნაწერი შეიცავს 31 ფურცელს, 21X16,5 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერი ტექსტის დასაწყისში მოხატულია თავსამკაულითა და საზედაო ასოთი (1r). თავსამკაული Π-ს ფორმისაა. მასში ხვეული ასომთავრულით სინგურით ჩაწერილია სათაური. თავსამკაულის ცენტრში აღმართულია ლარნაკი, საიდანაც ამოზრდილია ყვავილოვანი განშტოებანი, შეფერილი მწვანე და შინდისფერი საღებავებით. ტექსტი იწყება მხედრული „ანით“, რომელსაც ახლავს ბიბლიური კომპოზიცია „ვეშაპის მიერ იონას შთანთქმა“. ნახატი ყავისფერი მელნით გრაფიკულადაა გამოხატული.

ანდერძი: „ღმერთო, შეიწყალე მწერლობაში გამოუცდელი ამ მცირის წიგნის დამწერი ცოდვილი... ბერი იოანე“ (29v).

A-IV, გვ.447-448.

იოვაკიმე, ხელმწიფის კარის დეკანოზი

კალიგრაფი, მომხატველი, 1691წ.

იოვაკიმეს შესრულებულია ოთხთავი A 850 (გვ.189). ხელნაწერი შეიცავს 193 ფურცელს, 30X21 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერი შემკულია თავსამკაულებით თავების დასაწყისში. ისინი აგვირგვინებენ ტექსტის მარცხენა სვეტს. თავსამკაულით მო-

ხატულია მარკოზის (65r), ლუკას (97r) და იოანეს (144r) სახარების ტექსტები. დასაწყისი გვერდები ჩასმულია ფერადხაზოვან ჩარჩოში. თავსამკაულები სპარსულ სტილშია შესრულებული. მუქ მწვანე ფონზე ფოთლოვანი ორნამენტი ოქროთია გამოყვანილი. მახარებელთა გამოსახულებანი სხვა ოსტატის მიერაა შესრულებული.

იოვანე ბერაი, დიაკონი

კალიგრაფი, მომხატველი, 973 წ.

იოანეს შესრულებულია პარხლის ოთხთავი A 1453 (112v, 236r). ხელნაწერი შეიცავს 259 ფურცელს, 23X20 სმ., დაწერილია ეტრატზე ასომთავრულით. გადაწერილია შატბერდში და შეწირულია პარხლის ეკლესიას (238r).

ხელნაწერი შემკულია ბოლოსამკაულებით (70v, 112v, 186r). ტექსტის ბოლოს სამკუთხედად განლაგებული სტრიქონები ამთავრებენ. ისინი წარმოადგენენ ვიწრო ორნამენტულ ზოლებს, რომლებიც შექმნილია ტეხილი ხაზებით ან ყვავილოვანი მოტივებით.

როგორც გვიანი ხანის ნუსხურით შესრულებული მინაწერებიდანაა ცნობილი (იხ. A-V, გვ.1 და 3), სახარება დამუხლა და ნუსხურით შეადგინა საძიებლები სიონის დეკანოზმა ნიკოლოზ მიქაძემ 1744 წელს ვახუშტი აბაშიძის (ვახტანგ VI-ის სიძის) ბრძანებით (70v, 259v). ვახუშტი აბაშიძეს ხელნაწერი ტყვეობიდან გამოუხსნია. ნიკოლოზმა ასევე აღადგინა ხელნაწერის 7 ფურცელი ნუსხურით და შეამკო ტექსტის დასაწყისი თავსამკაულით მისთვის დამახასიათებელი მხატვრული მანერით. სათაური შესრულებულია ჩახვეული ასომთავრულით სინგურით.

ანდერძი: „უფალო იესუ ქრისტე, ცხოველთა და მკუდართა მეუფეო, შეიწყალე იოვანე ბერაი, მწერალი ამისი“ (236r).

A-V, გვ.1-3.

ვ. ბერიძე, გვ.120-121.

იოვანე ბერაის მიერ შესრულებულია შატბერდის კრებული S 1141 973-976 წწ. შატბერდის მონასტერში (105v, 234r). ხელნაწერი შეიცავს 287 ფურცელს, 28X22 სმ., (1v-126r დაწერილია ასომთავრულით, ხოლო 126v-286v – ნუსხურით).

სათაურები შესრულებულია სინგურით.

ანდერძი: „ქრისტე, შეიწყალე ბერაჲ მწერალი“ (234v).

S-II, გვ.36-40.

ვ. ბერიძე, გვ.121.

იოვანე მელი

კალიგრაფი, მხატვარი, XI ს.

იოვანემ შეასრულა აგიოგრაფიულ-ასკეტიკური კრებული A 1104 (90v). ხელნაწერი შეიცავს 341 ფურცელს, 24,3X18 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით. თარგმნილია ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ (298v).

ხელნაწერი მოხატულია თავსამკაულებით 4r, 28v, 91r, 155r, 233r. ისინი Π-ს ფორმის არიან. ორნამენტი შესრულებულია მეტად ფაქიზი შინდისფერი ხაზებით. წრეებსა და ოვალებში ჩართულია ყვავილოვან-ფოთლოვანი ორნამენტი. საზედაო ასოებიც შინდისფერითაა გამოხატული. კონტური ზიგზაგებითაა დატეხილი ან ფოთლოვანი ხვეულებითაა შემკული.

ანდერძი: „წმიდანო ღმრთისანო,... გლახაკისა იოვანე მელისათვის ლოცვა ყავთ, რომელმან დავწერე ამათ წმიდათ ცხორებაჲ“ (90v).

A-IV, გვ.84-86.

ვ. ბერიძე, გვ.131-132.

იოვანე ტატანელი

კალიგრაფი, მომხატველი, XI ს.

იოანეს მიერ შესრულებულია ურბნისის ოთხთავი A 28 (5r, 67v, 105v, 108v, 173v). ხელნაწერი შეიცავს 222 ფურცელს, 19,5X14,5 სმ., დაწერილია ეტრატზე ასომთავრულით და ნუსხურით, თარგმნილია ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ.

ხელნაწერი შემკულია 5 კამარით (1r-3r) და მრავალრიცხოვანი მხატვრული ინიციალით. მხატვრობა ხალხური ტრადიციების მატა-

რებელია. კამარის მხატვრობაში ხეზე ჭრის დეტალებია ჩართული. ინიციალებში დეკორის მრავალი დეტალია გამოყენებული: ლარნაკების, ჩიტების, ხელის გამოსახულებანი. კოლორიტში გამოირჩევა შაბიამნისფერი და შინდისფერი.

ანდერძი: „წმიდანო ღმრთისანო, მოიჴსენეთ სული იოვანე ტატანელისაჲ“ (67v).

A-I$_1$, გვ.92-96.

ვ. ბერიძე, გვ.130.

კვირიკე

კალიგრაფი, მომხატველი, XI ს.

კვირიკეს შესრულებულია იოანე ოქროპირის „მათეს სახარების თარგმანება“ A 89 (119r, 324v, 438v). ხელნაწერი შეიცავს 439 ფურცელს, 28X16 სმ., დაწერილია ეტრატზე (პალიმფსესტი) ნუსხურით, ქვედა ფენა ასომთავრულით.

XI საუკუნის თავსამკაულებია (134v, 214r, 221r, 256r, 272r და ა.შ.) და მოხატული მთავრული ასოები.

ანდერძი: „ლოცვა ყავთ კჳრიკესთჳს, მამანო“ (119r, სინგურით სათაურთან).

A-I$_1$, გვ.314-316.

კლემენტოსი

კალიგრაფი, მომხატველი, XII ს.

კლემენტოსის შესრულებულია ოთხთავი H 325 (91r, 162v). ხელნაწერი შეიცავს 238 ფურცელს, 20,5X 18,5 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით. მომგებელია ანტონ ქუთათელი (91r, 162v, 236v).

ხელნაწერი მოხატულია თავსამკაულებით (52r, 94r, 163r). ისინი П-ს ფორმისაა და აგვირგვინებენ ტექსტის მარცხენა სვეტს. თავსამკაულებს ქმნიან ყვავილოვან-ფოთლოვანი ან ვაზისებრი მოტივები. შესრულებულია სინგურით. სათაურები თავსამკაულში ჩაწერილია სინგურით ხვეული ასომთავრულით, სახარების პირველ გვერდზე მთავრული ასოები დაწინწკლულია.

ანდერძი: „ადიდე, ქრისტე ღმერთო ჩემო,...მთავარეპისკოპოსი ანტონი ქუთათელი, რომლისა ბრძანებითა იწერების წმიდაჲ ესე ოთხთავი ჴელითა ფრიად ცოდვილისა კლემენტოსისითა“ (162v).

H-I, გვ.236.

ლაზარე

კალიგრაფი, მომხატველი, XVI-XVII სს.

ლაზარეს შესრულებულია „საწელიწდო საკითხავები“ A 1341 (1r). მომგებელი „მროველი, პატრონი დიონოსი“. ხელნაწერი შეიცავს 390 ფურცელს., 29,5X19,5 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერი მოხატულია დასაწყისში ვაზისებრი ორნამენტით, რომელიც გრაფიკულად არის გამოყვანილი წითელი მელნით და ორმაგ ზოლად მიჰყვება ტექსტს. საზედაო ასოებიც ასევე გრაფიკულად წითელი მელნითაა შესრულებული.

ანდერძი: „ამა წიგნის მწერალი ლაზარე შეიწყალე, ქრისტე“ (1r, ანდერძი ჩაწერილია თავსამკაულის ორმაგ ორნამენტულ ზოლებს შუა მხედრულით).

A-IV, გვ.419.

მათე მხატვარი

კალიგრაფი, მომხატველი, XIII ს.

მათეს სახელი მოთავსებულია მათეს სახარების თავსამკაულის მარჯვენა მხარეს. იგი მთავრულ ასოთა ვერტიკალური წყობითაა გამოწერილი: მათე მხატვარი. ხელნაწერი A 496 შეიცავს 190 ფურცელს, 25,5X20 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით.

მათეს შესრულებულია კამარები, თავსამკაულები და მინიატიურები. ოთხთავში ორი კამარაა შემორჩენილი (1v და 2r). სწორკუთხა ფორმის ზედანი ეყრდნობა სვეტებს. ნახატს სტილიზებული ყვავილები ქმნიან. თავსამკაულები (4r, 44r, 77r, 127r) Π-ს ფორმისაა და აგვირგვინებენ ტექსტს მთელ სიგანეზე. ნახატობა ერთიანი მონახაზით გაერთიანებულია ჩარჩოსთან. შესრულებულია ეტრატის

ფონზე შინდისფერი ან ყავისფერი მონახაზებით. მახარებელთა გამოსახულებანი (3v, 43v, 76v, 126v) ორნამენტირებულ ჩარჩოშია ჩართული, რომელსაც არღვევენ სამუშაო მერხი და მახარებელთა ფეხის სადგამი.

ანდერძი: „მათესა მხატვარსა და დედა-მამათა მისთა შეუნდვენ ღმერთმან, ამინ“ (4r).

A-II$_1$, გვ.239-241.

მათე

კალიგრაფი, მომხატველი, XVI ს.

მათეს შესრულებულია სახარება A 289 (188v). ხელნაწერი შეიცავს 234 ფურცელს, 31,5X20,8 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერი შემკულია თავსამკაულითა (1v) და დიდი ზომის მთავრული ასოებით. თავსამკაული წვრილი გრეხილი ზოლია. შავ ფონზე აქა-იქ სინგურითაა შეფერილი. საზედაო ასოები გაფორმებულია სინგურით ან ტექსტის მელნით.

ანდერძი: „ღმერთო და ტკბილო სახარებაო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი ამ სახარების მწერალი მათე“ (188v).

A-I$_3$, გვ.169-170.

მამუკა თავაქარაშვილი, მდივანი

კალიგრაფი, მომხატველი, 1646 წ.

მამუკას შესრულებულია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ H 599 (252r). მომგებელია ოდიშის მთავარი ლევან დადიანი. მამუკა იყო იმერეთის მეფის ალექსანდრეს მდივანი და მან ხელნაწერი შეასრულა ლევან დადიანის კარზე ტყვეობის დროს (267v). მამუკამ ტყვეობაში 23 წელი გაატარა.

ხელნაწერი შეიცავს 267 ფურცელს, 27X19 სმ., დაწერილია ქაღალდზე მხედრულით.

ხელნაწერი დასურათებულია 39 მინიატიურით. მინიატიურებს მთელი გვერდი უკავიათ. ილუსტრაციები საინტერესოა სიუჟეტური

და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით. წერის მანერა გრაფიკულია. მხატვრობა შესრულებულია ტექსტის მელნით და დაფერილია აკვარელისებრი საღებავებით. სურათის ფონი მოყვითალო-ყავისფერ ტონებშია გადაწყვეტილი. კოლორიტში გამოყენებულია ძირითადად ლურჯი, ნარინჯისფერი საღებავები. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ სამინიატიურო ხელოვნებაში მამუკას ავტოპორტრეტი გამონაკლისს წარმოადგენს. ხელნაწერში მან საკუთარი თავი სამჯერ გამოხატა.

ანდერძი: „ტყვეობაშიდ ვწერდი“(267v).

მეორე ანდერძი მამუკას დართული აქვს ავტოპორტრეტის გამოსახულებაზე: „ქ. ღმერთო, შემინდევ ცოდვანი... აქა ამისი მწერალი მდივანი მამუკა სწერს“ (252r).

H-II, გვ.51-52.

ვ. ბერიძე, გვ.93-97.

ლევან II-ის ბრძანებით მამუკას გალექსილია „უთრუთიან-ზააქიანი“ S1594 (148v) 1647 წელს. ხელნაწერი შეიცავს 148 ფურცელს, 31X20,5 სმ., დაწერილია ქაღალდზე მხედრულით.

ხელნაწერი დასურათებულია 69 მინიატიურით. უმეტესობა მთლიან გვერდს იკავებს, ნაწილი ტექსტშია ჩართული. კომპოზიციები ბრძოლის ან ურთიერთშერკინების სცენებს წარმოადგენენ. მინიატიურები ყავისფერ ფერებშია ძირითადად მოხატული.

ანდერძი: „ქ. აქა გათავდა ეს წიგნი ბრძანებითა ხელმწიფის დადიანის ბატონის ლევანისათა და ხელითა მამუკა თავაქალაშვილისათა“ (148v).

S-III, გვ.51.

მანოელ ინანიკიშვილი

კალიგრაფი, მომხატველი, 1575 წ.

მანოელის შესრულებულია მარხვანი Q 657 (379v). მომგებელი მღვდელთ-მთავარი იერემია მაწყუვრელი (379v). ხელნაწერი შეიცავს 390 ფურცელს, 28,2X19 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერი შემკულია ჯვრის გამოსახულებით (355v) და ბოლოსართით (77v). ჯვარი შედგმულია პოსტამენტზე. შესრულებულია ყავისფერი მელნით და შეფერადებულია სინგურით. ბოლოსართი სწორკუთხა ფორმისაა, ყვავილოვანი განშტოებებით შემკული.

ანდერძი: „დაიწერა ჴელითა ფრიად ცოდვილისა...ინანიკიშვილისა მანოელისაჲთა“ (379v).

Q-II, გვ.114-115.

მანოელ ჩარკვიანი

კალიგრაფი, მომხატველი, 1818 წ.

მანოელის მიერ შესრულებულია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ H 403 (გვ.449). ხელნაწერი მან გადაწერა ვახტანგ VI-ის სტამბაში ნაბეჭდი „ვეფხისტყაოსნიდან“. ხელნაწერი შეიცავს 226 ფურცელს, 38X20,3 სმ., დაწერილია ქაღალდზე მხედრულით. ტექსტი გამართულია დავით რექტორის მიერ.

ხელნაწერი შემკულია მინიატიურებით, თავსამკაულებით (1r, 10r) და ბოლოსამკაულებით (47r, 55r). თავსამკაულები რუსული П-ს ფორმისაა. ისინი შევსებულია ყვავილოვანი ორნამენტით. ტექსტის დასაწყისი ფერადხაზოვან ჩარჩოშია ჩასმული.

მინიატიურები მთელ გვერდს იკავებენ: 1. ასმათისა და ტარიელის შეხვედრა (150r), 2. ტარიელისა და ფრიდონის შეხვედრა (150r). მინიატიურები ჩარჩოს გარეშეა.

ანდერძი ეკუთვნის დავით რექტორს: „მანოელ ჩარკვიანის მიერ აღწერილი, სტამბის ვეფხისტყაოსნიდამ გარდმოწერილი“ (გვ.449).

H-I, გვ.303.

მარიამ ბატონიშვილი – ერეკლე I-ის ასული,
ედიშერ ჩოლოყაშვილის მეუღლე

მომხატველი, 1714-1716 წლები.

სამი დიდი ზომის ხელნაწერი – გულანი მოხატულია მარიამ ბატონიშვილის მიერ: A 366, A 379, A 380. გადაწერილია სხვადასხვა გადამწერის მიერ.

გულანი A 366, 1714 წ.

შეიცავს 219 ფურცელს, 44X32 სმ., დაწერილია ნუსხურით. გადამწერი მგალობელი დემეტრე, მდივან მგალობლის ძე (216v), მომგებლები ალავერდელი ნიკოლოზი, ჩოლოყაშვილი ედიშერი და მისი მეუღლე მარიამ ბატონიშვილი (216v).

გულანი მოხატულია თავსამკაულებით (1r, 54v, 107r, 155v). თავსამკაულები სამთაღოვანია, რომლებშიც ჩახვეული ასომთავრულით სინგურით სათაურია ჩაწერილი. თავსამკაულის მოხაზულობა შედგება წვრილი გრეხილი ორნამენტისაგან შეუფერავ ეტრატზე. თუ თავსამკაული განთავსებულია ტექსტის გასწვრივ, მას გვერდის ნახევარზე მეტი უკავია.

ანდერძი: „მეოხ მეყავ, დიდებულო გიორგი, მშრომელსა ასომთავრულისა ამის ბატონიშვილს მარიამს“ (54v).

A-I_4, გვ.94-97.

გულანი A 379 1716 წ. გადამწერია ზაქარია ჭალაიშვილი (198v). შეიცავს 199 ფურცელს, 44X32 სმ. დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით. დამკვეთები ალავერდელი ნიკოლოზ და ბატონიშვილი მარიამ-მაკრინა (198v).

მოხატულია თავსამკაულებით (1r, 75r, 115v, 155v).

ანდერძი: „დიდებულო გიორგი, შემწე მექმენ მშრომელსა ამ ასომთავრულისაჲ ბატონის შვილს მარიამს“ (75r).

A-I_4, გვ.104-106.

გულანი A 380 შეიცავს 198 ფურცელს, 44X30 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით. გადამწერი მახარებელია (61r, 71v). შემკულია თავსამკაულებით (1r, 40r, 101r, 146v).

ანდერძი: „წმიდაო გიორგი, შემიწყალე მშრომელი ამისი ბატონისშვილი მარიამ, მაკრინად ჴმობილი“ (49r).

A-I_4, გვ.106-108.

მარკოზ ბერი

კალიგრაფი, მომხატველი, XV-XVI სს.

მარკოზის შესრულებულია კურთხევანი A 504 (18v). ხელნაწერი

შეიცავს 211 ფურცელს, 20X14,5 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერი მოხატულია ბოლოსამკაულებით (91r, 102r) და საზედაო ასოებით (8r, 10r, 12r, 12v და ა.შ.).

ანდერძი: „ღმერთო, შეიწყალე მარკოზ ბერი, მწერალი, ამინ“ (18v).

A-II$_2$, გვ.8-10.

მაქსიმე

კალიგრაფი, მომხატველი, XIV ს.

მაქსიმეს შესრულებულია კრებული A 146 (15v, 65r, 90r). ხელნაწერი შეიცავს 112 ფურცელს, 18X13,5სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით.

ხელნაწერი მოხატულია თავსამკაულებით (5v, 15v, 34v, 50v, 57r, 61r, 65r, 90r, 108v, 110v) და 4 მინიატიურით.

თავსამკაულები წარმოადგენენ გრეხილ ორნამენტულ ზოლს და აგვირგვინებენ ტექსტის მარცხენა სვეტს. შესრულებულია ტექსტის შავი მელნით და შეფერილია სინგურით, მინიატიურები ჩარჩოს გარეშეა. მხატვრობა შესრულებულია გრაფიკულად ტექსტის მელნით და აქა-იქ შეფერილია სინგურით. მინიატიურებია: 1. მამა დოროთეოსი და იოანე წინასწარმეტყველი (56v), 2. წმ. ეფთვიმე, მაქსიმე აღმსარებელი სასულიერო პირთან ერთად (64v), 3. ბერის გამოსახულება წიგნით ხელში (72r), 4. წინასწარმეტყველნი (104r).

ანდერძი: „მაქსიმეს, ცოდვილსა, შეუნდვნეს ღმერთმან“ (15v).

A-I$_2$, გვ.199-200.

მახარებელი

კალიგრაფი, მომხატველი, XII-XIII სს.

მახარებელის მიერ შესრულებულია მცირე გულანი A 304 (234r). ხელნაწერი შეიცავს 267 ფურცელს, 20X15,7 სმ., დაწერილია ეტრატსა და ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერი მოხატულია თავსამკაულით (148 r), რომელიც წარმოდგენილია წნული ორნამენტის სახით.

ანდერძი: „ღმერთო, შეიწყალე მახარებელი“ (234r, ტექსტის მელნით, ნუსხურით).

A-I$_4$, გვ.14-15.

მახარებელი

კალიგრაფი, მომხატველი, XV ს.

მახარებელის შესრულებულია ზაზა ფანასკერტელის სამკურნალო წიგნი Q 877 (177r, 219v). მომგებელი და ავტორ-შემდგენელი მკურნალი ზაზა ფანასკერტელი (177r). ხელნაწერი შეიცავს 684 ფურცელს, 36,3X25 სმ., დაწერილია ქაღალდზე მხედრულით.

ხელნაწერი შემკულია თავსამკაულით (177r), რომელიც ასო Π-ს ფორმისაა. იგი შედგენილია წნული ორნამენტით და შესრულებულია შავი და წითელი მელნით. ხელნაწერის თავისუფალ არეზე ოთხკუთხა ფორმის წნული ორნამენტის პატარა დეტალებია (215r, 220r, 222v), ერთ შემთხვევაში ჯვარი უკავია ხელს (223r).

ანდერძი: „ქრისტე, შეიწყალე მჩხრეკალი ამისი უღირსი მახარებელი, ამინ“ (177r).

Q-II, გვ.281-286.

მელქისედეგ სამსონისძე

კალიგრაფი, მომხატველი, 1520 წ.

მელქისედეგის შესრულებულია ოთხთავი H 1721 (4v). მომგებელია მერაბ კალმახელი.

ხელნაწერი შეიცავს 326 ფურცელს, 12X9 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით.

ხელნაწერი მოხატულია კამარებით, თავსამკაულებით (11r, 90r, 143r, 224r), მახარებელთა გამოსახულებებით (10v, 89v, 142v, 223v). თავსამკაულები აგვირგვინებენ ტექსტის მარცხენა სვეტს. ისინი შევსებულია მცენარეული ორნამენტებით, რომლებიც შესრულებულია

ოქროს ფონზე ლურჯი და მწვანე საღებავებით. ოქრომელნით შესრულებულია სათაურები და სახარების დასაწყის გვერდზე მარტივი მთავრული ასოები.

ანდერძი: „დიდებაჲ ღმერთსა სრულმყოფელსა..., რომელმან ღირს მყო... აღწერად მე, არა ღირსი ესე მელქიზედეგ“ (4v).

H-IV, გვ.154-155.

მესხიშვილები

მესხიშვილთა გვარის წარმომადგენლებმა ჩამოაყალიბეს კალიგრაფიული სკოლა. ისინი არა მარტო მთარგმნელები, ლიტერატორები, არამედ შესანიშნავი კალიგრაფები და მომხატავები იყვნენ. მესხიშვილები წარმოშობით მესხეთიდან ყოფილან. პეტრე მესხი თავისი ოჯახით გადმოსახლებულა მესხეთიდან თბილისს. დომენტი კათალიკოსმა პეტრეს კანდელაკის ადგილი უბოძა ანჩისხატის ეკლესიაში. პეტრეს შთამომავალნი კი ანჩისხატის დეკანოზები იყვნენ. საგვარეულოს ცნობილ კალიგრაფებად და მომხატავებად შეიძლება დავასახელოთ: პეტრეს შვილი გრიგოლი, გრიგოლის ძე ალექსი, ალექსის შვილები სოლომონი, დავით რექტორი და გიორგი, გიორგის შვილი მიხეილი, სოლომონის შვილი ტარასი.

მესხიშვილთა საგვარეულო დინასტიის წარმომადგენელთა შესახებ იხილეთ: ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, თბილისი, 1967, გვ.154-166; ია გაჩეჩილაძე, ქართულ ხელნაწერთა ამაგდარნი, თბილისი, 2011; რ. კაჭახიძე, დეკანოზ ალექსი მესხიშვილის მოხატული ხელნაწერი წიგნები, მრავალთავი 26, თბილისი, 2019, გვ.297-310; ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის მინიატიურული პორტრეტი და მისი შემსრულებელი ალექსი მესხიშვილი, საბჭოთა ხელოვნება N 10, თბილისი, 1959 წ., გვ.17-20; ლ. ქუთათელაძე, სიტყვის კონის სათაური ასოები, დროშა, N 11, 1959 წ., გვ.7-8; ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში/ისტორიული მიმოხილვა მღ. პ. კარბელაშვილისა, ტფილისი, 1902.

მესხიშვილი გრიგოლი, დეკანოზი

მომხატველი XVIII ს.

გრიგოლი ხშირად მოიხსენიება თავისი ძის ალექსი მესხიშვილის ანდერძებში, როგორც „ტფილურთა მოქალაქე ქმნილი და ჴელოანი

მხატვრის გრიგოლ მღვდლის დეკანოზის ძე" (იხ. ტიბიკონი A 899, 535 r).

გრიგოლის მოხატულია ალექსის მიერ 17 წლის ასაკში გადაწერილი ხელნაწერი ჟამნი S 1096 (ალექსი მაშინ დიაკვანი იყო). ხელნაწერი შეიცავს 344 ფურცელს, 13,8X9,2 სმ., დაწერილია ქაღალდზე მხედრულით.

გრიგოლის სახელი ამოიკითხა ხელოვნებათმცოდნე როსტომ კაჭახიძემ საიდუმლო სერობის მინიატიურაზე (321r), დაქარაგმებით შავი მელნით მხედრული ასოებით ჩაწერილია „გ~ი".

გრიგოლის შესრულებულია ზოდიაქოს ნიშნები და სახარებისეული კომპოზიციები. მინიატიურები რესტავრირებულია. ამჟამად მათ ფონად გამოყენებულია ცისფერი ქაღალდი.

ზოდიაქოს ნიშნებია: სასწორი (147r), ღრიანკალი (170v), მშვილდოსანი (193r), თხის რქა (216v), თევზები (242v), ვერძი (257v), კურო (263r), ტყუპები (267v), კირჩხიბი (277r), ლომი (285r), ქალწული (295r), მერწყული (231v).

მინიატიურებს უკავიათ მთელი გვერდი ან გვერდის ნახევარი: ღვთისმშობლის დაბადება (154r), ნათლისღება (234v), მირქმა (249v), ხარება (261v), ფერისცვალება (297v), ღვთისმშობლის მიძინება (300v), ლაზარეს აღდგინება (320v), იერუსალიმს შესვლა (321v), საიდუმლო სერობა (323v), ჯვარცმა (324r), გარდამოხსნა (324v), აღდგომა (325v), ქრისტე მოწაფეების წინაშე (326v), მოციქულთა კრება (328r), ამაღლება (329v), სულიწმიდის მოფენა (330v), ყოველნი წმინდანნი (331v).

მინიატიურები წარმოდგენილია ოქროს ფონზე და ფერადებითაა შესრულებული. გამოირჩევა ყავისფერი, ღვინისფერი საღებავები. ზოდიაქოს ნიშნები გრაფიკულადაა გამოხატული.

ალექსის, როგორც გადამწერის, ანდერძში მითითებულია: „ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი ალექსი, მხატვრის შვილი. მე, ალექსიმ, დიაკონმან ჩვიდმეტის წლისამან დავჩხაბე ჟამნი ესე" (216r).

S –I, გვ.641-642.

მესხიშვილი ალექსი, ანჩისხატის დეკანოზი

ჯელოანი, მწერალ-მწიგნობარი, მგალობელი, კალიგრაფი, მომხატველი, XVIII ს.

ალექსის შესრულებულია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი S 4748 (214v). ხელნაწერი შეიცავს 244 ფურცელს, 22X16,5 სმ., დაწერილია ქაღალდზე მხედრულით.

ალექსის მოხატულია თავფურცელი სულხან-საბა ორბელიანის პორტრეტით და ლექსიკონის ანბანური რიგის აღმნიშვნელი თითოეული მხედრული ასო-ნიშანი. ხელნაწერის დასაწყისში ჩახვეული მხედრულით წარმოდგენილია სათაური. დიდი ზომის ასოები სინგურითაა შესრულებული. ანბანური რიგის აღმნიშვნელი დიდი ზომის ასო-ნიშნები შესრულებულია სინგურით. მათი კონფიგურაცია შედგება ფოთლოვანი ორნამენტებისა და ფრინველთა თავების კომბინაციით. იშვიათად გამოყენებულია ცხოველთა ან ადამიანთა გამოსახულებანი. ზოგიერთი ასოს (იხ. სანი და ხანი) ვერტიკალში ჩაწერილია ალექსის სახელი.

ლექსიკონის თავფურცელზე სულხან-საბა წარმოდგენილია მთელი ტანით. იგი გამოსახულია ბერის სამოსით, ჯვრებიანი ოლარით. მარცხენა გაწვდილ ხელში უკავია ხელნაწერი წარწერით, ხოლო მარჯვენა ხელში უჭირავს ბატის ფრთის კალამი. სურათის მარჯვენა ზედა მხარეს ხატის სახით გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმითურთ. ნახატი შესრულებულია ძირითადად თამბაქოსფერი, მწვანე ფერებით. გამოყენებულია შავი და წითელი საღებავები.

ანდერძი: „დაიწერა ჯელითა მხატვრის ძის ალექსისათა. მონისა ღვთისა ჯელოვანისა მწერალ-მწიგნობარ-მგალობელისა“ (214v).

S –VI, გვ.98-100.

ალექსი მესხიშვილის შესრულებულია „წმიდათა ცხოვრება“ H 2077 1736 წელს (334v). ხელნაწერი შეიცავს 335 ფურცელს, 29,8X20,5 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით. სათაურები და დასაწყისი ასოები გამოხატულია ასომთავრულით სინგურით.

ხელნაწერი მოხატულია 24 მინიატიურით. წმინდანები განთავსებული არიან 6 გვერდზე. თითოეულ გვერდზე 4 წმინდანის გამოსახულებაა (226r-231r). ისინი ჩარჩოებში არიან ჩართულნი. პირველ სამ

ფურცელზე 13 ასურელი მამაა: იოანე ზედაზნელი, შიო მღვიმელი, ისე წილკნელი, სტეფანე ხირსელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იყალთოელი, ანტონ მარტყოფელი, დავით გარეჯელი, აბიბოს ნეკრესელი, თადეოზ სტეფანწმიდელი, ისიდორე სამთავნელი, მიქაელ ულუმბოელი. შემდეგ გვერდზე არიან ილარიონ ქართველი, პეტრე იბერიელი, არჩილ მეფე, ლუარსაბ მეფე, წმ. ელიზბარი, წმ. შალვა, წმ.ბიძინა, წმ. აბო თბილელი, წმ. კონსტანტინე, წმ. დავითი, წმ. შუშანიკი, წმ. ქეთევანი.

გამოსახელებებს ახლავს წარწერები მხედრულით, შავი მელნით. თითოეული გამოსახულება ფეხზე დგას ხშირად ფრონტალურ პოზაში. ისინი დგანან მწვანე ზოლზე. გამოსახულნი არიან წამოსასხამით. საღებავები გამქვირვალეა.

ანდერძი: „წმიდანო მოწამენო, მეოხ მეყუენით ცოდვილს მწერალს მხატვრის ძეს დეკანოზს ალექსის“ (213r).

ანდერძი: „ცოდვილი ესე და ყოვლად უბადრუკი და გლახაკი მონა ცათა მეფისა ჴელოან მხატურის მღვდელის ძე მღდუელი დეკანოზი ალექსი... აღვწერე ცხოვრება და მოქალაქობა წმიდათა და ქართველთა მანათობთა“ (334v).

H-V, გვ.44-47.

ალექსის შესრულებულია ოთხთავი H 1666 1743 წელს (145r). შეიცავს 170 ფურცელს, 25X17,5 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით.

ხელნაწერი შემკულია მახარებელთა გამოსახულებებით (4v, 41r, 68v, 116v) და თავსამკაულებით (5r, 42r, 69r, 117r). მახარებლები შრომის პროცესში არიან გამოსახულნი სამუშაო მაგიდასთან მჯდომარენი. თავსამკაულებს გუმბათოვანი ფორმა აქვთ. შუა ამოკვეთილ არეში სათაურებია ასომთავრულით ჩაწერილი. თავსამკაულებს მარჯვენა მხარეს, გვერდის თავისუფალ არეზე, მთელ სიგრძეზე ორნამენტული ნახატობა ახლავთ. თითოეული დაწერილი სვეტი ფერადხაზოვან ჩარჩოშია ჩართული.

ანდერძი: „იესო ტკბილო, უოხე სულსა ჩემსა ფრიად ცოდვილსა მწერალსა ამისსა მხატვრის ძესა ალექსის“ (145r).

H-IV, გვ.93-94.

ალექსის შესრულებულია ტიბიკონი A 399 1756 წელს (534r). ხელნაწერი შეიცავს 537 ფურცელს, 21X16 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ალექსის მოხატულია თავსამკაულები, რომელთა ნახატობა ოქრომელნითაა შესრულებული (337r, 339r, 340r, 342r, 343r-350v, 363v-400r, 402v, 406r, 408v-485r).

ანდერძი: „წერად ამისა ჴელ-ვყავ... ტფილურთა მოქალაქე ქმნილის, ჴელოანის მხატვრის გრიგორ მღუდლის დეკანოზის ძემან ანჩისხატის დეკანოზმან, უღირსმან მღვდელმან ალექსიმ“ (534r).

A-I$_4$, გვ.185-191.

ალექსი მესხიშვილის მიერ 17 წლის ასაკში გადაწერილია ჟამნი S 1096 (იგი მაშინ დიაკონი იყო), რომელიც მისი მამის გრიგოლის მიერაა მოხატული. იგი ამის შესახებ მიუთითებს ანდერძში: „ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი ალექსი, მხატვრის შვილი. მე, ალექსიმ, დიაკონმან ჩვიდმეტის წლისამან დავჩხაბე ჟამნი ესე“ (216r).

ალექსი მესხიშვილი ასევე მოღვაწეობდა სიონის დეკანოზ ნიკოლოზ მიქაძესთან ერთად. ალექსიმ გადაწერა დიდი ზომის სადღესასწაულო (A 1454), რომელიც ნიკოლოზ მიქაძემ მოხატა.

ალექსი დიდ ყურადღებას აქცევდა ტექსტის კომპოზიციურ განლაგებას მხატვრული თვალსაზრისით: ტექსტის დაწერილ სვეტებს სვამდა ფერადხაზოვან ჩარჩოში, სოლისებურად განალაგებდა ტექსტის ბოლო სტრიქონებს. ალექსი ისტორიული საბუთების გადამწერიც იყო. ქანის ასო-ნიშნით აღნიშნული ტექსტის დასაწყისს იგი მხატვრულად აფორმებდა.

ი. გაჩეჩილაძე, ქართულ ხელნაწერთა ამაგდარნი: მწიგნობარ-კალიგრაფი ალექსი მესხიშვილები, თბილისი, 2011, გვ.41-51.

მესხიშვილი დავითი, რექტორი

კალიგრაფი, მომხატველი 1745-1824 წწ.

დავით რექტორი ალექსი მესხიშვილის ვაჟი, სოლომონის ძმაა. იგი იყო ლიტერატორი, კომენტატორი, პედაგოგი, კათალიკოს ანტონ I-ის მოწაფე. მოღვაწეობდა ერეკლე II-ის მეფობის ბოლო

ათეულ წლებში. 1770 წელს ერეკლემ დავითი თელავის სემინარიის რექტორად დანიშნა. დავითმა სემინარია მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრად აქცია. მან კომენტარებით შეავსო საბას ლექსიკონი Q 404. დავითი ცნობილია ხელრთვებით, რომლებიც შესრულებულია ჩახვეული მხედრულით.

დავით რექტორის შესრულებულია აღაპიტ დიაკონის „სამეფო ტომარი" H 156. ხელნაწერი შეიცავს 42 ფურცელს, 15,3X10 სმ., დაწერილია ქაღალდზე მხედრულით.

ხელნაწერი მოხატულია მინიატიურით, რომელზედაც გამოსახულია აღაპიტ დიაკონი ბერძენთა იმპერატორის იუსტინიანეს წინაშე მუხლმოდრეკილი (1r). აღაპიტ დიაკონი იუსტინიანეს უძღვნის სამეფო ტომარს ანუ ქარტას. ხელნაწერი რუსულიდან ქართულად თარგმნა მოსკოვში გაიოზ არქიმანდრიტმა 1776 წელს.

H –I, გვ.109-110.

დავით რექტორის შესრულებულია კრებული S 954 დ (გვ.43). ხელნაწერი შეიცავს 37 ფურცელს, 8,7X5,5 სმ., დაწერილია ქაღალდზე მხედრულით.

ხელნაწერი შემკულია სათნოებათა და ცოდვათა ილუსტრაციებით, ასევე ყოველი თავის დასაწყისი ზოდიაქოს ნიშნითაა გამოხატული.

ანდერძი დაწერილია 43-ე გვერდზე. მთელ გვერდს იკავებს ასო „დონის" მოხატული გამოსახულება, რომელსაც ახლავს გაშლილი ხელის გამოსახულება. ხელისგულზე ასომთავრულით დავითის ანდერძია: „ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი დავით".

S-I, გვ.626.

დავით რექტორი, როგორც მხატვარი, ცნობილია ამჟამად დაკარგული სურათის „ცხოვრების კიბის" ავტორად. ია გაჩეჩილაძის წიგნში „ქართულ ხელნაწერთა ამაგდარნი" მითითებულია „დროებაში"დაბეჭდილი იოვანე მესხიშვილის წერილი. მას უნახავს ეს სურათი.

სურათზე „კიბე ცხოვრებისა" გამოხატული ყოფილა (შეიცავდა 10 თაბახს კედელზე ჩამოსაკიდად) ორგვარი კიბე 80 საფეხურით. კიბე შემკული ყოფილა ერთმანეთზე გადახლართული ვაზის ფოთლებით. კიბის ძირს შენიშვნაში წლოვანების მიხედვით იხსნებოდა

კაცის თვისება და მიდრეკილება, რომელიც კიბეზე ასვლისას თუ ჩამოსვლისას ემატებოდა ან აკლდებოდა ამ თვისებებს.

ი.გაჩეჩილაძე, ქართულ ხელნაწერთა ამაგდარნი: მწიგნობარ-კალიგრაფი ალექსი მესხიშვილები, თბილისი, 2011, გვ.70-85.

მესხიშვილი სოლომონი, ანჩისხატის დეკანოზი

კალიგრაფი, მომხატველი, XVIII ს.

სოლომონი იყო ალექსი მესხიშვილის ვაჟი, დავით რექტორის ძმა.

სოლომონის შესრულებულია მცირე ლოცვანი H 319 თბილისში (100r). ხელნაწერი შეიცავს 100 ფურცელს, 10X7 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერის სათაურები შესრულებულია ჩახვეული ასომთავრულით სინგურით. ტექსტის სვეტები და ანდერძი ჩასმულია ფერადხაზოვან ჩარჩოში. ხელნაწერი შემკულია თავსამკაულით (54v), რომელიც გამოყვანილია ტექსტის მელნით. თავსამკაული ტექსტის მთელ სიგანეზეა გაშლილი. კოლორიტში ჭარბობს მწვანე ფერი.

ხელნაწერს დასაწყისში დართული აქვს მაცხოვრის სქემატური გამოსახულება (1v). 53v-ზე წარმოდგენილია ღვთისმშობელი ყრმითურთ და 70v-ზე – იოანე ნათლისმცემლის მოკვეთილი თავი ლანგარზე. მინიატიურებს ახლავთ წარწერები მხედრულით.

ანდერძი: „აღიწერა მცირე ესე ლოცვანი... ჴელითა ჩემ ცოდვილისა სიონელის სოლომონისითა“ (100r).

H-I, გვ.233-234.

ვ. ბერიძე, გვ.160-162.

სოლომონის შესრულებულია სახარება Q 268 1770 წელს (182r). ხელნაწერი შეიცავს 182 ფურცელს, 29,5X20 სმ., დაწერილია ქაღალდზე მხედრულით.

ხელნაწერი შემკულია თავსამკაულებით (2r, 44r, 150v).

ანდერძი: „ვიმუშაკე... მე, ყოვლად უღირსმან ანჩისხატის დეკანოზის ალექსის ძემან სოლომონ დიაკონმან“ (182r).

Q-I, გვ.277-278.

ი.გაჩეჩილაძე, ქართულ ხელნაწერთა ამაგდარნი: მწიგნობარ-კალიგრაფი ალექსი მესხიშვილები, თბილისი, 2011, გვ.53-69.

მესხიშვილი გიორგი, ანჩისხატის დეკანოზი
(ალექსი მესხიშვილის ძე)

კალიგრაფი, მომხატველი, 1773 წ.

გიორგის შესრულებულია ბესარიონ ორბელიშვილის „გრდემლი" A 298 (170v). ხელნაწერი შეიცავს 173 ფურცელს, 22X16 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერში სათაური და საზედაო ასოები შესრულებულია მთავრულით (1r, 13v, 16r, 19r, 22v, 24v, 25r, 29r, 40v, 43r, 45r, 50v, 55r, 58v, 69r, 71v და სხვა). სათაური რამდენიმე სტრიქონს შიცავს.

ანდერძი: „აღვწერე წიგნი ესე ყოვლად უღირსმან ანჩისხატის დეკანოზმან გიორგიმ" (170v).

A-I$_3$, გვ.198-200.

მესხიშვილი მიხეილი,
ალექსი მესხიშვილის შვილიშვილი

კალიგრაფი, მომხატველი, გარდაიცვალა 1786 წელს.

მიხეილის შესრულებულია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი S 4618 (გვ.827).

ხელნაწერი შეიცავს 830 გვერდს, 19,5 X14,5 სმ., დაწერილია ქაღალდზე მხედრულით.

ლექსიკონის სათაური ასოები მოხატულია ადამიანთა, ფრინველთა, ცხოველთა გამოსახულებებითა და ყვავილებით. კოლორიტში გამოირჩევა ღია მწვანე, შინდისფერი და ნარინჯისფერი საღებავები.

ანდერძი: „დავშუცრ წერითა ლექსიკონისათა, მიხეილ" (გვ.827).

S-VI, გვ.52-53.

მესხიშვილი აჰრონი (არონი), მთავარდიაკონი

კალიგრაფი, მომხატველი, XVIII ს.

აჰრონის შესრულებულია „ქართველ წმინდანთა ცხოვრება" H 1672 (201r, 490 v). ხელნაწერი შეიცავს 492 ფურცელს, 20X14 სმ. დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით თბილისში (490 v) 1740 წელს.

ხელნაწერი მოხატულია სწორკუთხა ფორმის თავსამკაულით (3r), რომელიც ყვავილოვანი ორნამენტითაა შევსებული. ცენტრში ჯვარია ჩახატული. ნახატობა შეფერადებულია შინდისფერი და თეთრნარევი მომწვანო საღებავით. საღებავები აკვარელისებრი გამჭვირვალობისაა.

ანდერძი: „მამაო წმიდაო გიორგი, მეოხ და მფარველ მეყავ წინაშე ქრისტესა ცოდვილს არონს“ (201r).

მეორე ანდერძში იგი მოხსენიებულია, როგორც აჰრონ (490 v).

H-IV, გვ.101-105.

მესხიშვილი ტარასი, სოლომონის ძე
(ალექსის შვილიშვილი), ქვათახევის არქიმანდრიტი,
მწერალი, ბიბლიოფილი, მთარგმნელი,
სახარების შესანიშნავი მკითხველი

კალიგრაფი, მომხატველი, XIX ს.

ტარასი მესხიშვილი სოლომონის ძე (ალექსის შვილიშვილი), მწერალი, ბიბლიოფილი, მთარგმნელი, სახარების შესანიშნავი მკითხველი, კალიგრაფი, მომხატველი იყო. იგი იყო ქვათახევის ტაძრის არქიმანდრიტი. გარდაიცვალა 1876 წელს. დასაფლავებულია ქვათახევის ტაძარში.

ტარასი არქიმანდრიტი დიდ ყურადღებას აქცევდა ქართული ანბანის ასო-ნიშნების მხატვრულად გაფორმებას. მას შესრულებული აქვს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში მხედრული მხატვრული მთავრული ასოები ანბანური რიგით. იგი თავისი პაპის, ალექსის, შესრულებულ ასოებს ბაძავდა.

ტარასის შესახებ ცნობები და მის მიერ შესრულებული ხელნაწერების ჩამონათვალი იხილეთ ვახტანგ ბერიძის, ია გაჩეჩილაძის ნაშრომებში, ხოლო ტარასის მხატვრული ასოების შესახებ – 1883 წელს გამოცემულ ალბომში „ტარასი არქიმანდრიტის მიერ შესრულებული მხედრული ასოები“, ლ. ქუთათელაძის, ბენო გორდეზიანის, მურმან ურუშაძის ნაშრომებში.

ტარასი არქიმანდრიტს შესრულებული აქვს ფერადებით მხედრული ასოებით წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოები-

სათვის აბრევიატურა, რომელიც დაბეჭდილია ღია წერილის ბარათებზე.

ტარასის შესრულებულია სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“ A 288 1816 წელს (3v-4r). ხელნაწერი შეიცავს 303 ფურცელს, 34,5X22სმ., დაწერილია მოცისფრო ქაღალდზე მხედრულით. ხელნაწერი გადაწერილია საბას ლექსიკონის დავით რექტორისეული (ტარასის ბიძის) ნუსხიდან (Q 401).

ტარასის მოხატულია ლექსიკონის სათაური ასოები ანბანური თანმიმდევრობით. საზედაო ასოები დიდი ზომისაა, ისინი შესრულებულია სინგურით მხედრულით. მათი მონახაზები ხშირად დამთავრებულია ცხოველთა ან ფრინველთა თავებით და გამდიდრებულია მცენარეული ხლართებით. საზედაო ასოები ტარასიმ შეასრულა თავისი პაპის, ალექსის, ნამუშევრის მიბაძვით. ამასთანავე, ალექსის მიბაძვით ასო-ნიშნის „მანის“ და „ხარის“ ვერტიკალურ ნაწილში მხედრულით შავი მელნით ჩაწერა: „ტარასი“, „ხელითა ტარასისათა“.

ანდერძი: „მარიამ,... მიოხე წინაშე ძისა შენისა დღესა მას დიდსა განკითხვისასა, ფრიად ცოდვილსა ტარასის“ (291r-v). ანდერძი შესრულებულია მხატვრულად, ხვეული ასოებით.

A-I_3, გვ.167-169.

ტარასი არქიმანდრიტის მიერ შესრულებულია „გვირგვინი“ A 341 (11r) 1809 წელს. ხელნაწერი შეიცავს 178 ფურცელს, 16,5X10 სმ., დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრულით.

ხელნაწერის თავფურცელზე წარმოდგენილია გვირგვინი და ჯვარი (1v). ნახატი შეფერადებულია შინდისფერი და ყვითელი საღებავებით.

ანდერძი: „აღმიწერია წიგნი ესე და აწ მოხუცებულობასა შინა შემიწირავს ქვათახევის ღვთისმშობლისათვის და ნუვინ გამოსწირავს. 1860 წელსა, არხიმანდრიტი ტარასი“ (11r).

A-I_4, გვ.51-52.

ტარასი არქიმანდრიტის შედგენილია წერის დედნები – S 3398 და S 5127, რომელთა ყდებზე ფანქრით მინაწერია, რომ შედგენილია ტარასი არქიმანდრიტის მიერ. ორივე ხელნაწერი ერთსა და იმავე

ტექსტს შეიცავს. გადაბმის ნესები ძალიან ჰგავს ტარასის მამის, სოლომონის, მიერ შესრულებულ ნიმუშებს.

S 3398, S –V, გვ.48 და S 5127 S-VII, გვ.91-92.

მიქაელ მოდრეკილი, შატბერდის მონასტრის მოღვაწე

კალიგრაფი, მომხატველი, 978-988 წწ.

მიქაელმა შეადგინა და ნაწილობრივ გადაწერა საგალობელთა კრებული – იადგარი S 425. დამცველთია დავით კურაპალატი. ხელნაწერი შეიცავს 272 ფურცელს, 37,529,5 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით. საგალობელთა შემგროვებელია იოანე მტბევარი, ტბეთის ეპისკოპოსი (24v, 25r, 38v, 39r). ტექსტის დიდი ნაწილი გადაწერილია მიქაელ მოდრეკილის მიერ, ხელნაწერში იგი ხშირად იხსენიება (23r, 24r, 49r, 56r, 84v, 262v). მისი ხელითაა შესრულებული 1r-136v გვერდები, რომლებსაც ანონიმ გადამწერს მიაკუთვნებდნენ და ასევე ტექსტის ბოლო ნაწილიც 172r-262v. ეფთვიმეს გადაწერილია 137r-171v.

მიქაელის კალიგრაფიული ნუსხურით გადაწერილი ტექსტის ბოლო სტრიქონები ხშირად დამთავრებულია ე.წ. ყვავის კლანჭებით (ასოთა წაგრძელებული მოხაზულობით). ტექსტს ახლავს სინგურით შესრულებული სანოტო ნიშნები. აბზაცების დასაწყისები მოხატულია დიდი ზომის მთავრული ასოებით და იმავე სტილში შესრულებულია თავბოლოსამკაულებით (გვ.44, 48, 112, 245, 263, 285, 408). მიქაელს ეკუთვნის მინიატიურა ბასილი კესარიელისა და იოანე მტბევარის გამოსახულებით გვერდის თავისუფალ არეზე (60r). მიქაელის დახვეწილი მხატვრობა შეფერილია აკვარელისებრი გამჭვირვალობის საღებავებით. ფერები ნათელია. კოლორიტში გამოირჩევა სინგური, ყვითელი, ცისფერი საღებავები.

ანდერძი: „იესუ ქრისტე, ადიდენ სულითა მამაჲ მიქაელ“ (23r).

S-I, გვ.544-567.

მიქაელი, მწირი

კალიგრაფი, მომხატველი, 1048 წ.

მიქაელის შესრულებულია ოთხთავი H 1741 (80v). გადაწერილია

იერუსალიმს წმინდა გეთსამანიაში, მომგებელი სტეფანე ხუცეს პალავრელი (296v). მიქაელი წარმოშობით მცხეთელი ყოფილა. ხელნაწერი შეიცავს 243 ფურცელს, 22x16,5 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით.

ხელნაწერის დასაწყისში (1v) წარმოდგენილია ჯვარი. მახარებლის მინიატიურა (2r), რომელიც შესრულებულია ქაღალდზე, მოგვიანო ხანისაა. იგი სხვა ოსტატის ნახელავია. სამყურა ფორმის ჯვრის გამოსახულება ქვედა წაგრძელებული მკლავით პოსტამენტზეა შედგმული. ნახატი შესრულებულია ტექსტის მელნითა და სინგურით. ჯვარი ჩარჩოშია ჩასმული. ზედა ნაწილი სამყურა ფორმისაა. ლურჯი და წითელი საღებავები შეხამებულია ოქროსთან. საზედაო ასოები რთული აგებულებისაა. მათი კონფიგურაცია შედგება წრეების, სამყურა დეტალებისა და ორმაგი ხაზებისგან.

ანდერძი: „მე საწყალი მწირი მიქაელ გევედრები ლოცვასა“ (80v).

H-IV, გვ.173-174.

ვ. ბერიძე, გვ.166.

მიქაელი

კალიგრაფი და მომხატველი, XII ს.

მიქაელის მიერ შესრულებულია გრიგოლ ღვთისმეტყველის კრებული A87 (112v). ხელნაწერი ორი გადამწერის მიერაა შესრულებული. თითოეული გადამწერი თავის ტექსტს ამკობს საზედაო ასოებით. ცნობილია მიქაელის სახელი, რომლის მიერ შესრულებულია ხელნაწერის პირველი ნაწილი (112v). ხელნაწერი შეიცავს 416 ფურცელს, 36X24,5 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით. ხელნაწერის მომგებელია ბაგრატ აფხაზთა მეფის ასული მარიამ (1r, 228r, 356r).

ხელნაწერი მოხატულია თავსამკაულით ტექსტის დასაწყისში (1r) და საზედაო ასოებით. მიქაელი ხმარობს სქელ, გაუმჭვირვალე საღებავებს. მთავრული საზედაო ასოები რთული აგებულებისაა. მათი კონფიგურაცია შექმნილია წრეების, სამყურა დეტალებისა და

ორმაგი ხაზებისაგან. მთავრულ თან-ში ჩაწერილია მომგებლის, მარიამის, სახელი (228r, 358r).

ანდერძი: „მიქაელს შეუნდვენ ღმერთმან“ (112v).

A-I$_1$, გვ.300-309.

მიქაელი

კალიგრაფი, მომხატველი, XII ს.

მიქაელი XII ს. ჯრუჭის II ოთხთავის H 1667 გადამწერი და მრავალ დამსურათებელთაგან ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატია. ჯრუჭის II ოთხთავი შეიცავს 278 ფურცელს, 24,5X18,6 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით.

მოხატულია კამარებით, თავსამკაულებით, საზედაო ასოებით და დასურათებულია 334 მინიატიურით. რ. შმერლინგი ხელნაწერში 4 ძირითად მხატვარს გამოარჩევს. ს. ბარნაველი მიქაელს შემდეგი მინიატიურების შესრულებას მიაკუთვნებს: წყალმანიკიერის განკურნებას (168v), უძღები შვილის იგავს (172r-v), 10 კეთროვანის განკურნებას (176r), ქრისტეს საუბარს ფარისევლებთან (176v), ყრმების კურთხევას (179r), ბრმა ბარტიმეოსის განკურნებას (180r). იგი მიქაელს მიიჩნევს ასევე დაუფერავი ინიციალების ოსტატად. მიქაელის მხატვრობა ხასიათდება ნათელი ფერებით, მინიატიურები ოქროსფერ ფონზეა. კოლორიტში გამოირჩევა სინგური, ლურჯი, ფონი პატარა ბუჩქებითა და წითელი ყვავილებითაა დაწინწკლული.

ანდერძი: „ქრისტე, შეიწყალე მიქაელ და დაიცევ“ (ერთ-ერთ მინიატიურაზე, კერძოდ, „მებაჟეთა უფროსის მდიდარი ზაქეს მოქცევის“ კომპოზიციაში (180v) ქრისტეს სავარძლის ორნამენტულ მხატვრობაში ტექსტის მელნითაა ჩაწერილი. ამოიკითხა ს. ბარნაველმა).

H-IV, გვ.94-95.

ბარნაველი, ს. ჯრუჭის მეორე კოდექსის ორი წარწერა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. – თბილისი, 1958. ტ.21. – გვ.635-639.

ვ. ბერიძე, გვ.167-168.

მიქაელ კორესელი

მხატვარი, XII-XIII სს.

მიქაელი ბერძენი მხატვარია, რომელმაც მოხატა თამარ მეფის მიერ დაკვეთით იოანეს მიერ გადაწერილი ოთხთავი A 1335 კონსტანტინოპოლის მახლობლად რომანას ხეობაში. ხელნაწერი შეიცავს 274 ფურცელს, 29X21 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით.

ხელნაწერი მდიდრულად არის შემკული მახარებელთა გამოსახულებებით (9v, 81v, 131v, 210v), თავსამკაულებით (10r, 82r, 131r, 211r), კამარებით (3r-v, 4r-v) და მხატვრული საზედაო ასოებით, სახარების ტექსტის დასაწყისში მინიატიურებით. აღსანიშნავია წმ. ევსებიოსის და წმ. კარპიანეს (1v), თავფურცელი ქრისტე მახარებლებს შორის (8v) და 4 კომპოზიცია ქრისტეს ცხოვრებიდან, რომელთაგან თითოეული მახარებლის მინიატიურას ერთვის მეორე იარუსად. ხელნაწერის მხატვრობა ბერძენი ოსტატის მიერ შესრულებულია ბიზანტიური წიგნის ხელოვნებისათვის დამახასიათებელი წერის მანერით.

A-IV, გვ.407-410.

ვ. ბერიძე, გვ.123-125.

ელ. მაჭავარიანი, ვანის ოთხთავის დეკორაციული მორთულობა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, თბილისი, 1960, გვ.135-144.

მიქაძეები

მიქაძეების ოჯახში XVII საუკუნიდან თბილისის სიონის ტაძრის დეკანოზობა მემკვიდრეობით გადადიოდა. მიქაძეების საგვარეულოს წარმომადგენლები ცნობილი კალიგრაფები და მომხატავები იყვნენ. ამ ხელობას ისინი მემკვიდრეობით გადასცემდნენ. იესე დეკანოზის შვილები იყვნენ გაბრიელი (დაბ. 1687 წელს) და ოსე (1698-1758 წწ.). გაბრიელის შვილები იყვნენ ნიკოლოზი (1720-1760 წწ.), ზაქარია – ამბროსი ნეკრესელის სახელით ცნობილი (1728-1812 წწ.) და იოანე (1750-1801 წწ.).

ნიკოლოზისა და ამბროსი ნეკრესელის მიერ შესრულებული ხელნაწერების ჩამონათვალი იხილეთ: ვ. ბერიძე, გვ.174-186.

მიქაძე გაბრიელ იესეს ძე – თბილისის სიონის ტაძრის დეკანოზის შვილი, მთავარდიაკონი (დაბადებული 1687 წ.)

კალიგრაფი, მომხატველი, XVII ს.

გაბრიელის მიერ შესრულებულია „საღვთისმსახურო წიგნი“ A 866. ხელნაწერი შეიცავს 121 ფურცელს, 30X22 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით. ხელნაწერის რედაქტორია რუისის ეპისკოპოსი ნიკოლოზ ორბელიშვილი, რომელმაც ხელნაწერი რუისის ღვთისმშობლის ტაძარს შესწირა.

ხელნაწერის თითოეული გვერდი ჩასმულია ფერადხაზოვან ჩარჩოში. ხელნაწერი შემკულია თავსამკაულით და მხატვრული საზედაო ასოებით. ტექსტის დასაწყისში (1r) გამოსახულია ქერუბიმი, რომელსაც ყვავილის რტო უჭირავს. თავსამკაული სწორხაზოვანი ზოლია. იგი შევსებულია მცენარეული ორნამენტებით დაკავშირებული წრეების რიგით. წრეებში ჩახატულია ყვავილოვანი მოტივები. მთავრული ასო შედგენილია ფრინველთა გამოსახულებებისაგან.

ანდერძი: „ფრიად კრძალვით მშრომელი და აღმწერელი წიგნისა ამის... სიონის დეკანოზის შვილი გაბრიელ მთავარდიაკონი“ (121r).

A-III, იბეჭდება.

მიქაძე ამბროსი ნეკრესელი (ერისკაცობაში ზაქარია), სიონის დეკანოზის გაბრიელის შვილი და ნიკოლოზის უმცროსი ძმა, 1728-1812 წწ.

ამბროსის შესრულებულია მრავალი ხელნაწერი. იგი ასევე დაუფლებული იყო ხელნაწერი წიგნის მხატვრულ გაფორმებას.

ამბროსის შესრულებულია ძლისპირნი და ღვთისმშობლისანი A 338 (გვ.189). ხელნაწერი შეიცავს 250 ფურცელს, 133,5X9,5 სმ, დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერი შემკულია იოანე დამასკელის მინიატიურით (1v).

ანდერძი: „უფალო, შეიწყალე ცოდვილი ამბროსი“ (გვ.189).

A-I$_4$, გვ.49-50.

ამბროსის შესრულებულია იოანე ოქროპირის „თარგმანება მათეს თავის სახარებისა“ A 280 (404v).

ხელნაწერი შეიცავს 404 ფურცელს, 32,8X21,5 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით (1r-46v) და მხედრულით (47r-404v).

ნუსხურით გადაწერილ ტექსტს ახლავს თავსამკაული. ტექსტი იწყება „ჯან“ ასო-ნიშნით, რომლის კონფიგურაცია იქმნება წმ. გიორგის გამოსახულებით, რომელიც გმირავს შუბით გველეშაპს. მარცხენა მხარეს საზედაო ასოს უფლის მაკურთხებელი ხელი ახლავს. თავსამკაული ფერადი საღებავებითაა შესრულებული.

საცავი ფურცლის verso მხარეს გამოსახულია ჯვარი, რომელიც შედგმულია პოსტამენტზე.

ანდერძი: „ცოდვილი ბერი წილკნელი ამვროსი“ (404v).

A-I$_3$, გვ.157.

ვ. ბერიძე, გვ.185.

მიქაძე ნიკოლოზი, სიონის ტაძრის დეკანოზი

კალიგრაფი, მომხატველი, XVIII ს.

ნიკოლოზს მრავალი ხელნაწერი აქვს შესრულებული (მისი ნაშრომების ჩამონათვალი იხ. ვ. ბერიძე, გვ.175-182). ნიკოლოზმა დეკანოზობა მიიღო 1753-1755 წლებში. იგი 1748-1753 წლებში ცხოვრობდა მოსკოვში.

ნიკოლოზის მოხატულია ალექსი მესხიშვილის გადაწერილი სადღესასწაულო A 1454 (465v). მომგებელია ვახუშტი აბაშიძე (ვახტანგ მეფის სიძე, ანნა ბატონიშვილის მეუღლე). ნიკოლოზის მიერ მოხატულ მინიატიურებზე იგი ყველგან არის მოხსენიებული. ჩარჩოში ქვემოთ გამოყოფილია მხედრულით შავი მელნით მინაწერი: „შეიწყალე აბაშიძე ვახუშტი“.

სადღესასწაულო A 1454 შეიცავს 467 ფურცელს, 32X22 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ნიკოლოზის მიერ შესრულებულია თავსამკაულები და 93 მინიატიურა, რომლებიც შეიცავენ წმინდანთა გამოსახულებებსა და სახარებისეულ კომპოზიციებს. ხელნაწერი ტექსტი ფერადხაზოვან ჩარჩოშია ჩართული.

თავსამკაულები იკავებენ გვერდის თითქმის ნახევარს. ისინი მდიდრულადაა შემკული ყვავილოვანი ორნამენტებით. თავსამკაულთა შუაში ამოკვეთილ გუმბათის ფორმის ცარიელ არეში ჩაწერილია ჩახვეული ასომთავრულით სათაური. თავსამკაულებში სათაურის ზემოთ წრიულად ამოკვეთილ არეში ზოდიაქოს ნიშანია გამოხატული: სასწორი (3r), კირჩხიბი(32r), თევზის ხახიდან ამოზრდილი მშვილდოსანი (55r), თხის რქა (83v), ქალწული (129r), თევზები (177v). ყოველი თავის დასაწყისს ამკობს მოხატული საზედაო ასო.

მინიატიურები წმინდანთა გამოსახულებებითა და ახალი აღთქმის სიუჟეტებით წარმოდგენილია გვერდის თავისუფალ არეზე მარჯვენა მხარეს. მინიატიურები ძალიან პატარა ზომისაა. გამოსახულებები ოქროს ფონზეა ფერადებით შესრულებული. კომპოზიციები ახალი აღთქმიდან შემდეგია: ლაზარეს აღდგინება, იერუსალიმს შესვლა, ქრისტე მოციქულებს შორის, ფერხთა ბანა, ქრისტე გეთსიმანიის ბაღში, ქრისტეს ვნებანი, ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა.

ანდერძი: „აღიწერა წმიდაჲ ესე და შემოკლებული სადღესასწაულო... ჴელითა სიონის დეკანოზის შვილის ნიკოლოზისათა“ (465v).

A-V, გვ.3-4.

ვ. ბერიძე, გვ.178.

რ. კაჭახიძე, სიონის დეკანოზ ნიკოლოზ მიქაძის გადაწერილი და მოხატული ხელნაწერები (სადიპლომო ნაშრომი ხელოვნებათმ-

ცოდნეობის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად, ხელნაწერის უფლებით), თბილისი, 2017.

ნიკოლოზის შესრულებულია ლიტურგიკული კრებული A 347 (76r) 1743 წელს. დამკვეთია ანტონ კათალიკოსი. ხელნაწერი შეიცავს 105 ფურცელს, 15,5X10,5 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ტექსტის თითოეული სვეტი ჩართულია ფერადხაზოვან ჩარჩოში. ხელნაწერი შემკულია თავსამკაულებით (3r, 10r, 39r, 56v, 68v, 77r, 82r, 90r). ისინი აგვირგვინებენ ტექსტის ორივე სვეტს და გაერთიანებული არიან ფერადხაზოვან ჩარჩოსთან. თავსამკაულთა შუაში ამოკვეთილია სამკუთხა ფორმის თავისუფალი არე, რომელშიც მთავრულით ჩაწერილია სათაური. თავსამკაულები ყვავილოვან-მცენარეული ორნამენტებითაა შევსებული. ზოგიერთი თავსამკაული სწორხაზოვანი ფორმისაა. ერთ-ერთი თავსამკაულის შუაში (56v) ჯვარია აღმართული, რომლის ქვემოდან ურჩხულებია. კოლორიტში გამოყენებულია ლურჯი და შინდისფერი საღებავები.

ნიკოლოზის მიერ შესრულებულ ხელნაწერში აღსანიშნავია ტექსტის მხატვრულად გაწყობა: სტრიქონების წყობა რომბებად, სამკუთხედებად, წრეებად. საინტერესოა, ერთ-ერთ გვერდზე ნიკოლოზის ხელრთვაა (76r).

ნიკოლოზის გარდაცვალების შემდეგ ტარასი არქიმანდრიტის (ალექსი მესხიშვილის შვილიშვილის) მინაწერია 2r-ზე, სადაც ტარასი თავის თავს მოიხსენიებს, როგორც „გლახაკ ბერს“.

ნიკოლოზის ანდერძი: „ყოვლად ნმიდაო ქალწულო, შემწე მეყავ დღესა განკითხვსასა მწერალსა ამისსა ნიკოლაოზს“ (76r).

A-I$_4$, გვ.64-66.

ვ. ბერიძე, გვ.180.

ნიკოლოზის შესრულებულია „დოგმატიკონი“ H 601 (გვ.76). ხელნაწერი შეიცავს 267 ფურცელს, 30,2X20,5 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

მომგებელია მეფეთ-მეფე თეიმურაზი (76v). ხელნაწერს სამი გადამწერი ჰყავს: ნიკოლოზი (გვ.3-76), იოანე მღვდელი (გვ.77-214) და ოსე (გვ.215-531).

ხელნაწერის მოხატულობა ნიკოლოზს ეკუთვნის. ჯვარცმის კომპოზიცია (67r) შესრულებულია ტექსტის მელნით გრაფიკულად.

ჯვრის საფუძველში ადამის თავის ქალაა განთავსებული. ნიკოლოზი ტექსტის დასასრულს მხატვრულად აფორმებს. ტექსტის ორი სვეტის შემხვედრი სტრიქონები სოლისებურადაა განლაგებული (66v).

ანდერძი: „ადიდეს უფალმან ორსავე შინა ცხოვრებასა ღვთივ გვირგვინოსანი მეფე ჩვენი თეიმურაზ, რომლისა ბრძანებითა აღვწერე სიონის დეკანოზის შვილმან ნიკოლოზ თავიდგან, ვიდრე აქამომდე“ (გვ.76).

H-II, გვ.54-59.

3. ბერიძე. გვ.178.

ნიკოლოზის შესრულებულია ლოცვანი H 1061 1742 წელს (244v). ხელნაწერი შეიცავს 245 ფურცელს, 9X5,5 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერის თითოეული გვერდი ჩართულია ფერადხაზოვან ჩარჩოში. ხელნაწერი მოხატულია თავსამკაულებით (2r, 50r, 58r, 80r, 88r, 214r, 227r) და თავბოლოსამკაულებით (216r, 244r). სათაურები შესრულებულია ხვეული მთავრული ასოებით სინგურით. ნახატობა შესრულებულია მწვანე და ოქროსფერი საღებავებით. ოქრო დროთა განმავლობაში გადაქექილია. თავსამკაულები ასო Π-ს ფორმისაა. ღვთისმშობელი ჩვილედით ჩაწებებულია (213r).

ანდერძი: „დედოფალო ყოველთა დამბადებელისაო! ოდეს განიკითხვდეს ძე შენი ყოველთა ადამიერთა, მაშინ შემიწყალე მწერალი წიგნისა ამის მთავარდიაკონი ნიკოლოზ“ (244v).

H-III, გვ.56-57.

ნიკოლოზის შესრულებულია „მარგალიტი“ H 1246 მოსკოვში (103r). ხელნაწერი შეიცავს 225 ფურცელს, 15X10 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერი მოხატულია მრავალი თავსამკაულით: 1r, 9r, 114r, 165r, 190r, 204r. ისინი შესრულებულია ნაბეჭდი წიგნების მიბაძვით. თავსამკაულები შედგენილია ყვავილოვანი მოტივებით. ტექსტის ბოლო სტრიქონები გაწყობილია სოლისებურად.

ანდერძი: „უღირსმან სიონის დეკანოზმან ნიკოლოზ აღვწერე ქალაქსა მოსკოს“ (103r).

H-III, გვ.188-190.

აღსანიშნავია ნიკოლოზ სიონის დეკანოზის შემოქმედებითი

ურთიერთობა ალექსი ანჩისხატის დეკანოზთან. ალექსის მიერ გადაწერილი სადღესასწაულო H 1454 ნიკოლოზის მოხატულია. გარდა ამისა, ნიკოლოზმა მონაწილეობა მიიღო იოანე ბერაის მიერ 973 წელს გადაწერილი პარხლის ოთხთავის (A 1453) განახლებაში. პარხლის ოთხთავის გვიანი ხანის მინაწერებიდან ცნობილია, რომ მან განაახლა ოთხთავის პირველი გვერდი თავსამკაულით. საძიებლები შეადგინა 1747 წელს ვახუშტი აბაშიძის ბრძანებით (70v, 259v).

ნიკოლოზ მიქაძე, როგორც ცნობილია, ქმნიდა დასაბეჭდად საჭირო წიგნების ტექსტების არქიტექტონიკას, რითაც მესტამბეებს უადვილებდა საქმიანობას.

მიქელი

კალიგრაფი, მომხატველი, 1054 წ.

მიქაელის შესრულებულია ოთხთავი S 962 (264r). ხელნაწერი შეიცავს 266 ფურცელს, 14,5X11,4 სმ., დაწერილია ეტრატზე ასომთავრულით ორ სვეტად.

ხელნაწერი შემკულია 6 კამარით (1r-3v), ევსებიოსის წერილის დეკორატიული ჩარჩოთი (4r-v), თავსამკაულით (133r), ბოლოსამკაულებით (82r, 130v, 204r, 265r), ჯვრის გამოსახულებებით (84v, 131v), საზედაო ასოებით და ორი მახარებლის გამოსახულებით (85v, 132r). აკლია მათესა და იოანეს მინიატიურები. ორნამენტული ნახატობა ყვავილოვანი მოტივებითაა შექმნილი. ჯვრის გამოსახულება, რომელიც მათეს სახარების ტექსტის მარცხენა სვეტის ბოლოსაა (84v), გრეხილ ორნამენტს წარმოადგენს, ხოლო ლუკას სახარების წინ (131v) წნული ზოლებითაა შექმნილი. მახარებელთა გამოსახულებანი ძლიერ დაზიანებულია, ისინი სამუშაო მერხის წინ სამუშაო პროცესში არიან გამოსახულნი. კოლორიტში ძირითადად აღინიშნება თეთრაშერეული ცისფერი საღებავი. მწვანე და წითელი გაუმქვირვალე საღებავები ოქროსთანაა შეხამებული.

ანდერძი: „ლოცვა ყავთ მიქელისთჳს“ (264r).

S-I, გვ.626-627.

ვ. ბერიძე, გვ.173-174.

ნ. ქავთარია, S 962 ოთხთავის გაფორმება, კულტურის ისტორიის საკითხები, N 5, თბილისი, 1998, გვ.72-78.

მიქელი

კალიგრაფი, მომხატველი, XVII ს.

მიქელის მიერ შესრულებულია 1681 წელს დაუჯდომელი H 98 (61r). მომგებელი ნიკოლოზ კათალიკოსი (ამილახვარი).

ხელნაწერი შეიცავს 87 ფურცელს, 20X14 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ტექსტის ყოველი გვერდი ჩასმულია ფერადხაზოვან ჩარჩოში. შემკულია თავსამკაულებით (2r, 53r) და 72 მინიატიურით.

მინიატიურათა ნაწილი მთელ გვერდს იკავებს, ნაწილი ჩართულია ტექსტში. წერის მანერა ცხოველხატულია.

მომგებლის ანდერძი: „შევამკევ და დავახატინე მე ამილახორის შვილმან კათალიკოზმან პატრონმა ნიკოლოზ... ჴელითა მიქელისათა“ (61r).

H-I, გვ.72-73.

ვ. ბერიძე, გვ.186.

ნ. გიორგობიანი, ღვთისმშობლის დაუჯდომელის დასურათების ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში, საქართველოს სიძველენი, N 4-5, თბილისი, 2003, გვ.237-252.

მიქელის მიერ ასევე გადაწერილია ანჩისხატის გულანის A 30 ერთი ნაწილი 1681 წელს. ხელნაწერი გადაწერილია საბასთან და აბელთან ერთად. მიქელის გადაწერილია 153v-ს ჩათვლით. ხელნაწერი შეიცავს 345 ფურცელს, 35X24 სმ., თვით გულანის სრული ტექსტი სამ ნაწილადაა აკინძული A 30, A31 და A 32 ხელნაწერების სახით. გულანის დამკვეთია კათალიკოსი ნიკოლოზ ამილახვრის ძე (250v). დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

მიქელის მიერ დაწერილი ტექსტი შემკულია 8 მინიატიურით:

1. მჯდომარე ოდიგიტრია (2r)
2. ჯვრის ამაღლება (30r)
3. იოანე ღვთისმეტყველი (55r)
4. წმ. კოზმა და დამიანე (125r)
5. სამი ყრმა ცეცხლოვან სახმილში(214r)
6. მოგვთა თაყვანისცემა (236v)
7. წმ. ბასილი (251r)
8. ნათლისღება (274r)

მინიატიურები მკაცრი და ლაკონური კომპოზიციური წყობით გამოირჩევიან. მათ ფორმათ – მოდელირება ახასიათებთ. ისინი მონუმენტურ მხატვრობასთან ამჟღავნებენ კავშირს.

ყველა ანდერძი ეკუთვნის მომგებელს.

A-I$_1$, გვ.97-99.

ვ. ბერიძე, გვ.186.

Ф. Девдариани, Миниатюры Анчисхатского Гулани, Тбилиси, 1990.

Флер Девдариани, Анчисхатский Гулани-иллюстрированный кодекс XVII века: (К вопросу о связи памятников монументальной и миниатюрной живописи позднего средневековья) IV междунар. симпозиум по груз. искусству ; АН Груз. ССР. Ин-т ист. груз. искусства им. Г. Н. Чубинашвилми, 1983.

ნავკრატიოზ ციმცაძე

კალიგრაფი, მომხატველი, XVI-XVII სს.

ნავკრატიოზის მიერ შესრულებულია ოთხთავი H 1031 (246r). ხელნაწერი შეიცავს 270 ფურცელს, 9,5X6,6 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ტექსტის დასაწყისში მათეს სახარება მოხატულია თავსამკაულით, რომელიც აგვირგვინებს დაწერილ ორ სვეტს. თავსამკაული П-ს ფორმისაა. შევსებულია გრეხილი ორნამენტით. წითელ ფონზე გრეხილი ზოლი შეუფერავადაა დატოვებული. ტექსტში, როგორც ჩანს, მოსახატავად თავისუფალი ადგილებია დატოვებული. მინიატიურებზე გადამწერის ხელით მიწერილია მითითებანი: „გარდამოხსნა“ (69v), „აღდგომა“ (70v).

ანდერძი: „ამის მწერალსა ნავკრატიოზს ცოდვანი მისნი შეუნდევ, ღმერთო“ (246r).

H-III, გვ.31.

ვ. ბერიძე, გვ.230.

ნიკიფორე ბერი

კალიგრაფი, მომხატველი, 1854 წ.

ნიკიფორეს მიერ შესრულებულია ნახარებოს მონასტერში ანტონ

ჭყონდიდელის ქადაგებანი H 77 (123v). ხელნაწერი შეიცავს 123 ფურცელს, 34,5X21 სმ., დაწერილია ქაღალდზე ლამაზი მხედრულით.

ხელნაწერი მხატვრულადაა გაფორმებული საზედაო ასოებით (ი, ა, ო, ბ, მ ასოები რთული აგებულებისაა). ისინი შესრულებულია ტექსტის მელნით და დანაკვთულია მცენარეული ორნამენტებით, არწივის გამოსახულებებით. მოხაზულობა შეჭრილია ტექსტში.

ანდერძი: „აღიწერა... ჴელითა... უნდოის იერომონახის ნიკიფორე ბერისათა“ (123v).

H-I, გვ.62.

ნიკოლოზი

კალიგრაფი, მომხატველი, XIII ს.

ნიკოლოზის შესრულებულია ოთხთავი A 1459 (140v). ხელნაწერი შეიცავს 194 ფურცელს, 24X20 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით.

ხელნაწერი შემკულია თავსამკაულებით: 1r, 55r, 88r, 142r და საზედაო ასოებით.

ცალკეული სახარება გამოყოფილია ასო Π-სებრი ფორმის თავსამკაულით, რომელიც ტექსტის მარცხენა სვეტს აგვირგვინებს. ნახატი წარმოადგენს გრეხილ ორნამენტულ მოტივს. იგი შეუფერავი ეტრატითაა გამოხატული შავ ფონზე. თავსამკაულის აქეთ-იქით ყვავილოვანი განშტოებანია. ტექსტში ხშირია სინგურით ან ტექსტის მელნით შესრულებული საზედაო ასოები და მონოგრამები. ტექსტის დასაწყისი აქცენტირებულია რთული აგებულების ინიციალით. მისი აგებულება შედგება რგოლებისა და ღეროებისგან. 150-ე გვერდზე სამი ასოსგან შედგენილი მონოგრამაა.

ანდერძები:

„ამისა მწერალსა ნიკოლოზს შეუნდვენ, უფალო ღმერთო...“ (54v).

A-V, გვ.6-7.

ვ. ბერიძე, გვ.191.

ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი, მღვდელი

კალიგრაფი, მომხატველი, 1763 წ.

ნიკოლოზის შესრულებულია ჟამნი S 4549 (გვ.1116). ხელნაწერი

შეიცავს 1181 გვერდს, 16, 1X10, 2 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერი შემკულია ილუსტრაციებით: შობა (გვ.126), მირქმა (გვ.289), შეუსმელი ბარძიმი (გვ.956).

ანდერძი: „ქრისტე ღმერთო, აცხოვნე სული ცოდვილის მღდელის ნიკოლოზისა, რათა ვადიდო სახელი თქვენი“ (გვ.1149).

S-VI, გვ.13-23.

ნიკოლოზის შესრულებულია ასევე სჯულისკანონი S 4963 (გვ.421) 1757 წელს. ხელნაწერი შეიცავს 258 ფურცელს, 10,5X7,5 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით. დაწერილია თეიმურაზ მეფის და მისი ძის კახთა მეფის ერეკლეს დროს (გვ.421). ხელნაწერი შემკულია თავსამკაულით (გვ.445).

ანდერძი: „დაიწერა ესე რჩულის კანონი ჴელითა ჩემ ცოდვილისა ჩაჩიკაშვილის მღვდლის ნიკოლოზისათა“ (გვ.421).

S-VI, გვ.269-271.

ნიკოლოზ იეროდიაკონი

კალიგრაფი, მომხატველი, 1799 წ.

ნიკოლოზის შესრულებულია გაბრიელ მცირის „სამოთხის ყვავილი“ A 414 (195v).

ხელნაწერი შეიცავს 198 ფურცელს, 17X10,5 სმ., დაწერილია ცისფერ ქაღალდზე მხედრულით. ნიკოლოზს ხელნაწერი შეუწირავს შუამთის ხახულის ღვთისმშობლის მონასტრისთვის (195v).

თავფურცლის მეორე მხარეს გულის ფორმის ლარნაკიდან ამოზრდილია ყვავილოვანი ორნამენტი. ყვავილები შეფერადებულია შინდისფერი, ცისფერი და ყვითელი ფერის აკვარელისებრი საღებავებით. კონტურები ტექსტის მელნითაა შემოხაზული. სათაურები სინგურით ხვეული მთავრული ასოებითაა შესრულებული. ლარნაკს გარშემო ასომთავრულით სინგურით შესრულებული წრიული ზოლი ადგას.

ანდერძი: „ჩემის ჴელით წერილია სულისა ჩემისა საოხად... შემწირველი ბერი ნიკოლოზ“ (195v).

A-II$_1$, გვ.33-34.

ნიკოლოზ ენისელთ მოურავის ძე

გადამწერი, მხატვარი, XVIII ს.

ნიკოლოზის შესრულებულია კონდაკი A 398 (116v). მომგებელი – ამბა ნიკოლოზ ალავერდელი (116v). გადაწერილია გარეჯის უდაბნოს წმ. დოდოს მონასტერში (116v). ხელნაწერი შეიცავს 116 ფურცელს, 28X20 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

30v-დან ტექსტის თითოეული სვეტი ჩასმულია ფერადხაზოვან ჩარჩოში. სათაურები შესრულებულია დიდი ზომის მთავრული ასოებით (1r, 23r, 37r). სინგურით დაწერილი ასოები ოქროთია დაფერილი.

ანდერძი: „ნიკოლოზ, ძემან ენისელთ მოურავისამან... დავწერე კონდაკი ესე“ (116v).

A-I$_4$, გვ.183-185.

ნიკოლოზ ბერი

კალიგრაფი, მომხატველი, 1801წ.

ნიკოლოზის მიერ შესრულებულია სოლაღაშვილი გერონტის „ნაცვალსიტყვაობა (სიმეტნე)“ H 296 (94v). ხელნაწერი შეიცავს 99 ფურცელს, 20X17 სმ., დაწერილია ცისფერ ქაღალდზე მხედრულით.

ნიკოლოზის მიერ შესრულებულია თავბოლოკაზმულობანი (3r, 5r, 8r, 9r, 43v, 59r, 61r). ნახატი მხატვრული თვალსაზრისით მდარეა. შავი ფერის მელნით გამოყვანილია გრეხილი ორნამენტი ცისფერ ან მოყვითალო ფონზე. სათაურები ხვეული ასომთავრულითაა შესრულებული. ტექსტის ბოლო სტრიქონები სოლისებურადაა განლაგებული.

ანდერძი: „აღვასრულეცა ძალითა ღვთისათა მე ყოვლად უღირსმან ბერმან ნიკოლოზმან“ (94v).

H-I, გვ.216-218.

ნიკოლოზ

კალიგრაფი, მომხატველი, XIX ს.

ნიკოლოზის შესრულებულია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაო-

სანი“ H 2055 (4r). ხელნაწერი შეიცავს 197 ფურცელს, 31X19; დაწერილია ქაღალდზე მხედრულით (ქვირნიშანი 1820 წლისაა).

პირველ გვერდზე ორნამენტირებულ ჩარჩოში ადამიანის სახეა ჩაწერილი. ჩარჩოზე სამი ადამიანის გამოსახულებაა წარწერით: სარწმუნოება – სიყვარული, იმედი. ტექსტს უძღვის ავტორის აკროსტიქიანი ლექსი (4v), რომელიც ეძღვნება კნეინა ელენას.

ტექსტის თითოეული გვერდი ჩასმულია ფერადხაზოვან ჩარჩოში. აქეთ-იქით გამოსახულია ადამიანთა, ცხოველთა, ურჩხულთა გამოსახულებანი, 13v – მძინარე ვენერა, 6 v – ადამი და ევა. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დასურათებიდან წარმოდგენილია 7v-ზე ტარიელი ხმლით ხელში, შოთა რუსთაველია გამოსახული 8 v-ზე. მას წიგნი უჭირავს, რომელზედაც წერია: „მე რუსთველი ხელობად ვიქმ საქმესა ამად არი“. 89 v-ზე გამოსახულია ავთანდილი ცხენით. გამოსახულებათა შესრულება მდარეა. მხატვრობა ძირითადად შავი მელნით არის შესრულებული და შეფერილია აკვარელისებრი სხვადასხვა ფერის საღებავით.

გადამწერის მიერ შეთხზული ტექსტები განთავსებულია 3v-4r-ზე.

H-V, გვ.31-32.

ნიკრაი

კალიგრაფი, მომხატველი, XII-XIII სს.

ნიკრაის შესრულებულია იოანე სინელის „კლემაქსი“ H 1669 (171v). მთარგმნელი ეფთვიმე ათონელი. ხელნაწერი შეიცავს 223 ფურცელს, 36,5X29., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერი მოხატულია დიდი ზომის მთავრული ასოებით, მათი მოხაზულობა შესრულებულია გრაფიკულად, ორნამენტებით გამდიდრებულია. ნიკრაის შესრულებულია წვრილი ნუსხურით ტექსტის თავისუფალ არეზე კომენტარები. კომენტარები თავისი განლაგებით ჩაწერილია ადამიანის, არწივის, მამლის, გველეშაპის გამოსახულებებში.

ანდერძი: „სულსა ნიკრაისასა შეუნდვენ უფალმან ღმერთმან“ (171v).

H-IV, გვ.96-97.

ვ. ბერიძე, გვ.193-194.

თ. ჯოჯუა, XII საუკუნის გარეჯელი კალიგრაფი ნიკოლოზ ნიკრაი და მის მიერ გადაწერილი ორი ხელნაწერი (Ven.4 და H 1669), ახალგაზრდა მეცნიერთა I რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის შრომები, თბილისი, 2003, გვ.202-206.

პავლე სიონის მღვდელი

კალიგრაფი, მომხატველი, 1733 წ.

პავლეს შესრულებულია ოთხთავი A 728. ხელნაწერი შეიცავს 218 ფურცელს, 7X5 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერი მოხატულია თავსამკაულით და მახარებელთა გამოსახულებებით: მათე (2v), მარკოზ (58v), ლუკა (93v) და იოანე (152v). თავსამკაული სპარსულ სტილშია. მახარებელთა გამოსახულებიდან მათე, მარკოზ და ლუკა სამუშაო მერხის წინ სხედან, იოანე, პროხორესთან ერთად, ბუნების ფონზეა გამოსახული.

თ. ჟორდანია ტ.II, გვ, 189-190.

პავლე ოსეფის ძე

კალიგრაფი, მომხატველი, XIX ს.

პავლეს მიერ 1837 წელს შესრულებულია „სირინოზიანი" H 281 სოფელ ახმეტაში (70v).ხელნაწერი შეიცავს 169 ფურცელს, 32X19 სმ. დაწერილია ქაღალდზე მხედრულით.

ხელნაწერი შემკულია თავბოლოსამკაულებით (38v, 43r, 43v, 56v, 102r, 104v და სხვ.). სწორკუთხა ფორმის თავსამკაულები ზოგჯერ ოვალურად არის შუაში ამოკვეთილი. გვხვდება მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტები. ნახატი შესრულებულია ტექსტის მელნით და შეფერადებულია მწვანით და მუქი შინდისფრით.

ანდერძი: „დაიწერა პავლე ოსეფიჩისა მიერ" (70v).

H-I, გვ.197.

პეტრე მგალობელი

კალიგრაფი, მომხატველი, XVII-XVIII სს.

პეტრე მგალობელის მიერ შესრულებულია გულანი A 104 (150r).

ხელნაწერი შეიცავს 608 გვერდს, 17,5X12 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით. ხელნაწერი A 125 გულანის ნაწილი ყოფილა.

ხელნაწერი შემკულია თავსამკაულებით (46r, 55r, 64r, 72r, 81r, 88v, 96v, 104v, 441r). თითოეული გვერდი ჩასმულია ფერადხაზოვან ჩარჩოში. 45v-ზე წარმოდგენილია აღდგომის კომპოზიცია. თავსამკაულები ოქროთი და ფერადი საღებავებითაა შესრულებული.

ანდერძი: „უღირსი პეტრე მგალობელი და მწერალი შეიწყალე, ქრისტე"(150r).

A –I_2, გვ.12-23.

პეტრეს მიერ შესრულებულია გულანი A 125 (393v). ხელნაწერი შეიცავს 437 ფურცელს, 17,5X11,5 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით. ხელნაწერის თითოეული გვერდი ჩასმულია ფერადხაზოვან ჩარჩოში. ტექსტი დაწერილია წვრილი კალიგრაფიული ნუსხურით.

ხელნაწერი შემკულია თავსამკაულებით: 1r, 78r, 90r, 107r, 111r, 115r, 120r, 125r, 130r, 135r, 140r. თავსამკაულები A104 გულანის სტილშია. ხელნაწერში გვხვდება შემდეგი კომპოზიციები: ხარება (77v), საიდუმლო სერობა (89v), ქრისტე სავარძელში (110v), ყრმა ქრისტეს გამოსახულება მედალიონში, აქეთ-იქით ანგელოზების გამოსახულებებით (114v), ღვთისმშობელი ყრმით, აქეთ-იქით იოანე ღვთისმეტყველისა და იოანე ნათლისმცემლის გამოსახულებებით (124v), წმიდა პეტრე და პავლე ეკლესიის მოდელით (129v), ჯვარცმა (134v).

ანდერძი:„ქრისტე, აცხონე მგალობელი პეტრე, ამისი მწერალი" (393v).

A –I_2, გვ.109-117.

პორფირი ბერი

კალიგრაფი, მომხატველი, 1796 წ.

პორფირის შესრულებულია კრებული H 211 (250v). ხელნაწერი შეიცავს 252 ფურცელს, 20,3X15 სმ., დაწერილია ქაღალდზე მხედრულით.

ხელნაწერის დასაწყისში გამოსახულია მიტრა (1v), რომელიც

შესრულებულია შავი და შინდისფერი საღებავებით. სათაურები ჩახვეული ასომთავრულითაა. ტექსტის დაბოლოებანი ზოგიერთ გვერდზე სოლისებურადაა დამთავრებული (200r, 202r, 232v). ასომთავრულით ნაწერი სტრიქონები ჩარჩოსავით უვლის ტექსტს.

ტექსტის ბოლოს დართულია გადამწერის (ბერი პორფირის) ეპისტოლე მშობელთა მიმართ (249v-250v).

H-I, გვ.148-149.

რომანოზ არაგვის ერისთავის გიორგის ძე,
მიტროპოლიტი XVIII ს.

კალიგრაფი, მომხატველი, XVIII ს.

რომანოზის შესრულებულია „კლემაქსი" A149 (გვ.643). ხელნაწერი შეიცავს 363 ფურცელს, 19X14,2 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერში გვხვდება იოანე სინელის გრაფიკული გამოსახულება. ორგან წარმოდგენილია სათნოების კიბე (გვ.6 და გვ.644), რომელთაგან ერთი გრაფიკულად ტექსტის მელნითაა გამოხატული. მეორე შემთხვევაში სათნოების კიბე შეფერილია მწვანე საღებავით.

ანდერძი; „ქრისტე, აცხოვნე ცოდვილი მღვდელ-მონაზონი რომანოზ ერისთავის ძე" (გვ.643).

A-I_2, გვ.204-206.

რომანოზის შესრულებულია „წინწილი ღაღადებისა" 1745 წელს მოსკოვში A 150 (გვ.22, 24). ხელნაწერი შეიცავს 540 ფურცელს, 18,8X15 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით. რომანოზი კრებულის შემდგენელიცაა.

ხელნაწერს ერთვის რომანოზის ავტოპორტრეტი. იგი მთელ გვერდს იკავებს. რომანოზი ზის სავარძელში მაგიდასთან. ნახატი მუქი ფერებითაა შესრულებული: შავი, ყავისფერი და ლურჯი საღებავებით.

ანდერძი: „მე, ცოდვილმან ქართლის მიტროპოლიტმან რომანოზ, არაგვის ერისთავს გიორგის ძემან, მონაზონმა და უღირსმა ბერმან, ესე წიგნი შევკაზმე და მოვმართე"(გვ.22).

A-I_2, გვ.206-211.

როსტომ იოსელიანი

კალიგრაფი, მომხატველი, 1822 წ.

როსტომის შესრულებულია ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრება“ S 5316 რიაზანში (გვ.698). ხელნაწერი შეიცავს 712 ფურცელს, 34X21,5 სმ., დაწერილია ქაღალდზე მხედრულით.

პირველ გვერდზე წარმოდგენილია მინიატიურა, რომელზედაც გამოხატული არიან თარგამოსი და მისი ვაჟები: მოვაკან, ბარდოს, ქართლოს, ჰაოს და სხვ. 52-ე გვერდზე გამოსახულია წმ. ნინოსა და მირიან მეფის მინიატიურები, 674-ე გვერდზე – თავსამკაული, 703-ე გვერდზე – საქართველოს რუკა.

ანდერძი: „გარდიწერა ჴელითა როსტომ იოსელიანისათა“ (გვ.698).

S-VII, გვ.240-241.

საბა კუტი

კალიგრაფი, მომხატველი, 978 წ.

საბას შესრულებულია კრებული H 1346 (208r), შემმოსველი იოანე (208r). მთარგმნელი ეფთვიმე. შესრულებულია ოლიმბოს მთაზე კრანიას ლავრაში (209r). ხელნაწერი შეიცავს 210 ფურცელს, 17,5X12,5 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით.

ხელნაწერი მოხატულია იოანე ღვთისმეტყველის მინიატიურით (1v), თავსამკაულებით (2r, 60r), ბოლოსამკაულით (208r) და საზედაო ასოებით.

იოანე ღვთისმეტყველის გამოსახულებას მთელი გვერდი უკავია. იგი ფეხზე დგას მამა ღმერთისაკენ მავედრებელი ხელებით მიმართული. ტანისამოსი მოწითალო აგურისფერია, ხოლო წამოსასხამი შეუფერავი ეტრატია.

თავსამკაულები სწორკუთხა ფორმისაა, მთელ გვერდზე გაშლილი. თავსამკაულში ჩაწერილია სათაურები ოქრომელნით სინგურის სარჩულზე. ბოლოსამკაული ვიწრო ორნამენტული ზოლია, ფოთლოვანი მოტივით შექმნილი.

ანდერძი: „ქრისტე, შეიწყალე საბა, ამისი მწერალი“ (208r).

H-III, გვ.292-293.

საბა, მიქაელ, გაბრიელ, ივანე 1035 წ.

რამდენიმე გადამწერის მიერაა შესრულებული ბასილი დიდის „თარგმანებაი ფსალმუნთა“ A 135. გადაწერილია შატბერდში. მომგებელი დავით ჯიბისძე (255r-256v). ხელნაწერი შეიცავს 257 ფურცელს, 20X13 სმ., დაწერილია ეტრატზე ნუსხურით.

ხელნაწერი შემკულია მრავალრიცხოვანი მოხატული მთავრულით, ინიციალებით, რომლებიც გეომეტრიული ხასიათისაა. მათი ღერო დასერილია პარალელური ან დიაგონალური ხაზებით.

ანდერძი: „დავწერე ჴელითა სულიერთა ძმათა ჩემთაჲთა საბასითა, მიქაელისითა და გაბრიელისათა და გავასრულე ჴელითა შვილისა ჩემი ივანესითა“ (255r-256v).

A-I$_2$, გვ.154-157.

საბა

კალიგრაფი, მომხატველი, XIV ს.

საბას შესრულებულია ოთხთავი A 505 ა (167r). ხელნაწერი შეიცავს 199 ფურცელს, 23X18,4 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერი შემკულია ბოლოსამკაულით – ჯვრის გამოსახულებით (78v), რომელიც ორ სვეტად დაწერილი ტექსტის მარჯვენა მხარესაა წარმოდგენილი შუა დაგრძელებული მკლავით. ორმაგი კონტურის მქონე მკლავები სამკუთხედებად არის დანაწევრებული და შეფერადებული სინგურისა და ყვითელი ფერების მონაცვლეობით.

ანდერძი: „წმინდანო ღმრთისანო, ვინცა მიემთხუვნეთ წმიდასა ამას სახარებასა, ცოდვილსა საბაჲსთჳს ლოცვა ყავთ“ (167r).

A-II$_2$, გვ.10-11.

საბა დეკანოზი

კალიგრაფი, მომხატველი, XVI-XVII სს.

საბას შესრულებულია სახარება H 1275 (31r, 77r). ხელნაწერი შეიცავს 106 ფურცელს, 28,7X20,5 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ხელნაწერი მოხატულია თავსამკაულებით (31r, 80r). ისინი П-ს ფორმისაა, შემკულია ჩიტების გამოსახულებებით. ნახატობა გა-

მოყვანილია სინგურის ფონზე მწვანე ფერითა და სინგურით. საზედაო ასოები გეომეტრიული ხასიათისაა.

პირველი ანდერძი მარკოზის სახარების თავსამკაულშია ჩაწერილი: „წმიდაო მარკოზ, შეიწყალე საბა“ (31r, ანდერძი შესრულებულია მწვანე მელნით).

მეორე ანდერძი წარმოდგენილია მარკოზის სახარების ტექსტის ბოლოს: „წმიდაო მარკოზ, შემიწყალე მწერალი ამისი დეკანოზი საბაჲ“ (71r).

H-III, გვ.209.

საბა მღვდელი

კალიგრაფი, მომხატველი, XVII ს.

საბას შესრულებულია ფსალმუნი H 1112 (149v). დამკვეთი თბილელი ეპისკოპოსი იოსებ საყაძე (150v). ხელნაწერი შეიცავს 159 ფურცელს, 11,5X8 სმ., დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით.

ტექსტის თითოეული გვერდი ჩასმულია მოვარაყებულ ჩარჩოში. თავფურცელზე (7v) წარმოდგენილია ტახტზე მჯდომარე დავით წინასწარმეტყველი. მას გვირგვინი ადგას და ხელში გრაგნილი უჭირავს ნუსხური ტექსტით. თავსამკაული წარმოდგენილია ტექსტის დასაწყისში (8r). იგი სწორკუთხა ფორმისაა ტექსტის მთელ სიგანეზე. გეომეტრიული სახის ორნამენტი გამოყვანილია ოქროსა და ლურჯი ფერით. გარშემო აგურისფერი ზოლია. დავითის მინიატურა ძალიან დაზიანებულია. იგი ასევე მოვარაყებულ ჩარჩოშია ჩასმული. ფონი ლურჯი ფერისაა.

ანდერძი: „აღვსწერე წმიდაჲ ესე დავითნი მე, ფრიად ცოდვილმან მღვდელ წოდებულმა და არა ღირსმან საბამან“ (149v).

H-III, გვ.99-100.

ვ. ბერიძე, გვ.198.

საყვარელ ნაშიძე

მომხატველი, XV ს.

საყვარელ ნაშიძის მოხატულია ოთხთავი Q 5 (123v). ხელნაწერი შეიცავს 293 ფურცელს 12,2X9,5. დაწერილია ეტრატზე მხედრულით. ვ. ბერიძეს საყვარელ ნაშიძე გადამწერლადაც მიაჩნია.

საყვარელ ნაშიძის მიერ შესრულებულია მარკოზ მახარებლის გამოსახულება (123v). ნახატი შესრულებულია კალმით ესკიზურად. გამოყენებულია მწვანე, სინგური, ყავისფერი. სურათის ჩარჩო სინგურითაა.

ანდერძი მიწერილია მარკოზ მახარებლის სურათის ქვემოთ: „მარკოზ მახარებელო, მეოხ ეყავ საყვარელს ნაშიძეს" (123v).

Q-I, გვ.10.

ვ.ბერიძე, გვ.189-190.

სერაპიონ სანიკიძე, მღვდელი

კალიგრაფი, მომხატველი, XVI-XVII სს.

